პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 აპრილი ორშაბათი 2011
№083 (13380) ფასი 80 თეთრი

**დღეიდან, ყოველ ორშაბათს მკითხველი „ლელოს“ მიიღებს განახლებული ფორმატით, 20 გვერდზე. ორშაბათობით გაზეთი ეღირება 80 თეთრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმერული ქულები, ამერული ნულები



| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გაგ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 29 | 18 | 6 | 5 | 53 | 15 | 60 |
| 2 | ოლიმპი | 29 | 17 | 6 | 6 | 42 | 22 | 57 |
| 3 | დინამო | 27 | 14 | 8 | 5 | 38 | 14 | 50 |

2-3

## ფაჩულიას მეოთხე დუბლი

10 ქულა, 11 მოხსნა



14

## 11 აპრილს, 11 საათზე, 11 ნომერი

დღეს ჟანტურია ვიტესთან კონტრაქტს გააფორმებს



4

## ალბერტო ტომბას ცხოვრების მეორე რაუნდი

12



9

## ვან გაალი გააგდეს!



10.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
2000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 1 |
| დინამო | 0 |

1:0 ჭანკოტაძე (90. ლომიას პასით)

| ზესტაფონი 4-2-3-1 | დინამო 4-1-4-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლორია |
| ალადაშვილი | თომაშვილი |
| მ. კობახიძე | კაპუგავა |
| გ. ონიანი | ჰომოლა |
| ელიავა | ხმალაძე |
| გორგიაშვილი | ჰავჩიგულიჩი |
| ბაბუნაშვილი | არზიანი |
| ძარია | რობერტინიო |
| გრიგალაშვილი | კოშკაძე |
| დვალი | კახელიშვილი |
| წინამძღვრიშვილი | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | კ. კაჭარავა |

**ზესტაფონი**

60. ბაბუნაშვილი – **აფციაური**
65. წინამძღვრიშვილი – **ს. ლომია**
74. დვალი – **ჭანკოტაძე**

*სათადარიგოები: მეშველიანი, ბენაშვილი, გრუიცა, ფოფხაძე*

**დინამო**

54. რობერტინიო – **ჯუსი**
68. კახელიშვილი – **კვეკვესკირი**
81. არზიანი - **ფირცხალავა**

*სათადარიგოები: ზარქუა, თ. ლონლაძე, გ. კვარაცხელია, თექთურმანიძე*

გაფრთხილება: არზიანი (39), კახელიშვილი (43), ლომია (80), ჭანკოტაძე (90)
არბიტრი: თ. გვანცელაძე



ავტორის ფოტო

# გეგუჩაძის ოქროს რეზერვი

მეორე ტაიმში **გია გეგუჩაძემ** თამამ ცვლილებებს მიმართა და **დვალი-წინამძღვრიშვილის** დუეტი **ლომია-ჭანკოტაძის** გამოუცდელი წყვილით შეცვალა. ახალგაზრდები ბრძოლაში თამამად ჩაებნენ, თამაშიც გაამწვავეს და გამარჯვების გოლიც გამოჭედეს. 90-ე წუთზე საბა ლომიამ გიორგი ჭანკოტაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ახალგაზრდა შემტევმა ნახევარმცველმა "დინამოს" კარი აუღელვებლად დალაშქრა.

ასე გარდასახა გამარჯვების გოლად მატჩის მიწურულს "ზესტაფონმა" უპირატესობა, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი შეხვედრის დასკვნით ნაწილში გახდა. ზესტაფონში კი დიდი საფეხბურთო ზეიმი გაიმართა – იქაურმა ქომაგებმა ხომ ნანატრი ჩემპიონობა კიდევ უფრო ახლოს დაინახეს.

მატჩზე არანაკლებ საინტერესო ის იყო, დაესწრებოდა თუ არა მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. ქართული ფეხბურთის თავკაცებმა "ზესტაფონის" მიპატიჟება მიიღეს და თამაშს სფფ-ის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** დაესწრნენ. სიჭინავა და "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** საპატიო სტუმართა ლოჟაში გვერდიგვერდ ისხდნენ.

"ზესტაფონმა" დედაქალაქელებს ორი დისკვალიფიცირებულის - **ნიკა გელაშვილისა** და **მურთაზ დაუშვილის** გარეშე უმასპინძლა. ტრავმის გამო იმერლებს **გიორგი ხიდეშელიც** აკლდათ. "დავით აბაშიძეზე" განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გრძელი სათადარიგოთა სკამის წყალობით ზესტაფონელებს ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ღირსეულად შეცვლაც კი შეუძლიათ.

იმის მიუხედავად, რომ სტადიონის ტრიბუნები ბოლომდე არ შევსებულა, გეგუჩაძის გუნდს მხურვალე ქომაგობა არ დაჰკლებია. ტრადიციულად აქტიური იყო "დინამოს" ფანკლუბიც. მოკლედ, ნაღდი საფეხბურთო გარემო იყო და არც თამაში გამოსულა ურიგო საცქერი.

აშკარა იყო, რომ "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბმა აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა და დებიუტში მასპინძლებმა ამის რეალური შანსი ვერ გამოიყენეს. "დინამოს" საჯარიმოში შექმნილ არეულობაში, ბურთი **თორნიკე გორგიაშვილს** მიუვიდა, რომელსაც მეკარის გარდა, ხელს ვერავინ უშლიდა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და ბურთი **გიორგი ლორიამ** მოიგერია.

ასეთი საგოლე შანსი შესვენებამდე აღარავის ჰქონია, მაგრამ საინტერესო ეპიზოდების გახსენება მაინც შეიძლება. **ჯაბა დვალის** დარტყმა "დინამოს" კაპერმა კუთხურზე მოიგერია, თბილისელთაგან კი "ზესტაფონის" კარს **ზურაბ არზიანი, ლევან ხმალაძე** და **ალექსანდრე კოშკაძე** დაემუქრნენ. "დინამო" უფრო კონტრშეტევებზე თამაშობდა, "ზესტაფონი" კი პოზიციურად უტევდა. ტაიმის ბოლოს დაძაბულობამაც იმატა და ფეხბურთელებს ნერვების მოთოკვა გაუჭირდათ – საბედნიეროდ, საქმე სერიოზულ დაპირისპირებამდე არ მისულა, თუმცა კი, მსაჯმა უხეშობისთვის შესვენებამდე ორი დინამოელი გააფრთხილა.

სიტყვამ მოიტანა და, აუცილებლად უნდა შევაქოთ ახალგაზრდა არბიტრი **თორნიკე გვანცელაძე**, რომელსაც საკმაოდ რთულად სამსაჯო მატჩის სადავეები ერთი წუთითაც არ გაჰქცევია ხელიდან.

მეორე ტაიმში "დინამო" გაცილებით აქტიური იყო, თუმცა მატჩის დასკვნითი ნაწილი მაინც "ზესტაფონის" კარნახით წარიმართა. დაწინაურების ხელსაყრელი შანსები ისევ და ისევ მასპინძლებმა გაუშვეს ხელიდან. **რატი წინამძღვრიშვილმა** მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთამდე მირბენა დააგვიანა, ხოლო გორგიაშვილს კიდევ ერთხელ არ გაუმართლა – ამჯერად საჯარიმოს მისადგომებიდან ჩინებულად დაარტყა, მაგრამ მიზნამდე მცირედი დააკლდა – ბურთი "დინამოს" კარის ძელს მოხვდა. შეცვლაზე შესული **დონალდ ჯუსის** მომენტი ასეთი სახიფათო არ ყოფილა – მასპინძელთა დაცვამ მისი მცდელობა იოლად ალკვეთა.

ბოლოსკენ "ზესტაფონის" უკეთესი ფიზიკური მომზადება თვალსაჩინოდ გამოჩნდა და "დინამო" საკუთარი კარის უსაფრთხოებაზელა ზრუნავდა, მაგრამ ვერც ეს შეძლო და საჩემპიონო რბოლაში პოზიციები მკვეთრად გაიუარესა.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** *"დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივრებს, ამ გამარჯვებაში მათი წვლილი უდიდესია. შევძელით ლამაზად თამაშიც და გამარჯვებაც, რამაც ძალიან გამახარა. მიმაჩნია, რომ ლოგიკურად გავიმარჯვეთ. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდებს, მათ ძირითად გუნდში დამკვიდრების კარგი შანსი აქვთ, მთავარია, შრომა და განვითარება გააგრძელონ".*

**კახა კაჭარავა (დინამო):**
*"ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. შესვენების შემდეგ უკეთ ავთამაშდით, მაგრამ ბოლოს მაინც გავუშვით დასანანი გოლი. ჩვენთვის ფრესა და მარცხს შორის დიდი სხვაობა არ იყო. ბუნებრივია, საჩემპიონო შანსები შევიმცირეთ, მაგრამ ოქროს მედლებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**
ზესტაფონიდან

# კოლხური მა[illegible] ლო-სიონია

10.04. ფოთი. ფაზისი
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 1 |
| სიონი | 0 |

1:0 გავაშელიშვილი (64. მდივნიშვილის პასით)

| კოლხეთი 3-1-4-2 | სიონი 5-4-1 |
|---|---|
| ძაგანია | ზუხბაია |
| ცხვიტარია | კობაური |
| ინწკირველი | სვანიძე |
| მახვილაძე | დიდავა |
| გოგონაია | ორბელაძე |
| მეგრელიშვილი | ადამაშვილი |
| სიჭინავა | რეხვიაშვილი |
| გვალია | გოგოხერიშვილი |
| გულუა | ნოზაძე |
| გავაშელიშვილი | ჩირიკაშვილი |
| მდივნიშვილი | ჯიქია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | ხ. ძასრაშვილი |

**კოლხეთი**

46. გულუა - **კვერენჩხილაძე**
63. გვალია - **ჯანაშია**
80. მდივნიშვილი - **ნიქარიშვილი**

სათადარიგოები: ლობჟანიძე, გელაჭეიშვილი, ბარამიძე, მოისწრაფიშვილი

**სიონი**

46. ჩირიკაშვილი - **შალამბერიძე**
63. ჯიქია - **ნ. კვასხვაძე**
74. რეხვიაშვილი - **გ. მელქაძე**

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ქორიძე, თარგამაძე, ისიანი*

გაფრთხილება: ნოზაძე (43)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

... მიმდინარეობდა მატჩის 64-ე წუთი, როცა **გიგა კვერენჩხილაძემ** „კოლხეთის" მაისურით პირველი და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

... მიმდინარეობდა მატჩის 64-ე წუთი, როცა **გიორგი გავაშელიშვილმა** „კოლხეთის" მაისურით პირველი და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

ამ ორ მსგავს და „კოლხეთისთვის" იღბლიან „თარიღს" შორის თითქმის ორთვიანი ინტერვალია, რომელიც ისე მიილია, რომ გუშინდლამდე კოლხ ქომაგებს გოლის გატანით არ გაეხარათ. 12 თებერვლის შემდეგ ფოთელებს მოგებაც „დაავიწყდათ" - მაშინ კვერენჩხილაძემ თავის ყოფილ კლუბ „სამტრედიას" გაუტანა.

... როგორც იქნა „კოლხეთმა" ნავსი გატეხა - ზედიზედ 9-ტურიანი უგოლო სერია ფოთელებმა კონკურენტ „სიონთან" შეწყვიტეს. შესაბამისად, გაიხსენეს მოგების გემოც. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე შემთხვევაში კოლხებმა ერთსა და იმავე წუთზე გაიტანეს, უგოლო სერია ზუსტად 900 წუთს გაუგრძელდათ.

გუშინ **სოსო ფილიამ** თავიდანვე შემტევი ფეხბურთი შესთავაზა მეტოქეს. აშკარა იყო, გამოცდილი დამრიგებელი აქცენტს სწრაფ გოლზე აკეთებდა. „კოლხეთი" დიდი მონდომებით უტევდა, „სიონი" კი დაცვით ცდილობდა სასურველი შედეგისთვის მიეღწია. რა თქმა უნდა, ბოლნისელები მოგებაზე როგორ იტყოდნენ უარს და ამის მიღწევას კონტრშეტევებით ცდილობდნენ, ხიფათსაც ქმნიდნენ, მასპინძლებთან შედარებით ნაკლებს, თუმცა არანაკლებ მწვავეს.

„კოლხეთს" პირველივე წუთზე შეეძლო გატანა, როცა სტუმართა მეკარემ ბურთი უხეიროდ მოიგერია. **ზუხბაია** ერთი-ორჯერ კიდევ შეცდა, თუმცა ფოთელებმა ამით ვერ იხეირეს.

სამაგიეროდ, პირველი რეალური ხიფათი „სიონმა" შექმნა — ჯერ **ძაგანიამ** მოიგერია სტუმართა შორეული გასროლა, შემდეგ კი კუთხურიდან მოწოდებული ბურთი შორეულ ძელთან ბოლნისელებმა კარის მიმართულებით გაგზავნეს, მაგრამ მეკარეს ბურთი ზურგში მოხვდა და ძელიდან კუთხურზე გადავარდა. რამდენიმე წუთში **რეხვიაშვილი** ურტყამდა სახიფათოდ, მაგრამ მიზანს ცოტათი აუცდა.

მანამდე კი იყო ეპიზოდი, რამაც ფოთელი ქომაგები გამოლოცვის აუცილებლობაზე აალაპარაკა — არ შევუდგებით იმის ჩამოთვლას, ვინ და რამდენჯერ ურტყამდა „სიონის" კარში 11-მეტრიანის ნიშნულის სიახლოვიდან, მაგრამ სტუმრები თავგამოდებამ, იღბალმა და სასწაულმა ერთად გადაარჩინეს.

თუ პირველ ტაიმში ასე თუ ისე თანაბარი თამაში იყო, შესვენების შემდეგ „კოლხეთმა" უმატა შეტევებს, „სიონიც" არ ჰგავდა რაიმეს დამთმობს. მეტად აქტიურად ჩაერთო შეხვედრაში **კობა შალამბერიძეც**.

მეორე ტაიმის სტარტზევე გატანა ექსკოლხ **რეზო ჯიქიას** შეეძლო, როცა თავით ახლოდან ურტყამდა. ეს იყო და ეს - მასპინძლების უპირატესობაც თანდათან გამოიკვეთა. განსაკუთრებით ალსანიშნავია **გავაშელიშვილისა** და **მდივნიშვილის** მონდომება, თუმცა ფორვარდებს ნახევარმცველები ხეირიანად ვერ ეშველებოდნენ და ამიტომაც იყო, გატანა რომ უჭირდათ.

გოლის დროც დადგა. მეათე უგოლო შეხვედრაში თავი კოლხთა ათმა ნომერმა გამოიჩინა - გავაშელიშვილი „სიონის" მეკარეს პირისპირ მას შემდეგ შეეყარა, რაც მდივნიშვილი კარისკენ ურტყამდა, მაგრამ ჩინებული საგოლე გადაცემა გამოუვიდა - 1:0.

სტუმრები ვითარების გამოსწორებას კი ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და „კოლხეთმა" ზუსტად ერთი წრის წინ ბოლნისური შეხვედრიდან დაწყებული მოუგებელი სერია შეწყვიტა.

**მატჩის შემდეგ**

**ჯონი ჯაგიდისი („სიონი"):** *„ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა. ფორტუნა, ალბათ, „კოლხეთის" მხარეს იყო. ცოტათი გვაჯობეს კიდეც, განსაკუთრებით მეორე ნახევარში და შედეგიც მიიღეს".*

**სოსო ფილია („კოლხეთი"):** *„მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიყავით. მადლობა მინდა გადავუხადო ბიჭებს, მათ ყველაფერი ჩადეს ამ შეხვედრაში. უკანადასახევი გზა აღარ გვქონდა და სამი ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა".*

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 29 | 18 | 6 | 5 | 53 | 15 | 60 |
| 2 | ოლიმპი | 29 | 17 | 6 | 6 | 42 | 22 | 57 |
| 3 | დინამო | 27 | 14 | 8 | 5 | 38 | 14 | 50 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 28 | 12 | 3 | 13 | 29 | 32 | 39 |
| 5 | ბაია | 28 | 11 | 5 | 12 | 26 | 35 | 38 |
| 6 | ტორპედო | 29 | 9 | 11 | 9 | 19 | 18 | 38 |
| 7 | სიონი | 29 | 8 | 8 | 13 | 18 | 34 | 32 |
| 8 | კოლხეთი | 29 | 7 | 8 | 14 | 17 | 37 | 29 |
| 9 | სპარტაკი | 29 | 6 | 8 | 15 | 27 | 35 | 26 |
| 10 | სამტრედია | 29 | 6 | 7 | 16 | 23 | 50 | 25 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 12 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 12 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |

**XXX ტური**
**15 აპრილი, პარასკევი**

დინამო-ოლიმპი
სპარტაკი-ზესტაფონი
ტორპედო-ბაია
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
სიონი-სამტრედია

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ
COPA AMERICA ARGENTINA 2011
მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში.
საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს.
არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება, შეხვედრა 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35
"არგენტინის სახლისა" და "ზეარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.04. ქუთაისი. ტორპედო
5000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| ოლიმპი | 1 |

1:0 მეგრელაძე (50.სეთურიძის პასით), 1:1 ი. მაისურაძე (68. პავლიაშვილის პასით), 2:1 ქებაძე (85)

| ტორპედო 4-4-2 | ოლიმპი 4-1-4-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბედიაშვილი |
| ფოფხაძე | მურველაშვილი |
| ფარულავა | კვახაძე |
| ს. თოდუა | რეხვიაშვილი |
| ჩიკვილაძე | ქემოკლიძე |
| გ. სეთურიძე | რაზმაძე |
| დილმელაშვილი | გ. ჭელიძე |
| თარხნიშვილი | ი. მაისურაძე |
| გ. დათუნაიშვილი | დ. ბოლქვაძე |
| მეგრელაძე | გენაძე |
| ვ. კვარაცხელია | პავლიაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გიგატაძე | ა. ჯელაძე |

**ტორპედო**

46. დილმელაშვილი - **ქებაძე**
63. კვარაცხელია - **დოლიძე**
70. თარხნიშვილი - **საბანაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, მაჭავარიანი, გუგუჩია*

**ოლიმპი**

58. ბოლქვაძე - **ტყემალაძე**
58. ჭელიძე - **ქავთარაძე**
63. გენაძე - **უგულავა**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ბახტაძე, ლ.სეთურიძე, გორდეზიანი*

გაფრთხილება: **რაზმაძე(24), დათუნაიშვილი (52), მურველაშვილი (55)**

გაძევება: **მურველაშვილი (74)**

არბიტრი: **ლ.კვარაცხელია**



ავტორის ფოტო

# ოლიმპი ქუთაისში ოლიმპს დაშორდა

„ტორპედოსა" და ჩემპიონატის თანალიდერ „ოლიმპის" შეხვედრა დაძაბული, სანახაობრივი და დრამატული გამოდგა. განსაკუთრებით მატჩის მეორე ტაიმი იყო გამორჩეული. სატურნირო ცხრილის შუაში მყოფმა „ტორპედომ" ჩემპიონობისთვის მებრძოლ რუსთაველ კლუბს „ოქროს ქულები" დააკარგვინა და მდგომარეობა გაურთულა. ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი **გია გიგატაძე** ჩემპიონებს არ მოერიდა და შემტევი ტაქტიკა აირჩია. ამჯერად რიონისპირელთა თავდასხმის დუეტს **მეგრელაძე-კვარაცხელია** ქმნიდნენ, მეორე ტაიმში კი მათ **საბანაძეც** შეუერთდა და მასპინძლებმა თამაში სამი ფორვარდით დაასრულეს. მართალია, რუსთაველებს წინ ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ილია პავლიაშვილი** ჰყავდათ, მაგრამ მას ფლანგებიდან **გიორგი ჭელიძე** და **რევაზ გენაძე** ეხმარებოდნენ, შუიდან კი **დავით ბოლქვაძე**. საწყის წუთებში ოდნავ უკეთ სტუმრები გამოიყურებოდნენ. პირველადაც მათ დაარტყეს, მაგრამ ბოლქვაძის გასროლილი ბურთი მიზანს ასცდა. თამაში თანდათან გათანაბრდა და რიონისპირელებმაც „გაიხედეს" **ბედიაშვილის** კარისკენ - მე-10 წუთზე აქტიურმა **სეთურიძემ** მარჯვენა ფლანგიდან მეგრელაძის მისამართით ჩააწოდა, მაგრამ ქუთაისელთა ფორვარდს მცველებმა დაასწრეს და მდგომარეობა განმუხტეს. მე-18 წუთზე **ფარულავას** დიაგონალური პასის შემდეგ მეგრელაძე ურტყამდა, მაგრამ ბურთს მეკარე დაეუფლა. რუსთაველებმა ინიციატივის ხელში ჩაგდება სცადეს და ორჯერ მწვავედაც შეუტიეს. **მურველაშვილის** გამჭოლ გადაცემას პავლიაშვილი ვერ შესწვდა, გენაძის კუთხურის შემდეგ კი ბოლქვაძის ქუსლით დარტყმული მცველმა მოიგერია. მეტოქეს მასპინძლებიც არ ჩამორჩნენ - 28-ე წუთზე **ჩიკვილაძის** ჯარიმის შემდეგ კვარაცხელია თავით ურტყამდა და მცირედით აცილა. პირველი ნახევარი ქუთაისელთა აქტიურობით ჩამთავრდა, შესვენების შემდეგ კი გაცილებით საინტერესო თამაში გაჩაღდა. მრავლად იყო ლამაზი ეპიზოდები და, რაც მთავარია, გოლებიც ვიხილეთ. „ტორპედოს" მეორე სუნთქვა გაეხსნა და ტაიმის შუაწელამდე მეტოქე აშკარად დაჯაბნა. კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული **ქებაძე**, რომელმაც მეგრელაძის კარგი პასის შემდეგ შეუჩერებლად დაარტყა, მეკარემ ბურთი მოიგერია, დამატებაზე **თარხნიშვილმა** იმარჯვა, მაგრამ რუსთაველები ძელმა გადაარჩინა. ქუთაისელთა მორიგი შეტევაც სახიფათო გამოდგა - 47-ე წუთზე თარხნიშვილმა მარცხენა ფლანგზე გაიბრწყინა და მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულ მეგრელაძეს მეკარის ბაქანთან გადააწოდა, თუმცა გიას ბურთზე ფეხი აუცდა. დროის ამ მონაკვეთში განსაკუთრებით თარხნიშვილი აქტიურობდა და სწორედ მან წამოიწყო მარცხენა ფრთიდან საგოლე შეტევა, მისგან ბურთი სეთურიძეს მიუვიდა, რომელმაც უკეთეს პოზიციაში მყოფი მეგრელაძე მოძებნა და ქუთაისელთა ბომბარდირს აღარ გასჭირვებია ბურთის ცარიელ კარში შეგდება -1:0. რუსთაველებმა მდგომარეობის გამოსწორება ცვლილებებით სცადეს. ბოლქვაძის, ჭელიძისა და გენაძის ნაცვლად მოედანზე **ტყემალაძე, ქავთარაძე** და **უგულავა** გამოვიდნენ. ამ გადაადგილებებს შედეგიც მოჰყვა, 68-ე წუთზე პავლიაშვილის ფლანგურ ჩაწოდებას მაისურაძის მოხდენილი თავური მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა-1:1

მალე ოლიმპელები რთულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. კვარაცხელიამ უხეშობისთვის მურველაშვილი გააძევა და სტუმრები 10 ფეხბურთელით დარჩნენ. მიუხედავად ამისა, რუსთაველებს ჰქონდათ შანსები - **რაზმაძის** ძლიერი დარტყმა **მიგინეიშვილმა** მოიგერია, ტყემალაძის გასროლილ ბურთს კი მცველი გადაელობა. კარგად ჩაერთვნენ თამაშში ტორპედოელები - საბანაძე და **დოლიძე**. მატჩის ბოლო წუთებმა გულშემატკივრებისგან გამხნევებული ქუთათურების უპირატესობით ჩაიარა და ამან შედეგიც მოიტანა. 85-ე წუთზე **ფარულავამ** ბოლომდე იბრძოლა, ბურთიც შეინარჩუნა, ორ მცველსაც გასცდა და საჯარიმოს მისადგომებთან დოლიძე მოძებნა, მისი დარტყმა მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ დამატებაზე ქებაძემ იმარჯვა და საჯარიმოს გარედან გამარჯვების გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ტორპედოელებმა ორი საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან - ჯერ დოლიძე გავიდა მეკარესთან პირისპირ და მისი მოტყუება განიზრახა, მაგრამ ბედიაშვილს ვერ გასცდა. ბოლოს კი ოთხი ტორპედოელი ერთი რუსთაველის წინააღმდეგ დარჩა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილმა მეგრელაძემ დააყოვნა, შემდეგ მცველიც წამოეწია და მასთან ორთაბრძოლაში დაეცა. ქუთათურები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ... საბოლოოდ, „ტორპედომ" მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და ამით ყველაზე მეტად კიდევ ერთი იმერული გუნდი „ზესტაფონის" საქმე გააკეთა, რომელსაც მთავარი კონკურენტი მნიშვნელოვნად ჩამოაცილა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# სამკაულივით თავით ...ისეთ გუნდთან, როგორიც ვიტ ჯორჯიაა...

10.04. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
450 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 აფაქიძე (73)

| ბაია 4-2-3-1 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | ა. მიქაბერიძე |
| აფაქიძე | ბექვაია |
| აქუბარდია | ადამაძე |
| გამრეკლიძე | კასრაძე |
| რ. ონიანი | ჭანკვეტაძე |
| ვართაგავა | გურეშიძე |
| სიხარულია | მაისაშვილი |
| რიგვავა | კორიფაძე |
| შ. ლომია | ჯანელიძე |
| წურწუმია | ლანიაშვილი |
| ქობალია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | მ. კოჭლაშვილი |

**ბაია**

66. ლომია – **ეხვაია**
81. წურწუმია – **სამუშია**
90. რიგვავა – **ნ. შონია**

*სათადარიგოები: მაქაცარია, სვირავა, ჩანგელია, ქირია*

**ვიტ ჯორჯია**

75. ლანიაშვილი – **როსტიაშვილი**
80. ჯანელიძე – **ზაქრაძე**

*სათადარიგოები: ძაძამია, გოგიაშვილი, დვალაშვილი, გაბრიჭიძე, ლობჟანიძე*

გაფრთხილება: **ჭანკვეტაძე (30), ბექვაია (56)**

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

მასპინძლებმა თავიდანვე ორჯერ მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე და თუმცა საპასუხო კონტრშეტევისას დაჯარიმდნენ. **ჯანელიძის** დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ერთ წუთში **სიხარულიამ** კარგად დაამუშავა ბურთი, მაგრამ მის დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია.

"ბაიას" კაპიტანმა **რონ ონიანმაც** ორჯერ გაისროლა კარისკენ, **მიქაბერიძე** უშეცდომოდ გაისარჯა. ამის შემდეგ დაახლოებით 15 წუთი მეტოქეებმა პოზიციურ ბრძოლას მოანდომეს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ორივე გუნდი პირველ ნახევრის ფრედ დასრულებას შეგუებული იყო, მაგრამ ტაიმის ბოლოს რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა.

**ქობალია** ვეტერინართა კარის დარაჯთან პირისპირ გავიდა, თუმცა მიქაბერიძემ ფორვარდს დაასწრო. მაგრამ სველ მინდორზე ისე გასრიალდა, ბურთიანად საჯარიმო ხაზს მიღმა აღმოჩნდა და ბურთის აუტზე გადაგდება მოუხდა. ამ ეპიზოდს ცოტა ხმაურიც მოჰყვა - „ბაიას" ფეხბურთელები ჯარიმას ითხოვდნენ. ცოტა ხანში სტუმრებმა **ჩიმაკაძე** გაიყვანეს კარგ პოზიციაზე და მისი სწრაფი დრიბლინგიც ვიხილეთ, მაგრამ დაბოლოება მასაც არაზუსტი გამოუვიდა. ერთ წუთში მანვე თავური დაარტყა - **სომხიშვილი** ბურთს ადგილზე დახვდა.

მეორე ნახევარიც მასპინძელთა შეტევებით განახლდა და ქობალია სამჯერ მოექცა ყურადღების ცენტრში, თუმცა მისი აქტიური გაბრძოლება შედეგზე არ ასახულა. რამდენიმე წუთში "ბაია" კინაღამ გოლს გამორჩა, **ლომიამ** მეტოქის კარის მიმართულებით მაღალი გადაცემა გააკეთა. ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა და კარისკენ ისე წავიდა, რომ მიქაბერიძისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა და ძლივს მოასწრო ბურთის კუთხურზე გადაგდება. ამასობაში სტუმარმა კორიფაძემ ორი ფეხბურთელი ჩამოიტოვა, თუმცა დარტყმა დააგვიანა და კარგი ეპიზოდიც გაუცუდდა. მასპინძლებმა აქტიურობას უმატეს, რასაც გოლიც მოჰყვა. **ლომიას** მიერ მოწოდებულ კუთხურს **აფაქიძე** გამოეხმაურა და 73-ე წუთზე, თავურით **მიქაბერიძეს** საკმაოდ ლამაზი გოლი გაუტანა. მატჩი საბოლოოდ მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით, მაგრამ სასურველი შედეგით დაასრულეს.

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი** (ბაია): *"არ შეიძლება, უკმაყოფილო ვიყო ჩემი ფეხბურთელების თამაშით ისეთ გუნდთან როგორიც „ვიტ ჯორჯიაა", მით უმეტეს, მოგების შემდეგ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და შემიძლია ვთქვა, რომ ამ გამარჯვებით ერთგვარი გარანტიაც კი მივიღეთ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.*

**მერაბ კოჭლაშვილი** (ვიტ ჯორჯია): *„თანაბარი ორთაბრძოლა იყო ორი ახალგაზრდული გუნდისა. ჩემი აზრით, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ ერთმა ბურთმა გადაწყვიტა ყველაფერი. მანამდე კი სამი ფეხბურთელი ვიყავით ერთის წინააღმდეგ შეტევაში და ასეთი რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ. წაგების მიუხედავად, თამაშით უკმაყოფილო არ ვარ".*

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

10.04. თბილისი. ე. მანჯგალაძე
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| სპარტაკი | 0 |

| სამტრედია 4-4-2 | სპარტაკი 4-4-2 |
|---|---|
| ჯინჭარაძე | გრიშიკაშვილი |
| გოგია | ჭაფოძე |
| თ.შალიკაშვილი | ტეტუნაშვილი |
| ხუმარაშვილი | ბოიომო |
| ჩხიკვაძე | მანჩხავა |
| გ. მიქაბერიძე | გ. ჯიშკარიანი |
| ცხადაია | მამუჩიშვილი |
| ლომაშვილი | ჯაკოვია |
| ბურჯანაძე | დეკანოიძე |
| ალავერდაშვილი | ბუზალაძე |
| რუხაია | მ. ბარაბაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. ანჯაფარიძე | ბ.კვარაცხელია |

**სამტრედია**

45. რუხაია - **გოგიშვილი**
84. ალავერდაშვილი - **ახობაძე**

*სათადარიგოები: კეკელიძე, ენდელაძე, ხაჭაპურიძე, ა.დვალიშვილი, შენგელია*

**სპარტაკი**

62. დეკანოიძე - **უგრეხელიძე**

*სათადარიგოები: ნ.დაუშვილი, კილასონია, ალავიძე, ხაჭვანი, ზერეკიძე, სეფიაშვილი*

გაფრთხილება: **ლომაშვილი (43), მანჩხავა (45), მამუჩაშვილი (63)**

არბიტრი: **დ.ხარიტონაშვილი**

# ბურთი კარში მიდიოდა, ტალახმა არ გაუშვა

აუტსაიდერთა შეხვედრაში სასწორზე 6 ქულა იდო - ორივე უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. სამდღიანი წვიმის შემდეგ თამაშის წინ კი გამოიდარა, მაგრამ მოედანი დატბორილი და ატალახებული იყო, თამაშისას კი უარესად გაფუჭდა. დასაწყისი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. პირველი სახიფათო შეტევაც სამტრედიელებმა განახორციელეს, მაგრამ **ლომაშვილის** ფლანგურ ჩაწოდებას საჯარიმოში **ბურჯანაძე** ვერ გამოეხმაურა. ამას მისივე სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, სამტრედიელთა მარცხენა ნახევარმცველმა პირდაპირ კარისკენ მოჭრა ბურთი, მაგრამ ხარიხას ოდნავ ააცილა. მე-11 წუთზე ლომაშვილმა საჯარიმოში **ალავერდაშვილის** მისამართით ჩააწოდა, მაგრამ ფორვარდს მცველებმა დაასწრეს. ტაიმის შუაწელიდან „სპარტაკიც" გააქტიურდა. ჯერ **ბუზალაძემ** ააცილა საჯარიმოს მისადგომებიდან, შემდეგ კი **ჯიშკარიანმა** დაარტყა შორიდან და ბურთი მეკარემ მოიგერია. 27-ე წუთზე სამტრედიელებმა **რუხაია** გაიყვანეს გარღვევაზე, მაგრამ მას **გრიშიკაშვილმა** დაასწრო. საპასუხო კონტრშეტევისას კი სტუმრებს ანგარიშის გახსნის რეალური შანსი მიეცათ - **ბარაბაძე** მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, კარგ პოზიციაშიც იმყოფებოდა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. ტაიმის მიწურულს იყო სადავო ეპიზოდი, რომელმაც ადგილობრივ გულშემატკივართა გალიზიანება გამოიწვია. 45-ე წუთზე რუხაია შეიჭრა საჯარიმოში, ფეხდაფეხ **ბოიომო** მისდევდა. მასთან ორთაბრძოლისას რუხაია დაეცა, დაშავდა და შესაცვლელიც გახდა. სამტრედიელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ **ხარიტონაშვილმა** წესების დარღვევა არ დააფიქსირა და მაყურებლების რისხვა დაიმსახურა.

შესვენების შემდეგ გუნდებმა ტემპს უმატეს, მაგრამ ატალახებულ მოედანზე თამაში ძალიან ჭირდა. 49-ე წუთზე ბურჯანაძის კუთხურს ცხინვალელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, თუმცა საბოლოოდ გრიშიკაშვილმა განმუხტა მდგომარეობა. ამის შემდეგ თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა. 57-ე წუთზე ბარაბაძის ძლიერი და სახიფათო დარტყმა **ჯინჭარაძემ** ნახტომით მოიგერია. სამტრედიელთა საპასუხო შეტევისას ბურჯანაძის გამჭოლი გადაცემის შემდეგ ლომაშვილი ურტყამდა არაზუსტად. 70-ე წუთზე მასპინძლები სასწაულებრივად გადაურჩნენ გოლს - თანაგუნდელებმა ბუზალაძე გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ, მან ჯინჭარაძეს თავზე გადაუგდო ბურთი, მეკარე ბურთს კი შესწვდა, თუმცა ვერ შეიმაგრა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბურთი კარის ხაზზე ტალახში ჩაეფლო, იქედან კი **ჩხიკვაძემ** მოიგერია.

მასპინძლებმა უმალ სახიფათოდ შეუტიეს, ალავერდაშვილი მახვილი კუთხიდან მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გრიშიკაშვილს ვერ აჯობა. 78-ე წუთზე კიდევ ერთი სადავო ეპიზოდი მოხდა: სამტრედიელთა საჯარიმოში შეჭრილი ბუზალაძე **ხუმარაშვილთან** ორთაბრძოლისას დაეცა, ხარიტონაშვილმა თავიდან თითქოს პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი, თუმცა ასისტენტთან კონსულტაციის შემდეგ წესების დარღვევა აღარ დააფიქსირა, რამაც სტუმართა აღშფოთება გამოიწვია. დასამახსოვრებელი მეტი არაფერი მომხდარა. ნულოვანი ფრით ორივე გუნდი უკმაყოფილო დარჩა.

**მატჩის შემდეგ**

**ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი):** *„ორი საგოლე მომენტი გვქონდა, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ. რაც შეეხება სადავო ეპიზოდებს, მსაჯის კომპეტენციაში ვერ ჩავერევი და ვიდეოფირის ნახვის გარეშეც ვერაფერს ვიტყვი. „სამტრედიას" უმაღლეს ლიგაში დარჩენას ვუსურვებ. აქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს და ცოდვა იქნება, ეს ქალაქი უფეხბურთოდ დარჩეს."*

**ლევან ანჯაფარიძე (სამტრედია):** *„უშუალო კონკურენტებთან ზედიზედ ორი ფრის შემდეგ ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავვარდით. მოსამზადებელი პერიოდი სათანადოდ ვერ გაიარეთ, რამაც თავი იჩინა... ვიდეოფირის ნახვის გარეშე ვერ ვიტყვი, გვეკუთვნოდა თუ არა პენალტი. რაც შეეხება ჩვენს კართან მომხდარ ეპიზოდს, მომეჩვენა, რომ მსაჯმა თავიდანვე კუთხურისკენ მიუთითა და არა პენალტის ნიშნულისკენ".*

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერები



# დღეს ჭანტურია ვიტესთან კონტრაქტს გააფორმებს

## ჟორდანიას საჩუქარი დაბადების დღისთვის 11 აპრილს, 11 საათზე, 11 ნომერი

ჰოლანდიის ერედივიზიონის არნემის "ვიტესის" წევრი, გურამ კაშიას შემდეგ, დღეს გიორგი ჭანტურია გახდება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 17 წლის თავდამსხმელი ჰოლანდიურ კლუბში ზაფხულიდან ვარჯიშობს, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში ვერ მონაწილეობდა. არასრულწლოვან ფეხბურთელს ამის უფლებას ჰოლანდიური კანონმდებლობა არ აძლევდა, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია – კლუბებს არასრულწლოვან არაევროკავშირელთან კონტრაქტის გაფორმება ეკრძალებათ.

ჭანტურიას პრობლემა დასრულდა – დღეს, 11 აპრილს, გიორგი 18 წლის გახდა, სრულწლოვანს კი არსებული ბარიერი ველარ დააბრკოლებს და დღეს "ვიტესის" სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ეს ამბავი გუშინ თავად გიორგიმ გვითხრა, როდესაც სიახლეების შესატყობად დავუკავშირდით.

**- გიორგი, „ვიტესში" დიდი ხანია, ვარჯიშობ, მაგრამ კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

- ორშაბათს, 18 წლის ვხდები და, როგორც მითხრეს, 11 აპრილს , აქაური დროით თერთმეტ საათზე "ვიტესის" გულშემატკივრებთან და მედიასთან წარმადგენენ და კონტრაქტს გავაფორმებ. ასე რომ, გუნდში თამაშის უფლებას მივიღებ.

**- კონტრაქტი რამდენწლიანია?**

- სამწლიანზე შევთანხმდით.

**- კონტრაქტის გაფორმება ხომ ზაფხულში იგეგმებოდა?**

- ასე იყო ნათქვამი, მაგრამ დაბადების დღისთვის სიურპრიზი გამიკეთეს.

**- რადგან პრეზენტაცია უკვე დაიგეგმა, გეცოდინება, რანომრიან მაისურას გაძლევენ?**

- ესეც გადაწყვეტილია - 11 ნომრით ვითამაშებ.

**- ეს შენი არჩევანი იყო?**

- 11 ნომერი მეც მომწონდა და მერაბ ჟორდანიამაც დაბადების დღისთვის კონტრაქტთან ერთად ეს საჩუქარიც გამიკეთა.

**- ეს ნომერი თავისუფალი იყო?**

- არა, ნომერი დაკავებულია, მაგრამ ის ფეხბურთელი სეზონის შემდეგ "ვიტესიდან" მიდის.

**- წლეულსვე ითამაშებ თუ ახალ სეზონს უნდა დაელოდო?**

- სეზონის დასრულებამდე ვერ ვითამაშებ, რადგან ჯერ კონტრაქტი ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროში უნდა გადაამოწმონ და დაადასტურონ. ეს პროცედურა უკვე გავლილიც რომ იყოს, გუნდთან კონტრაქტი არ მქონდა და, ცხადია, განაცხადში ვერ შემიყვანდნენ, სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურია დარჩენილი, ახალი სეზონი 4 აგვისტოს დაიწყება, ასე რომ, დაცდა მომიწევს.

თუმცა პირველ ამხანაგურ შეხვედრას "ვიტესი" 9 ივლისს ჩაატარებს და იმედია, ამ დღეს ახალი კლუბის ფორმით პირველ მატჩს ჩავატარებ. თანაც ვის ვხვდებით - ლონდონის "ჩელსის" და იმედი მაქვს, "ვიტესის" მაისურით პირველ შეხვედრას სწორედ ამ გუნდის წინააღმდეგ ვითამაშებ (მატჩი თბილისის "დინამოს" მიერ თასების თასის მოპოვების 30 წლისთავს ეძღვნება - რედ.).

**- ვარჯიშობ, მაგრამ ერთია ვარჯიში და მეორე - ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა. ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ თავს როგორ გრძნობ?**

- საკმაოდ კარგად, რადგან ჩვენი მწვრთნელი სერხიო ფერერი ძალიან კარგად გვავარჯიშებს.

**- ფერერისთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა?**

- ჩემი ეიმედება და მეც მინდა, რაც შეიძლება მალე ვითამაშო და იმედები გავუმართლო.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში პირველი გოლი გაიტანე.**

- ეს ძალიან გამიხარდა, რადგან ახალგაზრდულ ნაკრებში არ მითამაშია და თავის გამოჩენა მსურდა. 3 ივნისს ხორვატიაში ვთამაშობთ და, თუ გამომიძახებენ, იმედია, გუნდის დახმარებას შევძლებ. ძალიან რთული შეხვედრა კი გველის.

**მერაბ მამულაშვილი**

# პრეზიდენტ გოიხმანს ვოლგა უქართველებოდ ვერ წარმოუდგენია

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პრეზიდენტმა **ალექსეი გოიხმანმა** საქალაქო რადიოსტუდიაში გულშემატკივართა კითხვებს უპასუხა. უკვე მომაბეზრებელიც კია ქართველთა სიმრავლესთან დაკავშირებული კითხვა, რომელთაც მანამდე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** პასუხობდა.

*"ძალიან მშვიდად ვილებ, "ვოლგას" საქართველოს ნაკრებს რომ უწოდებენ. გუნდში ექვსი ქართველია, რომელთაგან ორი რუსეთის მოქალაქეა. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ პრემიერლიგის დონის რუსი ფეხბურთელების ფასი ძალიან მაღალია. ჩვენი ქართველები კი, მაგალითად, მოსკოვის "სპარტაკის" ბრაზილიელებზე არაფრით ნაკლები ფეხბურთელები არიან და ამავე დროს ბევრად ნაკლებს ითხოვენ.*

*მინდა, გითხრათ, რომ "ვოლგაში" არანაირი დიასპორა არ არის, ფეხბურთელები ეროვნული ნიშნით არ განირჩევიან. გუნდში მშვენიერი მიკროკლიმატია. სხვათა შორის, ქართველებს ჩვენი ქალაქი ძალიან შეუყვარდათ და თავს კომფორტულად გრძნობენ. ყველა ამბობს, რომ "ვოლგაში" ბევრი ქართველია, მაგრამ ჩვენი გუნდი ვინმეს წარმოგიდგენიათ მარცვალაძის ან ხოჯავას გარეშე? მე არა,"* – ამბობს გოიხმანი.

*რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში "ვოლგა" "როსტოვს" ესტუმრა. მარცვალაძე როსტოვის სკა-ს და "როსტსელმაშის" ყოფილმა თავდამსხმელმა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ნათამაშებმა* **სერგეი ანდრეევმაც** *შეაქო: "ძალიან მომწონს ნიჟნინოვგოროდელთა თავდამსხმელი მარცვალაძე. რითი გამოირჩევა სხვებისგან? თამაშის საკუთარ თავზე აღება და ერთი-ერთზე მცველის მოტყუება შეუძლია. მარცვალაძე ხშირად და თამამად მიდის გამწვავებაზე და უმთავრესად – წარმატებით".*

*გოიხმანის სიტყვები ქართველებმა გუშინ საქმით დაადასტურეს: ხოჯავამ "როსტოვთან" ანგარიში გახსნა, საბოლოოდ კი 3:1 მოიგეს.*

**მერაბ მამულაშვილი**

მომავლის ფეხბურთი

# ხალიბი ბრუნდება!

## საფეხბურთო რუსთავი

...რუსთავი დიდი საფეხბურთო ტრადიციის ქალაქია და ის დროც კარგად გვახსოვს, აქაური ბავშვთა საფეხბურთო სკოლები საქართველოსა თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმატებულ-გამორჩეულად რომ მიიჩნეოდნენ. **შოთა ხინჩაგაშვილი, კახა ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, ნიკა ტოგონიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, ლევან სილაგაძე, ძმები ვარლამ და გია კილასონიები, სანდრო ბურნაძე, კახა ალადაშვილი, მამუკა ქორიძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ არჩვაძე, გოჩა ტრაპაიძე, დავით იმედაშვილი**, — აი, იმათი არასრული ჩამონათვალი, რომლებიც სწორედ რუსთავის საფეხბურთო სკოლებში დაფრთიანდნენ და ქართულ თუ საერთაშორისო სარბიელზე არაერთ წარმატებას მიაღწიეს. ამ შემთხვევაში კი ადგილობრივი მწვრთნელების ღვაწლიც არ უნდა დავივიწყოთ: ბავშვთა ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტებს, **თამაზ დოდაშვილსა** და აწ განსვენებულ **მურმან გოგოლაძეს**, ალბათ, ასამდე ისეთი ბიჭი გაუზრდიათ, შემდგომში საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში რომ უთამაშიათ.

სამწუხაროდ, რუსთავში ბოლო წლებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მხრივ ერთობ სავალალო მდგომარეობა იყო: ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, აქაური გუნდები თანატოლებს შორის ჩატარებულ ტურნირებზე ხეირიან შედეგს ვერ უჩვენებდნენ, ასევე ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ქალაქში მეტ-ნაკლებად ნორმალური ბავშვთა საფეხბურთო სკოლა არ არსებობდა და ასე შემდეგ. ამას გარდა, რუსთაველ გულშემატკივართაგან ბევრს არ მოსწონდა, რომ აქაურ „ოლიმპში" წლების განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელი ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობდნენ. არადა, „ოლიმპი" კერძო კლუბია და, რაც მთავარია, რუსთავის „მეტალურგისა" თუ „გორდას" სამართალმემკვიდრედ არ ითვლება; აქედან გამომდინარე, „ოლიმპის" ხელმძღვანელობებს არც „მოეთხოვებოდათ", რომ გუნდის ძირითადი ბირთვი, გინდა თუ არა, ადგილობრივებით დაეკომპლექტებინათ. თუმცა, ამ სეზონში ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა: „ოლიმპის" წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედნი რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილებიც, **გრიგოლ ბედიაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი** და **გიორგი ქავთარაძე** არიან. თუმცა, ვატყობთ, თემას გადავუხვიეთ და ახლა კი მართლაც სასიამოვნო და ბევრისთვის მისაბაძი ფაქტის შესახებ გვინდა გიამბოთ: რუსთავში მალე გაიხსნება ახალი და თანამედროვე ტიპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, რომელიც ზემოთ ნახსენები მურმან გოგოლაძის სახელობის იქნება. ბავშვთა ფეხბურთის ამ ცნობილ სპეციალისტს არაერთი მოთამაშე აღუზრდია, შემდგომში საქართველოს ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები რომ იყვნენ; თანაც, ვიდრე ცოცხალი იყო, მურმან გოგოლაძე მუდამ ოცნებობდა რუსთავში თანამედროვე ტიპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაარსებაზე; კეთილი ხალხის დახმარებით საქმეც წამოიწყო: რუსთავის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწა დაიკანონა, მაგრამ მეტი აღარ დასცალდა...

და აი, ეს კეთილი საქმე გრძელდება და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ მალე რუსთაველებს მართლაც საამაყოდ ექნებათ საქმე: სამი მოედნისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე ბავშვთა ახალმა საფეხბურთო სკოლამ ქალაქში სპორტის ამ სახეობის განვითარება-პოპულარიზაციას ხელი უნდა შეუწყოს!

## ცნობადი მეგზურები

...„ძველი" და „ახალი" რუსთავის დამაკავშირებელ ხიდს გადახვალთ თუ არა, მარჯვენა მხარეს, ვიდრე „ფოლადის" სტადიონზე მიხვალთ, ტყე-პარკის მოსაზღვრე ტერიტორიას ვერც იცნობთ (სწორედ ამ ადგილზე იქნება კიდეც ახალი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „რუსთავი"). უამინდობის მიუხედავად ტერიტორიაზე მუშაობა მიმდინარეობს და მეგზურებთან ერთად გულისყურით ვეცნობით იქაურობას. ჩვენი მეგზურები კი ქართულ ფეხბურთში „შემთხვევითი" ხალხი ნამდვილად არ არიან: საქართველოს პარლამენტის წევრი და ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი **ლაშა მინდელი** ლამის ორი ათეული წელია რუსთავის საფეხბურთო ცხოვრების ეპიცენტრში „ტრიალებს" (თანაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სხვადასხვა დროს რა თანამდებობაზე მუშაობდა), **ვარლამ კილასონია** კი რუსთავის „გორდას" ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ, მერე სამწვრთნელო ასპარეზზე გადაინაცვლა და „ოლიმპის" შემდეგ ამჟამად პატარებთანაც წარმატებით მუშაობს. რაც მთავარია, ორივე მათგანს წლების განმავლობაში მეტად ახლო ურთიერთობა (საქმიანიც და მეგობრულიც) ჰქონდათ მურმან გოგოლაძესთან (შეგირდები სიცოცხლის ბოლომდე მეტსახელად „ფეოლას" რომ ეძახდნენ) და ახლა მისი იდეის რეალიზებასაც წინ არაფერი უდგას. ვიდრე ჩვენს მეგზურ-მასპინძლებს სიტყვას მივცემდეთ, მანამდე გეტყვით, რომ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „რუსთავის" ტერიტორიაზე სამი სტადიონი იქნება: ერთი ბუნებრივი საფარით (სტანდარტული ზომებით) და ორიც — ხელოვნური (პირველის ზომები 90X50-ია, მეორესი — 50X30-ზე). ახლა კი, ჩვენს მასპინძლებს მოვუსმინოთ...

## მესამე და სამართალი

**ლაშა მინდელი:** უწინ, როცა კერძო სტრუქტურაში ვმუშაობდი, საფეხბურთო კლუბ „რუსთავს" ვასპონსორებდი. ამ გუნდს მურმან გოგოლაძე ხელმძღვანელობდა და პირველივე ცდაზე მეორედან პირველ ლიგაში გადავედით. იქაც წარმატებით ვიასპარეზეთ, მაგრამ ამ დროს რუსთავის „გორდადან" ყველა მოწვეული ფეხბურთელი წავიდა და სწორედ „რუსთავის" კადრებით მოხდა ქალაქის უპირ-



ლაშა მინდელი

ველესი გუნდის შევსება. აი, დაიშალა პირველად „რუსთავი", თუმცა ბევრად უფრო მტკივნეული იყო ამ კლუბის მეორედ დაშლა: როცა „გორდა" უმაღლესი ლიგიდან გავარდა, პირველ ლიგაში უკვე „რუსთავის" სახელით ასპარეზობდა და ვარლამ კილასონიას ხელმძღვანელობით მეორე წელს კვლავაც უმაღლესში დავბრუნდით. თუმცა, პროფლიგამ უმაღლესში თამაშის უფლება არ მოგვცა საწევროს გადაუხდელობის გამო. ახლა, „რუსთავის" აღორძინების მესამე ცდაა და მჯერა, რომ არც არასოდეს დაიშლება. რაც მთავარია, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ: მიმაჩნია, რომ სწორედ ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი; თანაც, ჩვენი მიზანია, რომ ამბიციური თაობა გავზარდოთ, აი, გარკვეული პერიოდის შემდეგ მაღალ დონეზე რომ შეეძლებათ თამაში. ამ სკოლის დაარსების იდეა მურმან გოგოლაძეს ეკუთვნოდა და ერთ-ერთ დამფუძნებლად მისი საფეხბურთო კლუბი „ხალიბი" იქნება. ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „რუსთავის" დამფუძნებლები იქნებიან აგრეთვე ქარხანა „რუსმეტალი" და კიდევ ერთი იურიდიული პირი. სხვათა შორის, „რუსმეტალის" ხელმძღვანელები არც ფიქრობენ, ამ საქმეში ჩადებული თანხით მოგება ნახონ: ყველაფერში დაგვეხმარებიან იქამდე, სანამ სკოლა საკუთარი თავის შენახვას შეძლებს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბუნებრივ მოედანზე მიწა და ქვიშა დაყრილია, გაკეთებულია სადრენაჟო სისტემა (ყოველ ერთ მეტრში მილებია ჩაყრილი); აქვე, სკოლის ტერიტორიაზე, სპეციალური ნაგებობა იქნება, რომელიც მთლიანად სარწყავ სისტემას მოემსახურება. ორ თვეში მოვრჩებით ბალახის საფარის დაგებას, მაგრამ სულ მცირე, წელიწადის განმავლობაში აქ არავინ ითამაშებს - რაც უფრო დიდხანს გავაჩერებთ მოედანს, ბალახს ძირი უფრო გაუმაგრდება. რაც შეეხება ორივე ხელოვნურ მოედანს, ამ ზაფხულამდე ისინი მზად იქნება და ჩვენი სკოლის აღსაზრდელებიც აქ ივარჯიშებენ. ნავარაუდევი გვაქვს ტრიბუნების მოწყობაც, ამას გარდა, არ გამოვრიცხავთ, რომ ადმინისტრაციის შენობის გვერდით კაფეც გავაკეთოთ, რაც დამატებით შემოსავალს შეიტანს. ამავე ტერიტორიაზეა გაუქმებული რესტორანი და ამ შემთხვევაშიც ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ; ჩაფიქრებული გვაქვს ბაზის აშენებაც, - მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტმა ამას წინათ საგანგებოდ გაუსვა ხაზი საფეხბურთო სკოლა-ინტერნატების მშენებლობას. სხვათა შორის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის მდებარეობასაც: ტყე-პარკს ვესაზღვრებით, სუფთა ჰაერია, გვერდით „ფოლადის" სტადიონია, მოკლედ, სპორტული კომპლექსივით იქნება. საინტერესო გეგმები გვაქვს: აი, თუნდაც ის რად ღირს, რომ აქვე გამავალი არხის გამოყენება გვინდა და მინიჰესი რომ ავაშენოთ (50-70 კილოვატს რომ გამოიმუშავებდეს), საკუთარი ელექტროენერგია გვექნებოდა. თუმცა, ასეც რომ არ მოხდეს, პროჟექტორები ყველა ვარიანტში გვექნება. სკოლას საკუთარი ავტობუსი ეყოლება, ბავშვები სახლიდან აქამდე და უკანა გზაზე რომ წაიყვანოს. თანაც, ჩვენი სკოლა მხოლოდ რუსთაველებისათვის კი არ იქნება: ნებისმიერი რეგიონის ნიჭიერ მოზარდს შეეძლება აქ მოსვლა. დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ მურმან გოგოლაძის ორივე ვაჟი, გიორგი და ბექა, ამ სკოლაში სხვადასხვა თანამდებობებზე იმუშავებენ, სკოლის დირექტორი კი ვარლამ კილასონია იქნება".

## მწვრთნელი-დირექტორი

**ვარლამ კილასონია:** „სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერავინ გეტყვით, თუ რამდენი საფეხბურთო ჯგუფია რუსთავში; ხშირად გამიგია და საკუთარი თვალითაც მინახავს, ეზოში თუ უბანში კონკრეტული პიროვნება ბავშვებს რომ ავარჯიშებს; ანუ არანაირი აღრიცხვა არ არსებობს, თუმცა ჩვენი კარი ყველასათვის ღია იქნება: დაწყებული 5 წლის ასაკიდან და დამთავრებული 15 წლამდე, ამ ზაფხულიდან ყველას ვეპატიჟებით. მწვრთნელებად ადგილობრივი სპეციალისტები იმუშავებენ, უკვე წინდაწინ შემიძლია ზოგიერთი წარმოგიდგინოთ: ნოდარ მეტრეველი, მამუკა ყაულაშვილი; რა თქმა უნდა, ყველა მწვრთნელს შესაბამისი ლიცენზია ექნება და, ამას გარდა, უკვე რამდენიმემ გამოთქვა სურვილი ჩვენთან დასაქმდეს. აი, მაგალითად, ყაზახეთში მოასპარეზე გიორგი ფეიქრიშვილი ტრავმის გამო კარიერის დასრულებას აპირებს და შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდეგ ჩვენს სკოლაში უნდა მოსვლა. უარს არავის ვეტყვით: თუ რომელიმე მწვრთნელს ექნება ჩვენთან ურთიერთობის სურვილი, ყველას შევხვდებით და ერთმანეთს საკუთარ პირობებს გავაცნობთ. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა მწვრთნელების გარდა, რუსთავში ხომ ბავშვთა ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტებიც არიან - **თამაზ დოდაშვილი, ტატო წიკლაური, ნუგზარ ზავრადაშვილი.**

...გადასახადი იმაზე მეტი ნამდვილად არ იქნება, სხვაგან რაც არის; თანაც, განსაკუთრებულად გამორჩეულებსა თუ სოციალურად დაუცველებზე აუცილებლად იქნება შეღავათები; ეგ კი არა, აქეთ დავეხმარებით, რისი საშუალებაც გვექნება. როცა აქაურობა საბოლოო სახეს მიიღებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც დამშვენდება, მჯერა, რომ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და, რაც მთავარია, წარმატებული საფეხბურთო სკოლა გვექნება".

**გია ტუხაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტური

# 14-წუთიანი ინტრიგა კამპ ნოუზე

## მესტალიამ დანდობა არ იცის

როცა მაჩანჩალა „ალმერიას" 22 წლის ნიჭიერმა არგენტინელმა, **პაბლო პიატიმ** „ბარსელონა" კონტრშეტევაზე დაიჭირა და უნაკლო გადაცემით 30 წლის **მიგელ ანხელ კორონას ხოსე პინტოს** კარში გოლი გაატანინა, მინავლებული საჩემპიონო ინტრიგა „აგიზგიზდა" და „კამპ ნოუზე" დაახლოებით 14 წუთი „ენთო". მაგრამ როგორც „აენთო" ისევე ჩაქრა „ბარსას" 19 წლის ნახევარმცველის **ტიაგო ალკანტარა დო ნასიმენტოს** წყალობით. ბრაზილიური წარმოშობის, მსოფლიოს ჩემპიონი მამის შვილმა ტიაგომ 63-ე წუთზე გაუგებრობას შესაშური თავურით დაუსვა წერტილი, „ბარსელონა" დააწინაურა და ცხადი გახდა, რომ „ალმერიას" მეტი გმირობის რესურსი აღარ ჰქონდა. სხვათა შორის, ის მეორედ თამაშობდა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში და კვლავ გოლი გაიტანა. ტიაგო დღეს 20 წლის ხდება. აი, სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ კატალონიელთა 8-ქულიან უპირატესობას „რეალთან" ხელი არ ეხლებოდა. შესაბამისად, მომავალ შაბათს „სამეფო კლუბმა" რომც მოიგოს, ლიდერს „სათოფეზე" მაინც ვერ მიუახლოვდება.

თავად „რეალმა" და **ჟოზე მოურინიომ** ვალი პირნათლად მოიხადეს ამ ტურში, მოიგეს, თანაც იოლად და დაელოდნენ უშუალო მეტოქეთა თამაშს. მათდა სამწუხაროდ, „რეალის" საჩემპიონო შანსები მხოლოდ მათ თამაშზე კარგა ხანია აღარ არის დამოკიდებული. ჟოზეს ბილბაოში ადგილობრივი „ატლეტიკი" უნდა დაემარცხებინა, რომელიც გააფრთებით იბრძვის ევროსაგზურისთვის და რომელსაც რიგებში მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავს.

ჟოზე მოურინიომ შემადგენლობითა და არჩეული სათამაშო ტაქტიკით პირი დააღებინა ოპონენტებსაც და მედიასაც. მან სათადარიგოთა სკამზე დატოვა **კრიშტიანო რონალდო, მესუთ იოზილი, მარსელო, ემანუელ ადებაიორი, ჩაბი ალონსო** და **რიკარდო კარვალიო**, სქემად კი 4-3-3 აირჩია. შუახაზში **ლასანა დიარა, პეპე** და **ესტებან გრანერო**



ვალენსია ხარობს

მოქმედებდნენ, შეტევაში **გონსალო იგუაინს** ფლანგებიდან **ანხელ დი მარია** და **კაკა** ეხმარებოდნენ. მოურინიოს ჩანაფიქრმა გაამართლა, „ატლეტიკი" 3:0 განადგურდა, თანაც „ნაკლები სისხლით".

განსაკუთრებით აღსანიშნავია პეპეს როლი ახალ სქემაში. თავიდან ეგონათ, რომ მოურინიო სამი ცენტრალური მცველით ითამაშებდა, რომელთაგანაც ერთი პერსონალურად **ფერნანდო ლორენტეს** აედევნებოდა. არადა, მოუს ჩანაფიქრი სულ სხვა იყო, პეპე **გარაის** და **ალბიოლის** წინ მოქმედებდა, ცდილობდა მასპინძელთა ნახევარდაცვის შეტევები მცველებამდე არ მიეშვა და დაეწყო „რეალის" შეტევები, ლორენტეს მეურვეობის რთული მისია კი კარგად შეასრულეს გარაიმ და ალბიოლმა.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ „სამეფო კლუბს" ლამის მარტომ მოაგებინა ანხელ დი მარიამ, „ტოტენჰემის" კარში ულამაზესი გოლის გამტანმა ორჯერ მოუპოვა გუნდს პენალტის დარტყმის უფლება. ფლანგიდან აიკლო „ბილბაოს" დაცვა.

ყოჩაღად გამოიყურებოდა კაკაც, ბრაზილიელმა არგენტინელის მოპოვებული ორივე პენალტი გოლად აქცია და ამით თავი ისევ მნიშვნელოვან ფიგურად იგრძნო „რეალში", მან მოედანზე 90 წუთი დაყო და ყოველ მოძრაობაზე უდიდესი მონდომება ეტყობოდა. შეცვლაზე შესულმა კრიშტიანო რონალდომ კი კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა მცველი და ჩემპიონატში 28-ე გოლი გაიტანა. რონალდოს 1 მარტის შემდეგ არ გაუტანია. ახლა მას სამი გოლიღა აშორებს თავის რეკორდთან, რომელიც რონალდომ „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშისას დაამყარა. მაშინ მან 42 გოლი გაიტანა, ახლა პორტუგალიელის ანგარიშზე 39 გოლია („მარკა" ირწმუნება, 40 გოლიო) ყველა ოფიციალურ მატჩში.

ტურის წინ **ხოსეპ გვარდიოლა** ირწმუნებოდა, რომ „ბარსელონას" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელოდა და გულშემატკივრებს მოუწოდებდა, სტადიონზე მისულიყვნენ და „ბარსას" სამი ქულის მოპოვებაში დახმარებოდნენ. არ ყოფილა პეპი მტყუანი, მატჩი მართლაც რთული გამოდგა და „ბლაუგრანას" ფანების დახმარებაც დასჭირდა (სხვათა შორის, ანშლაგი არ ყოფილა - 70 ათასი კაცი მივიდა). ხოსე პინტომ გამოჯანმრთელება მოასწრო და „ბარსას" მესამე მეკარის დახმარება არ დასჭირვებია. სტუმართა რიგებში კი ახალ მწვრთნელს, **რობერტო ოლაბეს** ჰქონდა დებიუტი.

„ალმერია" სათამაშოდ იმ გუნდის შემართებით გამოვიდა, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს, გუნდი ბოლო ადგილზეა და ახლა მისთვის 1 ქულასაც მნიშვნელობა აქვს. ამ ტაქტიკამ რაღაც დრომდე აშკარად გაამართლა და „ბარსელონას" საფიქრალი გაუჩინა.

„ბარსელონას" ფეხბურთელებს კი მომქანცველი სეზონის კვალი ეტყობოდათ. ფაქტიც სახეზეა, მათ სასარგებლოდ თამაშის ბედი პენალტისა და კუთხურის წყალობით გადაწყდა.

პირველ ტაიმში ორი რამ მოხდა ღირსშესანიშნავი და ორივე „ბარსასთვის" ცუდი ამბავია - ყვითელი ბარათი მიიღო **ხავიერ მასკერანომ** და იგი „ელ კლასიკოს" დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. გაცილებით უსიამოვნოა მეორე ამბავი - **ბოიან კრკიჩმა** მუხლი ისე დაიზიანა, რომ 2 თვეს ფეხბურთს ველარ ითამაშებს, მისთვის ეს სეზონი დასრულებულია. შესაძლოა, მან ვერც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ითამაშოს ივნისში.

მეორე ტაიმის რამდენიმე ეპიზოდი კი უკვე გაგაცანით, გეტყვით, რომ კორონას გოლს ეგრევე მოჰყვა „ბარსას" იერიშები. მალევე მეკარე **დიეგო ალვეშთან** პირისპირ **დავიდ ვილია** გავიდა, ბრაზილიელი გოლკიპერი კი შეეცადა, მაგრამ კონტაქტი ვერ აირიდა და მის კარში პენალტი დაინიშნა. ნიშნულთან **ლიონელ მესი** მივიდა და ბომბარდირთა დავაში ისევ წამოეწია რონალდოს. ალკანტარას თავურშიც მესის როლი დიდია, კუთხურს სწორედ არგენტინელი აწვდიდა. დაბოლოს, ანგარიშსაც წერტილი მან დაუსვა, როცა **მარსელო სილვას** უხეში შეცდომა გამოიყენა - 3:1. ახლა მესის სეზონში 47 გოლი აქვს გატანილი, იმდენივე, რაც შარშანდელ სეზონში. ერთიც და ის ბრაზილიელი **რონალდოს** რეკორდს გაიმეორებს.

„ონოესტადიზე" უხვგოლიანი ფრე ვიხილეთ, რომელცი არც ერთ მხარეს არ აწყობდა. აკი, მატჩის ბოლო წუთებმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ „მალიორკა" და „სევილია" ფრეზე შეთანხმდნენ - 2:2. ვფიქრობთ, „სევილიასთვის" ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგულია, თუმცა ევროპის ლიგის საგზურს ანდალუსიური კლუბი, წესით, უნდა შესწვდეს. ანგარიში **გონსალო კასტროს** ჩაწოდების შემდეგ **აკიჰირო იენაგამ** ძლიერი თავური დარტყმით გახსნა. ეს პირველი იაპონური გოლია ლა ლიგაში. „მალიორკას" უპირატესობამ 31-ე წუთამდე გასტანა, სანამ **ივან რამისმა ალვარო ნეგრედოსთან** ბრძოლაში წესი არ დაარღვია, პენალტი თავად ნეგრედომ შეასრულა. მასპინძლები ისევ ურუგვაელი გონსალო კასტროს მონადინების წყალობით დაწინაურდნენ, მან **ფასიოს** ჩაუჭრა ბურთი და **დე გუზმანი** მოძებნა, ჰოლანდიელმა ბურთით 20 მეტრი გაირბინა და დიდებული გოლი გაიტანა. ბალეარელებს ქულები ებრაელი მეკარის, **დუდუ ავატეს** შეცდომამ დააკარგვინა, მაგრამ ეს უკვე მეორე ტაიმში მოხდა, როცა წინ გამოსულმა უხეიროდ მოიგერია ბურთი და იქვე დადარაჯებულმა **ივან რაკიტიჩმა** პრაქტიკულად ცარიელ კარში გაიტანა.

ნუხელ, ვფიქრობთ, მესამე ადგილის ბედიც გაირკვა - „მესტალიაზე" საოცარი დერბის მომსწრენი გავხდით „ვალენსიამ" „ვილიარეალს" 5:0 მოუგო! ასეთ ანგარიშს „ღამურების" თავგადაკლული ფანებიც არ პროგნოზირებდნენ. წინა ტურის პოკერს ახლა დუბლი მოაყოლა **რობერტო სოლდადომ**, მას არც **ხუან მატა** ჩამორჩა, ერთი გოლი კი არგენტინელი **ევერ ბანეგას** ანგარიშზეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**16 აპრილი:** ხეტაფე-სევილია, მალაგა-მალიორკა, ალმერია-ვალენსია, რეალი-ბარსელონა.
**17 აპრილი:** დეპორტივო-რასინგი, ლევანტე-ერკულესი, რეალ სოსიედადი-სპორტინგი, ოსასუნა-ბილბაო, ესპანიოლი-ატლეტიკო.
**18 აპრილი:** ვილიარეალი-სარაგოსა.

### ბილბაო-რეალი 0:3

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კასტილიო - გურპეგი (46. დ. ლოპესი), ხ. მარტინესი (61. იტურასპე), ორბაისი, მუნიაინი - ფ. ლორენტე, ტოკერო (77. გაბილონდო).

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - სერხიო რამოსი, ალბიოლი, გარაი (76. რიკარდო კარვალიო), არბელოა - ლ. დიარა, პეპე, გრანერო - დი მარია (66. ჩაბი ალონსო), იგუაინი (61. რონალდო), კაკა.

**გოლები:** 0:1 კაკა (13-პენ), 0:2 კაკა (53-პენ), 0:3 რონალდო (69)

**გაფრთხილება:** გურპეგი, ირაისოსი, ხ. მარტინესი - გრანერო, რამოსი, დიარა, კასილიასი, არბელოა

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (2-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 36 000

### ბარსელონა-ალმერია 3:1

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, გ. მილიტო (53. პედრო), მაქსველი - ჩავი, მასკერანო, ტიაგო ალკანტარა (66. კეიტა) - მესი, კრკიჩი (30. ვილია), ინიესტა.

**ალმერია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მასედო, მ. სილვა, აკასიეტე, ლუნა - ხუანიტო, ბერნარდელო - კრუსატი (70. გოიტომი), კორონა (56. კალუ უჩე), ხუანმა ორტისი (79. ფეგული) - პიატი.

**გოლები:** 0:1 კორონა (49), 1:1 მესი (52-პენ), 2:1 ტიაგო ალკანტარა (63), 3:1 მესი (91)

**გაფრთხილება:** კრკიჩი, მასკერანო, ვილია - ბერნარდელო, დიეგო ალვეში, ხუანმა ორტისის

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 16-3 (6-2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 70 000

### მალიორკა-სევილია 2:2

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, აიოსე - მარტი, ტეხერა (69. ჟოაო ვიქტორი) - იენაგა (88. ვიქტორი), დე გუზმანი, გონსალო კასტრო (83. პინა) - ნსუე.

**სევილია (4-2-3-1):** ხ. ვარასი - კასერესი, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - მედელი, რომარიკი (36. როდრი) - პეროტი, რაკიტიჩი, კაპელი (77. ალფარო) - ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 იენაგა (16), 1:1 ნეგრედო (31-პენ), 2:1 დე გუზმანი (42), 2:2 რაკიტიჩი (68)

**გაფრთხილება:** კასტრო, დე გუზმანი, ნუნიეში - მედელი, ფასიო, ნავარო

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 18 000

### სპორტინგი-ოსასუნა 1:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, ხ. ანხელი - რივერა, ნაჩო კასესი - ნაჩო ნოვო (71. ეგურენი), ანდრე კაშტრო (62. დიეგო კასტრო), დე ლას კუევასი (77. მორანი) - ბარალი.

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, ლოლო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი (77. კალეხა), ნეკუნამი - სეხუდო (83. ლეკიჩი), ვადოცი, კამუნიასი (60. პანდიანი) - კიკე სოლა.

**გოლი:** 1:0 ბარალი (60)

**გაფრთხილება:** ბარალი - ლოლო, ნეკუნამი

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 7-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 9-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 000

### ერკულესი-ესპანიოლი 0:0

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, ხუანრა, პენია - ტ. გომეში, აგილარი - კიკო (80. სენდოა), ნ. ვალდესი, დრენტე - პორტილიო (71. ტრეზეგე).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - გალანი, ამატი, რ. როდრიგესი, ჩიკა - ხ. ლოპესი, ვერდიუ (67. ისაიაში) - ლ. გარსია (86. ფონტე), ალონსო, კალეხონი (92. ა. ვასკესი) - ოსვალდო.

**გაფრთხილება:** კორტესი, დრენტე - როდრიგესი, კორტესი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 8-3 (3-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 000

### რასინგი-ლევანტე 1:1

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, სისმა - კოლსა, ლასენი - კენედი, ბოლადო (68. ადრიანი), მუნიტისი (85. დიოპი) - ჯ. დოს სანტოსი (80. ნაუელპანი).

**ლევანტე (4-2-3-1):** მ. რეინა - ვენტა, როდასი, ნანო, დელ ორნო - პალიარდო (71. მუნიოსი), ხ. ტორესი - ვალდო (63. ნადალი), რ. სუარესი (77. რაფა ხორდა), ხუანლუ - სტუანი.

**გოლები:** 1:0 ნანო (32 ს.კ.), 1:1 რაფა ხორდა (89)

**გაფრთხილება:** ენრიკე, ბოლადო, კოლსა - პალიარდო, რეინა

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14-6 (6-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 18 000

### მალაგა-დეპორტივო 0:0

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 21 | 12 | 5 | 4 | 33-20 | 41 |
| 2. იაგელონია | 21 | 10 | 5 | 6 | 25-20 | 35 |
| 3. ლეგია | 21 | 10 | 2 | 9 | 28-31 | 32 |
| 4. ლეჩია | 21 | 9 | 4 | 8 | 27-24 | 31 |
| 5. გურნიკი | 21 | 9 | 4 | 8 | 24-32 | 31 |
| 6. შლიონსკი | 21 | 7 | 9 | 5 | 30-27 | 30 |
| 7. ბელხატოვი | 21 | 8 | 6 | 7 | 24-22 | 30 |
| 8. ლეხი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-18 | 29 |
| 9. კორონა | 21 | 7 | 7 | 7 | 28-32 | 28 |
| 10. ზაგლებე | 21 | 7 | 7 | 7 | 21-25 | 28 |
| 11. პოლონია (ვ) | 21 | 7 | 6 | 8 | 27-22 | 27 |
| 12. რუხი | 21 | 7 | 6 | 8 | 21-22 | 27 |
| 13. ვიძევი | 21 | 6 | 8 | 7 | 29-24 | 26 |
| 14. პოლონია (ბ) | 21 | 5 | 8 | 8 | 21-26 | 23 |
| 15. არკა | 21 | 4 | 8 | 9 | 12-22 | 20 |
| 16. კრაკოვია | 21 | 5 | 4 | 12 | 26-35 | 19 |

## რუმინეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| სპორტული-ტიმიშოარა | 2:3 |
| პანდური-ვიქტორია | 4:2 |
| ასტრა-სტიაუა | 1:0 |
| ბრაშოვი-გლორია | 0:1 |
| უნივერსიტატეა (კლ)-გაზ მეთანი | 2:2 |
| ვასლუი-დინამო | 2:0 |
| უნირეა-ოცელული | 0:3 |
| ტარგუ-კლუჟი | დღეს |
| რაპიდი-უნივერსიტატეა (კრ) | დღეს |

## რუსეთი

III ტური

| | |
|---|---|
| კრილია-ლოკომოტივი | 1:0 |
| კრასნოდარი-ამკარი | 1:0 |
| დინამო-ყუბანი | 1:0 |
| როსტოვი-ვოლგა | 1:3 |
| რუბინი-ნალჩიკი | 0:0 |
| ზენიტი-ცსკა | 1:1 |
| სპარტაკი-ტერეკი | 0:0 |
| ტომი-ანჟი | დღეს |

## სერბეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| იაგოდინა-იავორი | 0:1 |
| ვოივოდინა-სლობოდა | 3:1 |
| რად-ოფკ | 2:0 |
| ცრ. ზვეზდა-ჩუკარიჩკი | 4:0 |
| სპარტაკი-პარტიზანი | 1:2 |
| ბორჩა-ინდიია | 4:0 |
| სმედერევო-მეტალაცი | 1:0 |
| ბორაცი-ჰაიდუკი | 1:0 |

## სლოვენია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-ნაფტა | 4:1 |
| პრიმორიე-ცელიე | 0:1 |
| დომჟალე-მარიბორი | 2:2 |
| ტრიგლავი-ოლიმპია | 1:4 |
| რუდარი-გორიცა | 0:1 |

## უკრაინა

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სევასტოპოლი-ვოლინი | 4:1 |
| შახტარი-ობოლონი | 0:1 |
| ზორია-მეტალისტი | 0:2 |
| კარპატი-ილიჩივეცი | 3:1 |
| დნიპრო-ვორსკლა | 2:0 |
| კრივბასი-მეტალურგი (დ) | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-დინამო | 1:1 |
| არსენალი-ტავრია | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 24 | 20 | 1 | 3 | 46-10 | 61 |
| 2. დინამო | 24 | 15 | 5 | 4 | 43-19 | 50 |
| 3. მეტალისტი | 24 | 14 | 5 | 5 | 45-21 | 47 |
| 4. დნიპრო | 24 | 12 | 7 | 5 | 36-18 | 43 |
| 5. კარპატი | 24 | 12 | 6 | 6 | 34-24 | 42 |
| 6. ტავრია | 24 | 8 | 8 | 8 | 38-37 | 32 |
| 7. არსენალი | 24 | 8 | 7 | 9 | 29-30 | 31 |
| 8. ობოლონი | 24 | 8 | 6 | 10 | 21-28 | 30 |
| 9. მეტალურ (დ) | 24 | 8 | 5 | 11 | 26-35 | 29 |
| 10. ვოლინი | 24 | 8 | 5 | 11 | 21-35 | 29 |
| 11. ვორსკლა | 24 | 7 | 7 | 10 | 29-27 | 28 |
| 12. ზორია | 24 | 6 | 9 | 9 | 26-32 | 27 |
| 13. კრივბასი | 24 | 4 | 11 | 9 | 22-34 | 23 |
| 14. ილიჩივეცი | 24 | 5 | 7 | 12 | 35-56 | 22 |
| 15. სევასტოპოლი | 24 | 5 | 5 | 14 | 19-40 | 20 |
| 16. მეტალურ (ზ) | 24 | 2 | 6 | 16 | 11-35 | 12 |

## არგენტინა

IX ტური

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-გოდოი | 3:0 |
| ურაკანი-რასინგი | 0:0 |
| ესტუდიანტესი-სან ლორენსო | [illegible] |
| კოლონი-ოლიმპო | 0:2 |
| არსენალი-კილმესი | 2:2 |
| რივერი-ბანფილდი | 1:0 |
| არგ. ხუნიორსი-ხიმნასია (ლ-პ) | 1:1 |
| ლანუსი-ბოკა | 2:0 |
| ტიგრე-ოლ ბოისი | 0:1 |
| ველესი-ნიუელსი | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

### პაულისტა

XVI ტური

| | |
|---|---|
| მირასოლი-იტუანო | 3:0 |
| მოჟი მირიმი-ბოტაფოგო | 1:1 |
| სან ბერნანდო-სანტო ანდრე | 2:1 |
| პალმეირასი-გრემიო | 2:0 |
| პაულისტა-პორტუგეზა | 0:1 |
| კორინთიანსი-სან კაეტანო | 1:2 |
| ნოროესტე-სან პაულუ | 1:4 |
| ამერიკანა-სანტოსი | 0:0 |
| ლინენსე-ბრაგანტინო | 2:1 |
| ოესტე-პონტე პრეტა | 2:1 |

## ჩილე

XI ტური

| | |
|---|---|
| უონდერერსი-სან ფელიპე | 1:2 |
| პალესტინო-ლა კალერა | 1:1 |
| უაჩიპატო-აუდაქსი | 1:1 |
| კოლო კოლო-ლა სერენა | 4:1 |
| დეპ. იკიკე-უნ. დე ჩილე | 2:2 |
| ატ. ნუბლენსე-ს. მორნინგი | 1:1 |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 4:3 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 0:0 |
| უნ. კატოლიკა-კობრელოა | 2:0 |

## ეკვადორი

XII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-ლდუ კიტო | 0:0 |
| ლიგა დე ლოხა-მანტა | 3:0 |
| ოლმედო-იმბაბურა | 2:0 |
| ესპოლი-ელ ნასიონალი | 1:1 |
| ბარსელონ-ინდეპენდე | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

IX ტური

| | |
|---|---|
| სერო-მირამარი | 1:1 |
| დანუბიო-პენიაროლი | 0:1 |
| ფენიქსი-მონტევიდეო | 2:2 |
| ელ ტანკე-ბელა ვისტა | 0:0 |
| ლივერპული-რივერ პლეიტი | 1:1 |
| რასინგი-სენტრალი | 1:1 |
| რამპლა-დეფენსორი | 0:0 |
| ტაკუარემბო-ნასიონალი | 0:3 |

## მექსიკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-კერეტარო | 0:0 |
| კრუს ასული-მორელია | 2:3 |
| მონტერეი-ს. ლაგუნა | 1:1 |
| პაჩუკა-ხაგუარესი | 3:0 |
| სან ლუისი-ნეკაქსა | 0:0 |
| ატლანტე-ატლასი | 3:1 |
| პუებლა-ტოლუკა | 1:1 |
| პუმასი-ტიგრესი | 2:0 |
| გვადალახარა-ამერიკა | გვ. დასრულდა |

## აშშ

IV ტური

| | |
|---|---|
| დალასი-კოლორადო | 3:0 |
| სიეტლი-ჩიკაგო | 2:1 |
| ფილადელფია-ნიუ იორკი | 1:0 |
| დი სი იუნაიტედი-ლოს ანჯელესი | 1:1 |
| ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი | 0:2 |
| ჩივასი-კოლამბუსი | 0:0 |
| სან ხოსე-ტორონტო | 1:1 |
| ჰიუსტონი-ვანკუვერი | გვ. დასრულდა |

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური

BUNDES LIGA

# ვან გაალი ფაფუ!

## დორტმუნდის უპირატესობა ხუთ ქულამდე შემცირდა...

ბუნდესლიგის 29-ე ტურში ორი ისეთი ამბავი მოხდა, სხვა მოვლენებზე ყურადღების გამახვილება ალარც კი ღირს... დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰამბურგში" ვერ მოიგო (1:1), ხოლო გუშინ, „ლევერკუზენმა" „ზანკტ პაული" დაამარცხა (2:1). შესაბამისად, ლიდერსა და მეორეადგილოსანს შორის სხვაობა უკვე ხუთ ქულას შეადგენს. სეზონის დასრულებამდე კი ხუთი ტურია დარჩენილი. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა კი ის არის, რომ „ბაიერნის" ბოსებმა **ლუის ვან გაალი** დროზე ადრე გააგდეს - ნიურნბერგში 1:1 მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი გამოდგდა...

მაშ ასე: ვან გაალი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ალარ არის. სეზონის ბოლოს მისი გაშვება ისედაც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „ნიურნბერგთან" ფრის შემდეგ, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა გადადგეს ნაბიჯი, რომელიც მათივე განცხადებით, გარდაუვალი იყო. მატჩის შემდეგ, რომლის გამოც, „ბაიერნი" მესამედან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, ანუ, ჩემპიონთა ლიგის ზონიდან გამოვიდა, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებმა, პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა**, ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** და ფინანსურმა დირექტორმა **კარლ ჰოპფნერმა** დიდხანს ითათბირეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვან გაალის დატოვება სეზონის დარჩენილ ტურებშიც ალარ შეიძლებოდა. ზაფხულამდე რეკორდმაისტერს ლუისის ასისტენტი **ანდრის იონკერი** უხელმძღვანელებს, რომელსაც მეორე ასისტენტი **ჰერმან გერლანდი** დაეხმარება.

*„ბოლო დღეებში ფეხბურთელებს რომ ვაკვირდებოდი, ვხვდებოდი, რომ ძალიან ცუდ ხასიათზე იყვნენ. ისეთი განცდა მქონდა, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილებების ეშინოდათ. საერთოდ, აბსურდია ის, რომ თითქოს მოთამაშეები ვან გაალს მხარში ედგნენ. „ბაიერნის" საქმეები უკან იმ დღიდან წავიდა, როცა ლუისმა ჰანს-იორგ ბუტი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და პირველად ნომრად, ყველასათვის მოულოდნელად კრაფტი დაასახელა. ეს აბსურდული გადაწყვეტილება იყო. მართალია, თომასი ძალიან ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ ამის საჭიროება არ იყო და თანაც, კრაფტმა უკვე დაუშვა რამდენიმე საბედისწერო შეცდომა,"* - თქვა ჰიონესმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

რაც შეეხება „ნიურნბერგთან" მატჩს: გარდა იმისა, რომ „ბაიერნმა" ორი ქულა დაკარგა და მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, მიუნხენურმა გრანდმა **არიენ რობენი** დაკარგა! ჰოლანდიელი საფინალო სასტვენის შემდეგ (!) მსაჯის შეურაცხყოფის გამო მოედნიდან გააძევეს და მინიმუმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს აკიდებული. „ბაიერნი" მომდევნო ტურში „ლევერკუზენს" ხვდება ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ჰოლანდიელი დრიბლიორის არყოფნა რეკორდმაისტერისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

*„რობენმა ისეთი სიტყვები მითხრა, რომ ვერ გავიმეორებ. მართალია, მოგვიანებით ბოდიში მომიხადა, მაგრამ ეს მის დანაშაულს არ ამსუბუქებს,"* - ეს არბიტრ **კნუტ კირხერის** სიტყვებია. რობენმა კი არა მარტო მას, არამედ ყველას მოუბოდიშა, გულშემატკივრებს და თანაგუნდელებსაც - ასე არ უნდა გავცეცხლებულიყავიო.

„ნიურნბერგის" გოლი ბავარიელთა მეკარე **თომას კრაფტის** სინდისზეა და მოკლე პერიოდში ეს მისი მეორე შეცდომაა - ჯერ „ჰანოვერთან" (1:3) შეცდა, ახლა კი „ნიურნბერგთანაც" და ისევ საბედისწეროდ: **ლამისკენ** გაგზავნილი პასი **აიგლერს** მიუვიდა, ამ უკანასკნელმა კი ანგარიში გაათანაბრა. არა მარტო მიუნხენელებს - მატჩის შემდეგ, ნერვები ნიურნბერგელებსაც მოეშალათ. მსაჯის მიერ დამატებულ დროში, **ჰეგელერმა** გოლი გაიტანა, მაგრამ კირხერმა არ ჩათვალა, რადგან შეტევაში თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა. ფრანკებიც მცველი **ვოლშაიდი** გაოგნებული იყო, **ბადშტუბერმა** მაისურზე დამქაჩა და მე მეგონა, მსაჯი თერთმეტმეტრიანს დანიშნავდა, მან კი ჩვენ დაგვაჯარიმა და თან გოლიც არ ჩაგვითვალაო. ზოგადად, თამაში ძალიან უხეში გამოვიდა. შეხვედრის 33-ე წუთზე **გიუნდოგანმა კროოსთან** ორთაბრძოლისას ტვინის შერყევა მიიღო



ლუის ვან გაალი ბაიერნის მწვრთნელი ალარ არის

და მერე კროოსმა **პინოლაც** სასტიკად მოცელა. მიუნხენელთა ნახევარმცველი მადლობელი უნდა იყოს, წითელი ბარათი რომ არ აუფრიალეს.

„ბაიერნის" წაფორხილებით „ჰანოვერმა" ისარგებლა, „მაინცს" **ია კონანისა** და **პინტუს** გოლებით 2:0 მოუგო, რეკორდმაისტერს გაასწრო და მესამე ადგილზე ალზევდა. შესაბამისად, „წითლების" ფანები ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას აგრძელებენ, მაგრამ **მირკო სლომკას** გუნდს მომდევნო ტურში ურთულესი მატჩი ელის - სტუმრად, „ჰამბურგთან"...

დორტმუნდელებმა ვერ მოიგეს, მაგრამ „ჰამბურგთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ, „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** გიჟივით ზეიმობდა. საქმე იმაშია, რომ BVB 33-ე წუთიდან აგებდა და ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 92-ე წუთზე შეძლო. ჩრდილოგერმანელები **რუუდ ვან ნისტელროის** პენალტით (**ჰუმელსმა პეტრიჩი** ნააქცია) დაწინაურდნენ და მერე მთელი ერთი საათის განმავლობაში მხოლოდ თავს იცავდნენ. 78-ე წუთზე „ჰამბურგს" **ენის ბენ-ჰატირა** გაუგდეს, მაგრამ **მიხაელ იონინგის** გუნდი კაცნაკლულიც ახერხებდა კარის დაცვას. 92-ე წუთზე კი, მასპინძლები, როგორც იქნა, გატყდნენ: ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს **პატრიკ ოვომოიელა** შესწვდა და მიმართულება **ბლაშჩიკოვსკის** მისამართით შეუცვალა, „კუბამ" კი **ფრანკ როსტს** აუღებელი დაურტყა. რაც შეეხება კლოპის ძალიან ემოციურ ზეიმს, მატჩის შემდეგ იურგენმა თქვა: *„მარტო მწვრთნელი კი არა, ჩემი გუნდის ყველაზე დიდი გულშემატკივარიც ვარ. შესაბამისად, ემოციები ვერ მოვთოკე."*

კიდევ კარგი, რომ ქულა მაინც აიღეს, თორემ „ლევერკუზენი" სხვაობას 4 ქულამდე შეამცირებდა. **იუპ ჰაინკესის** გუნდმა გუშინ „ზანკტ პაულისთან" ბევრი კი ინერვიულეს, რადგან 58-ე წუთზე **ჰოლგერ სტანისლავსკის** გუნდი **ტაკიმ** დააწინაურა, მაგრამ მაინც შეძლეს თამაშის თავიანთ სასარგებლოდ შეტრიალება - 66-ე წუთზე **კისლინგმა** გაათანაბრა, 77-ეზე კი **ლარს ბენდერმა** გამარჯვების გოლი გაიტანა. მართალია, „დორტმუნდთან" სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირება დიდი საქმეა, მაგრამ მომდევნო ტურში „ფარმაცევტები" მიუნხენში ჩადიან და ხომ იცით, როგორ სჭირდება „ბაიერნს" ქულები... ფაქტი ერთია, კვირას ძალიან მაგარი თამაში გველის. თანაც, „დორტმუნდიც" კვირას თამაშობს - საკუთარ მოედანზე, „ფრაიბურგთან"...

პარასკევს, **კრისტოფ დაუმის** „აინტრახტი" „ვერდერთან" ფრეს დასჯერდა. უფრო სწორად, ფრანკფურტელები ძლივს გადაურჩნენ წაგებას: **ჰალილ ალთინთოფის** ავტოგოლით აგებდნენ და „აინტრახტი" წაგებისგან 83-ე წუთზე **ფენინმა** იხსნა. პრინციპში, დაუმისთვის და მის შეგირდებისთვის არც ფრეა ცუდი შედეგი, რადგან მე-16 ადგილზე მყოფ „ვოლფსბურგს" 5 ქულით უსწრებენ. „ვოლფსბურგი" ვახსენეთ და უნდა ვთქვათ, რომ „მგლებმა" ამ ტურში ბევრს გაუცრუეს იმედები. **ფელიქს მაგათი** გელზენკირხენში ჩავიდა და შურისძიების უდიდესი სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ **რალფ რანგნიკსა** და მის შეგირდებს არ ეძინათ: ვინც ფიქრობდა, რომ „ინტერთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, გელზენკირხენელები მოეშვებოდნენ, სასტიკად შეცდა. „შალკემ" ისევ ძალიან კარგად ითამაშა და **მანუელ ხურადოს** გოლით მოიგო, „ვოლფსბურგი" „სანერვიულო ზონაში" დატოვა.

29-ე ტურის ერთ-ერთი უმთავრესი გმირია „კაიზერსლაუტერნიც". „ეშმაკებმა" გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „შტუტგარტს" 4:2 მოუგეს - თანაც, სტუმრად, „მერსედეს-ბენც-არენაზე". შედეგად, „ლაუტერნი" გასავარდნ ზონას ექვსი ქულით მოშორდა, „შტუტგარტი" კი „ვოლფსბურგის" უახლოესი მეზობელია...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

### მომდევნო ტური

15 აპრილი. მაინცი-ბორუსია (მ)

16 აპრილი. ჰამბურგი-ჰანოვერი, ვოლფსბურგი-ზანკტ პაული, ჰოფენჰაიმი-აინტრახტი, კიოლნი-შტუტგარტი, კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი, ვერდერი-შალკე.

17 აპრილი. ბაიერნი-ლევერკუზენი, ბორუსია (დ)-ფრაიბურგი.

### აინტრახტი-ვერდერი 1:1

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ფრანცი, რუსი, ცაველასი (71. კიოლერი) - შევგლერი, როდე (75. კაიო) - კიტელი, ა. მაიერი (70. ფენინი), ჰალილ ალთინთოფი - გეკასი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი - ვესლი, ბოროვსკი (82. ბარგფრედე) - მარინი - ავდიჩი (26. პისარო), ვაგნერი.

**გოლები:** 0:1 ჰალილ ალთინთოფი (58-საკ. კარში), 1:1 ფენინი (83)

**გაფრთხილება:** ფრანცი, ს. იუნგი, როდე - ავდიჩი, ვაგნერი, მარინი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 25-21; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14(8)-19(7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 51 500

### შალკე-ვოლფსბურგი 1:0

**შალკე (4-2-3-1):** ნოიერი - უჩიდა, ჰოვედესი, მატიპი, შარპი - პაპადოპულოსი, შმიტცი (46. ბაუმიოჰანი) - ფარფანი (92. დრაქსლერი), რაული, ხურადო (88. ანანი) - ედუ.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, კიაერი (46. პეკარიკი), მადლუნგი, მ. შეფერი - ჟოსუე - ჰასებე, სისერო (73. პოლაკი) - დიეგო - კოო (79. ჰელმესი), გრაფიტე.

**გოლი:** 1:0 ხურადო (76)

**გაფრთხილება:** ბაუმიოჰანი - გრაფიტე, სისერო, კოო

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 13(4)-6(1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 61 673

### ჰამბურგი-ბორუსია (დ) 1:1

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი - დიკმაიერი, კაჩარი, ვესტერმანი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - ბენ-ჰატირა, ელია (83. იანსენი) - ვან ნისტელროი (83. დემელი), პეტრიჩი (90. გერერო).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი (80. ოვომოიელა), ნ. შაჰინი - გიოტცე, ლევანდოვსკი (62. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიტცი - ბარიოსი (77. ზიდანი).

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროი (39-პენ), 1:1 ბლაშჩიკოვსკი (92)

**გაფრთხილება:** ნ. შაჰინი

**გაძევება:** ბენ-ჰატირა (78. ჰამბურგი)

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 5-10; **კარში დარტყმა:** 8(4)-15(8); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 57 000

### ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი 3:2

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, კრმასი, ტოპრაკი, ბუტშერი - შუსტერი - კალიჯური (87. იენდრიშეკი), ფლუმი, მაკიადი, პუცილა - სისე (90. ბართი).

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი (64. სიგურდსონი) - რუდი, იბერტსბერგერი - მლაპა (81. რობერტო ფირმინიო), ბაბელი (87. თომალა), ალაბა - იბიშევიჩი.

**გოლები:** 1:0 შუსტერი (23), 1:1 იბიშევიჩი (34-პენ), 1:2 ბაბელი (42), 2:2 სისე (60-პენ), 3:2 ბუშტერი (78)

**გაფრთხილება:** სისე - იბიშევიჩი, რუდი, ბეკი, ბრააფჰაიდი, იბერტსბერგერი

**გაძევება:** კრმასი (33. ფრაიბურგი)

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8(3)-15(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 24 000

### ჰანოვერი-მაინცი 2:0

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ (89. ლალა) - შტინდლი, რაუში (81. კარლიტოსი) - ია კონანი (85. შტოპელკამპი), აბდელაუე.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი - ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი, ფათი (46. სოტო) - კირხჰოფი - კალიჯური, პოლანსკი - ჰოლტბი - ალაგუი (78. ფ. ჰელერი), შიურლე (61. რისსე).

**გოლები:** 1:0 ია კონანი (45+1-პენ), 2:0 პინტუ (59)

**გაფრთხილება:** ჩერუნდოლო - პოლანსკი, სვენსონი, ბუნგერტი

**გაძევება:** ნოვესკი (45. მაინცი)

**კუთხური:** 15-4; **ჯარიმა:** 14-14 ; **თამაშგარე:** 2-2 ; **კარში დარტყმა:** 21(9)-9(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 48 000

### ნიურნბერგი-ბაიერნი 1:1

**ნიურნბერგი (4-1-2-1-2):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი - კოენი, გიუნდოგანი (33. ჰეგელერი) - ექიჩი (83. მინტალი) - აიგლერი, მაკი (66. შიბერი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ლუის გუსტავო, ბადშტუბერი, პრანიჩი (46. კონტენტო) - კროოსი (46. ტიმოშჩუკი), შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი (63. კლოზე), რიბერი - გომესი.

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (5), 1:1 აიგლერი (60)

**გაფრთხილება:** ვოლფი, ვოლშაიდი - კროოსი, ბადშტუბერი

**გაძევება:** რობენი (93. ბაიერნი)

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 21(4)-9(3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 48 548

### შტუტგარტი-კაიზერსლ. 2:4

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო (67. ბოკა) - ტრეში, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი (81. გებჰარდტი), გენტნერი (73. კაკაუ), ოკაზაკი - პოგრებნიაკი.

**კაიზერსლაუტერნი (4-1-2-2-1):** ტრაპი - დიკი, აბელი (44. ამედიკი), როდნი, იესენი - პეცოსი (64. ჰოფერი) - ტიფერტი, მორავეკი - კირხი (46. რივიჩი), ჰლუშეკი - ლაკიჩი.

**გოლები:** 0:1 ლაკიჩი (17), 1:1 კუზმანოვიჩი (26-პენ), 2:1 პოგრებნიაკი (39), 2:2 ჰოფერი (68), 2:3 ლაკიჩი (79), 2:4 რივიჩი (86)

**გაფრთხილება:** პოგრებნიაკი - დიკი, ჰოფერი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8(3)-15(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 39 000

### ბორუსია (მ)-კიოლნი 5:1

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი (83. ...ფინკი), ნოიშტედტერი - როისი, არანგო (73. ჰერმანი) - ჰანკე (76. მარქსი), იდრისუ.

**კიოლნი (4-1-2-2-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟეირომელი, მოჰამადი, აიხნერი - მატუშიკი - ლანიგი (86. იალჩინი), ჟაჟალო (46. ჩიჰი) - პეჯკო (70. კლემენსი), პოდოლსკი - ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 არანგო (29), 2:0 როისი (34), 3:0 როისი (39), 3:1 ნოვაკოვიჩი (50), 4:1 დემსი (65-პენ), 5:1 ნორდტვეიტი (67)

**გაფრთხილება:** არანგო - ჟაჟალო, მატუშიკი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 19(9)-8(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 53 104

### ლევერკუზენი-ზანკტ პაული 2:1

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** გიფერი - ბალიტში (46. კასტრო), შვააბი, რაინარტცი, კადლეცი (60. დერდიოკი) - ვიდალი, როლფესი - სემი, ბალაკი, ბარნეტა (68. ლ. ბენდერი) - კისლინგი.

**ზანკტ პაული (4-2-3-1):** პლიკე - ლეხნერი, თორანდტი, ეგერი, გიუნეში - ბოლი (79. სუკუტა-პასუ), მ. ლემანი - ბრუნსი (72. დაუბე), ტაკი (84. ებერსი), ნაკი - ასამოა.

**გოლები:** 0:1 ტაკი (58), 1:1 კისლინგი (66), 2:1 ლ. ბენდერი (77)

**გაფრთხილება:** შვააბი - ასამოა, ტაკი, მ. ლემანი

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 19(5)-6(1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 30 210

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 29 | 20 | 6 | 3 | 59-18 | 66 |
| 2. ლევერკუზენი | 29 | 18 | 7 | 4 | 59-35 | 61 |
| 3. ჰანოვერი | 29 | 17 | 2 | 10 | 42-40 | 53 |
| 4. ბაიერნი | 29 | 15 | 7 | 7 | 61-35 | 52 |
| 5. მაინცი | 29 | 14 | 3 | 12 | 43-37 | 45 |
| 6. ნიურნბერგი | 29 | 12 | 7 | 10 | 43-38 | 43 |
| 7. ჰამბურგი | 29 | 12 | 6 | 11 | 44-45 | 42 |
| 8. ფრაიბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 38-41 | 41 |
| 9. შალკე | 29 | 11 | 6 | 12 | 43-33 | 39 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 44-42 | 37 |
| 11. კიოლნი | 29 | 10 | 5 | 14 | 39-54 | 35 |
| 12. კაიზერსლ. | 29 | 9 | 7 | 13 | 40-46 | 34 |
| 13. ვერდერი | 29 | 8 | 10 | 11 | 39-55 | 34 |
| 14. აინტრახტი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-39 | 33 |
| 15. შტუტგარტი | 29 | 8 | 6 | 15 | 49-54 | 30 |
| 16. ვოლფსბურ. | 29 | 6 | 10 | 13 | 32-42 | 28 |
| 17. ზტ. პაული | 29 | 8 | 4 | 17 | 30-51 | 28 |
| 18. ბორუსია (მ) | 29 | 7 | 5 | 17 | 43-63 | 26 |

**ბომბარდირები:** 20 - სისე (ფრაიბურგი); 19 - გომესი (ბაიერნი); 16 - გეკასი (აინტრახტი); 13 - ბარიოსი (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

XXIX ტური

**აუგსბურგი-ფიურტი** 0:0

**ოსნაბრიუკი-არმინია** 0:0

**დუისბურგი-ალემანია** 3:2

**გოლები:** 1:0 ბალიაკი (40), 1:1 შტიბერი (45+1), 1:2 აუერი (49), 2:2 ექსლაგერი (62), 3:2 სუკალო (85)

**მიუნხენ 1860-კოტბუსი** 4:0

**გოლები:** 1:0 შტალი (2), 2:0 აიგნერი (35), 3:0 აიგნერი (65), 4:0 ლაუთი (84)

**ობერჰაუზენი-ფორტუნა** 1:2

**გოლები:** 1:0 კაია (52-პენ), 1:1 ლანგენეკე (58-პენ), 1:2 ბაისტერი (61)

**პადერბორნი-ინგოლშტადტი** 1:1

**გოლები:** 0:1 ლაიტლი (53), 1:1 ვახსმუთი (55)

**უნიონი-ფრანკფურტი** 2:0

**გოლები:** 1:0 მატუშკა (69), 2:0 მოსკერა (89)

**აუე-კარლსრუე** 1:1

**გოლები:** 0:1 ტერაცინო (37), 1:1 კლინგბაილი (76)

**ბოხუმი-ჰერტა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 28 | 18 | 5 | 5 | 57-25 | 59 |
| 2. აუგსბურგი | 29 | 17 | 7 | 5 | 52-21 | 58 |
| 3. ბოხუმი | 28 | 17 | 4 | 7 | 40-28 | 55 |
| 4. ფიურტი | 29 | 14 | 9 | 6 | 39-22 | 51 |
| 5. აუე | 29 | 14 | 7 | 8 | 32-32 | 49 |
| 6. დუისბურგი | 29 | 13 | 7 | 9 | 44-30 | 46 |
| 7. კოტბუსი | 29 | 13 | 6 | 10 | 54-44 | 45 |
| 8. მიუნხენ 1860 | 29 | 12 | 9 | 8 | 41-29 | 43 |
| 9. ფორტუნა | 29 | 13 | 3 | 13 | 38-35 | 42 |
| 10. ალემანია | 29 | 11 | 8 | 10 | 49-50 | 41 |
| 11. უნიონი | 29 | 10 | 8 | 11 | 32-33 | 38 |
| 12. ფრანკფურტი | 29 | 10 | 4 | 15 | 38-44 | 34 |
| 13. პადერბორნი | 29 | 8 | 8 | 13 | 27-40 | 32 |
| 14. ინგოლშტ. | 29 | 8 | 7 | 14 | 35-43 | 31 |
| 15. კარლსრუე | 29 | 7 | 8 | 14 | 39-63 | 29 |
| 16. ოსნაბრიუკი | 29 | 7 | 6 | 16 | 37-53 | 27 |
| 17. ობერჰაუზენი | 29 | 6 | 6 | 17 | 23-50 | 24 |
| 18. არმინია | 29 | 3 | 6 | 20 | 22-57 | 15 |

** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა*

**ბომბარდირები:** 21 - პეტერსენი (კოტბუსი); 17 - აუერი (ალემანია); 15 - მიოლდერსი (ფრანკფურტი); 14 - ლაუთი (მიუნხენ 1860); 13 - ნანდო რაფაელი (აუგსბურგი).

### III ბუნდესლიგა

ბურგჰაუზენი-შტუტგარტი II 3:4, ბაბელსბერგი-ოფენბახი 2:0, რეგენსბურგი-ვეენი 0:0, ალენი-ბაიერნი II 2:0, აალენი-ზანდჰაუზენი 0:0, ერფურტი-ზაარბრიუკენი 1:2, ჰანზა-დრეზდენი 1:0, კობლენცი-ჰაიდენჰაიმი 4:0, ვერდერი II-კარლ ცაისი 0:0, უნტერჰახინგი-ბრაუნშვაიგი 0:1.

### თურქეთი

სუპერლიგა. XXVIII ტური

**ბურსა-ანთალია** 2:3

**გოლები:** 1:0 ალტიდორი (45), 1:1 ინჩემანი (58), 2:1 მილერი (64), 2:2 ათესი (67), 2:3 ინჩემანი (74)

**ბუკა-ქარაბიუქი** 2:1

**გოლები:** 0:1 ჩერნატი (13-საკ. კარში), 1:1 იებრინი (20), 2:1 კუჩიკი (35)

**კონია-მანიშა** 0:0

**ესქიშეჰირი-ფენერბაჰჩე** 1:3

**გოლები:** 1:0 ბ. კარადენიზი (8), 1:1 ერქინი (10), 1:2 ნიანგი (15), 1:3 შენთურქი (87)

**ბუიუქშეჰირი-სივასი** 1:2

**გოლები:** 0:1 პედრიელი (36), 0:2 კილიჩი (60), 1:2 ჰოლოშკო (64)

**გაზიანთეფი-ანკარაგიუჯუ** 3:2

**გოლები:** 1:0 ადინი (58), 2:0 თოსუნი (61), 2:1 რაინოხი (66), 3:1 თოსუნი (76), 3:2 ჩეკი (88)

**გენჩლერბირლიგი-ქაისერი** 4:1

**გოლები:** 1:0 პექთემექი (26), 2:0 ზეცი (62), 2:1 ბილგინი (68), 3:1 იედინაკი (89), 4:1 დემირი (90)

**გალათასარაი-ტრაბზონი** 0:1

**გოლი:** 0:1 ბ. ილმაზი (82)

**კასიმფაშა-ბეშიქთაში** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 28 | 20 | 6 | 2 | 56-21 | 66 |
| 2. ფენერბაჰჩე | 28 | 20 | 4 | 4 | 65-28 | 64 |
| 3. ბურსა | 28 | 14 | 10 | 4 | 44-23 | 52 |
| 4. გაზიანთეფი | 28 | 14 | 7 | 7 | 39-27 | 49 |
| 5. ქაისერი | 28 | 12 | 7 | 9 | 37-34 | 43 |
| 6. ესქიშეჰირი | 28 | 11 | 9 | 8 | 32-30 | 42 |
| 7. ბეშიქთაში | 27 | 11 | 6 | 10 | 41-32 | 39 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 28 | 11 | 4 | 13 | 35-35 | 37 |
| 9. ქარაბიუქი | 28 | 10 | 7 | 11 | 42-44 | 37 |
| 10. მანიშა | 28 | 11 | 3 | 14 | 39-43 | 36 |
| 11. ანთალია | 28 | 9 | 9 | 10 | 30-36 | 36 |
| 12. გენჩლერბირ. | 28 | 9 | 7 | 12 | 35-42 | 34 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 28 | 8 | 9 | 11 | 40-48 | 33 |
| 14. გალათასარ. | 28 | 10 | 3 | 15 | 29-38 | 33 |
| 15. სივასი | 28 | 8 | 7 | 13 | 35-47 | 31 |
| 16. ბუკა | 28 | 6 | 6 | 16 | 22-43 | 24 |
| 17. კასიმფაშა | 27 | 5 | 5 | 17 | 26-56 | 20 |
| 18. კონია | 28 | 3 | 9 | 16 | 20-40 | 18 |

**ბომბარდირები:** 19 – ალექსი (ფენერბაჰჩე); 15 – ნიანგი (ფენერბაჰჩე); 13 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი), ემენიკე (ქარაბიუქი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

# მანჩესტერის ოფსაიდი, ჩელსის იდაყვი



დიმიტარ ბერბატოვი

„ფულჰემის“ თავკაცმა, **მარკ ჰიუზმა** ნახა როგორ დაჩაგრა მისი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და განაცხადა, რომ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს სამივე შეჯიბრებაში გამარჯვების ძალა შესწევთ. „იუნაიტედის“ ყოფილმა თავდამსხმელმა თქვა, რომ მანჩესტერელებს შეუძლიათ გაიმეორონ ის, რითაც 1999 წელს მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკეს.

*„მათ ყველაფრის მოგება შეუძლიათ. ეს გახლავთ გუნდი, რომელიც წინასწარ ანგარიშობს, რომელ შეხვედრაში რა იქნება საჭირო და როდესაც მასთან სათამაშოდ ჩადიხარ, ზედმიწევნით მომზადებული გხვდება. ასეთი რამ ძალიან რთული შესასრულებელია, რასაც სერ ალექსი თავადაც აღიარებს. მინდა „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდი წარმატება ვუსურვო“.*

მაგრამ, სანამ ჰიუზი „იუნაიტედს“ ფეხბურთელებს აქებდა, თავად სერ ალექსი თავის ფეხბურთელებს ტყავს აძრობდა:

*„შედეგი კარგი იყო, რადგან გავიმარჯვეთ, მაგრამ თამაშით სულაც არ ვარ კმაყოფილი. ჩემი ფეხბურთელები დუნედ იქცეოდნენ და ბევრი რამ შემთხვევით მოხდა. პირველ ტაიმზე საყვედური არ მეთქმის, ძალიან კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ და მეტი გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ შესვენების შემდეგ ბურთის ფლობას ვუკელით და შეიძლებოდა დავსჯილიყავით“.*

ამ შეხვედრაში „ფულჰემის“ სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშა „ჩელსისგან“ ნაქირავებმა თავდამსხმელმა **გაელ კაკუტამ**. სწორედ კაკუტა გახლდათ პირველი ლონდონელი, რომელმაც მანჩესტერელთა მეკარე **ტომაშ კუშჩაკს** საჯარიმოს კიდიდან ოსტატობა შეუმოწმა. შემდეგ „იუნაიტედი“ პენალტს ითხოვდა - **ნემანია ვიდიჩის** დარტყმული **დიკსონ ეტუჰუს** თითქოსდა ხელში მოხვდა. **პოლ სქოულზმა** ბურთი რომ დაკარგა **ბობი ზამორას** მიეცა გოლის გატანის კარგი შანსი, მაგრამ გამოჯანმრთელებულ ლონდონელს ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, მოედნის მეორე ბოლოში **დიმიტარ ბერბატოვმა** იყოჩაღა. „ფულჰემის“ საჯარიმოს მისადგომებთან **ნანიმ** ჯერ შესანიშნავად ჩაადრიბლინგა, შემდეგ **ანდერსონთან** ეგრეთ წოდებული კედელი გაათამაშა და ბოლოს მცირე ოფსაიდში მდგომ ბულგარელს გადააწოდა. ბერბატოვის მიერ შორეულ დაბალ კუთხეში დარტყმული ბურთი კარში შევარდა.

ნანი დიდებული იყო მეორე გოლის დროსაც - მეორე გოლიც პირველ ტაიმში გავიდა: ის მარცხენა ფრთიდან გაიჭრა, ნაჩქარევად შორს გამოვარდნილ მეკარე **მარკ შვარცერს** აჯობა და შორეულ ძელთან **ანტონიო ვალენსიას** დაასკუპა ბურთი თავზე...

„ჩელსის“ თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** „უიგანთან“ შეხვედრაში დაინახა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩამდე თამაშის ხარისხი აქვს გამოსასწორებელი. „ჩელსიმ“ „უიგანს“ 1:0 მოუგო.

შეხვედრაში, რომელიც „სტემფორდ ბრიჯზე“ გაიმართა, სტუმრები ყრუ დაცვაში იდგნენ, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში მაინც მოახერხეს გამარჯვების გოლის შეგდება. ეს **ფლორან მალუდამ** შეძლო. გოლი ასე გავიდა: **დიდიე დროგბამ** კუთხური ჩააწოდა, **ფერნანდო ტორესმა** მცველების ალყაში ახტომა და მეკარე **ალი ალ ჰაბსისთვის** ბურთის დაჭერაში ხელის შეშლა მოახერხა (ამ ეპიზოდში ათიდან ცხრა მსაჯი ესპანელს დააჯარიმებდა), მალუდამ კი გადმოვარდნილს დასცხო და ბადეში „შეტენა“.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თქვა: *„მანჩესტერში გაცილებით უკეთ უნდა ვითამაშოთ. წლეულს შარშანდელთან შედარებით გოლების გატანა გვიჭირს“.*

ტორესმა კვლავ ვერ გაიტანა გოლი.

*„დღეს თითოეულ ჩვენგანს უნდოდა, რომ მას ბოლოს და ბოლოს გოლი შეეგდო. სამწუხაროდ, ორიოდ ეპიზოდში ფერნანდოს იღბალმა კვლავ ზურგი აქცია. რა გაეწყობა, ჩვენ ვალდებული ვართ მისი ნდობა არ დავკარგოთ. იმედი მაქვს, რომ ის ჩვენთვის სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან გოლებს გაიტანს“.*

„უიგანის“ თავკაცმა **რობერტო მარტინესმა** კი, რასაკვირველია, გოლის ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება: *„დღესავით ნათელია, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. ტორესმა ჩვენს მეკარეს სახეში იდაყვი მიარტყა. მე მსაჯ ჰოვარდ ვებს დიდ პატივს ვცემ და მისგან ასეთი შეცდომა გულდასაწყვეტი იყო. არადა, შეხვედრის მთავარი მომენტი სწორედ ეს იყო“.*

იმავე ეპიზოდზე ლაპარაკისგან ანჩელოტიმ თავი შეიკავა. მან თქვა, რომ წინა ოთხშაბათს, „იუნაიტედთან“ შეხვედრაში, მის გუნდს აშკარა პენალტი არ დაარტყმევინეს და ამიტომ, მსაჯობაზე საერთოდ გაჩუმება უჯობს.

ამ შეხვედრაში საინტერესო კიდევ **უგო როდალეგას** საქციელი იყო. ის მარტინესმა 62-ე წუთზე შეცვალა, რამაც ფეხბურთელი გააბრაზა, თუმცა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე ის მაინც შეაქო.

„ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** კმაყოფილი დარჩა არა მხოლოდ იმით, რომ მისმა გუნდმა „სტოკს“ 3:2 მოუგო, არამედ იმითიც, რომ ორი გოლით თავი **პიტერ კრაუჩმა** გამოიჩინა. კრაუჩს, მოგეხსენებათ, გასულ კვირაში დიდი კრიტიკა ერგო - მან მადრიდში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრის პირველივე ტაიმში მოახერხა ორი ყვითლის მიღება და მოედნის დატოვება. „სტოკთან“ შეხვედრაში მალალ ფორვარდს გულშემატკივარი გაორებული შეხვდა - ნაწილმა „ბუუ“ შემოსძახა, ნაწილმა კი ტაში დაუკრა, მაგრამ სულ მალე „უაით ჰართ ლეინი“ ერთსულოვანი გახდა.

*„დღეს კრაუჩმა და მთელმა გუნდმა ზუსტად ის გააკეთეს, რაც მინდოდა, რომ მადრიდული თამაშის შემდეგ გაეკეთებინათ. მეტსაც გეტყვით, დიდხანს ვყოყმანობდი, ვერ გადამეწყვიტა მეთამაშებინა თუ არა კრაუჩი. არ მინდოდა ის გაბრაზებული გულშემატკივრისთვის შემეჩეხებინა“.*

„ვულვზისა“ და „ევერტონის“ შეხვედრა სტუმრების შთამბეჭდავი გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ვულვერჰემპტონის გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა დასჭირდება, ლივერპულელებმა კი გაზაფხულზე ერთი ჩაისუნთქეს და ევროთასებზე გამსვლელი ადგილის მოსაპოვებლად შტურმს შეუდგნენ - „ევერტონს“ ზედიზედ 6 თამაშია არ წაუგია.

„ბოლტონმა“ „ვესტ ჰემს“ მოუგო 3:0. ორი გოლი „ჩელსისგან“ ნაქირავებმა 21 წლის **დენიელ სტარიჯმა** გაიტანა. დამარცხებულთა განამებულმა თავკაცმა **ავრამ გრანტმა** კი განაცხადა, რომ მის გუნდს გაჭირვების ჟამს ადრეც ბევრჯერ მოუკრებია ძალ-ღონე და იმედოვნებს, რომ ამჯერადაც ასე მოიქცევა.

იანვარში „ლივერპულიდან“ გაგდებულმა **როი ჰოჯსონმა** კი თავის ახალ გუნდ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ მორიგი ქულები მოაპოვებინა. სანდერლენდში 3:2 მოგების შემდეგ ჰოჯსონის ბიჭები გასავარდნთა ზონას მთელი 7 ქულით გასცდნენ. მწვრთნელმა, რომელმაც სამი წლის წინ ზუსტად ასე უშველა „ფულჰემს“, განაცხადა, რომ პრემიერლიგაში დასარჩენად მას 42 ქულა დასჭირდება.

*„ორმოცდაორთან კი 39 გაცილებით ახლოსაა, ვიდრე 32“* - დასძინა ჰოჯსონმა.

„ბლექბერნის“ თავკაცმა **სტივ კინმა** კი „ბირმინგემთან“ 1:1-ის შემდეგ დაიჩივლა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

მეტად თვალსასეირო გამოდგა „ბლექპულისა“ და „არსენალის“ შეხვედრა, რომელშიც ყველა გოლი კონტრშეტევით გავიდა. უპირველეს ყოვლისა ამ თამაშთან დაკავშირებით ის უნდა აღინიშნოს, რომ „მეთოფეთა“ კარს „ნაფტალინიდან ამოღებული“ გერმანელი მეკარე **იენს ლემანი** იცავდა. წესით, ჩრდილოლონდონელების კარში **მანუელ ალმუნია** უნდა მდგარიყო, მაგრამ ესპანელი ზედ თამაშის დაწყების წინ დაშავდა. ლემანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად ითამაშა.

თამაშის მსვლელობისას როგორც ერთ, ასევე მეორე კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა. ბრწყინვალე გახლდათ 10-15 წუთიანი მონაკვეთი შესვენების შემდეგ. ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც „ბლექპულმა“ დიდებული ფეხბურთი ითამაშა, სახელოვან სტუმარს ერთი გოლი გაუტანა და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო. იყო ერთი საპენალტე ეპიზოდიც, როდესაც შესანიშნავად მოთამაშე **გერი ტეილორ-ფლეტჩერის** ნაქცევისთვის მსაჯს ხელის თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაშვერა შეეძლო. ცალკეულ ეპიზოდებში დიდებულად თამაშობდა „არსენალიც“. საინტერესო გახლდათ ის ამბავიც, რომ „მეთოფეთა“ პირველი ორი გოლი სამწუთიან მონაკვეთში **აბუ დიაბიმ** და **ემანუელ ებუემ** გაიტანეს - ამ ფეხბურთელებს გადამწყვეტ დარტყმებზე მეტად სხვა თვისებებით იცნობენ.

„ასტონ ვილამ“ კი ტურის ბოლო შეხვედრაში „ნიუკასლს“ 5:0 მოუგო და გასავარდნთა ზონას 5 ქულით დაშორდა. არადა, თავიდან მომენტები **ჯოი ბარტონს** და **ნილ რეინჯერს** ჰქონდათ, მაგრამ შეხვედრის ერთადერთი გოლი საპირისპირო კარში გავიდა. გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა **პიტერ ლოვენკრანდსსაც** ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილი**

#### მომდევნო ტური

16 აპრილი. ბირმინგემი-სანდერლენდი, ბლექპული-უიგანი, ევერტონი-ბლექბერნი, ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი, ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
17 აპრილი. არსენალი-ლივერპული.
19 აპრილი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი.

### შოტლანდია. პრემიერლიგა.
XXXII ტური

**აბერდინი-ჰიბერნიანი 0:1**
გოლები: 0:1 სოდიე (15)

**სელტიკი-სენტ მირენი 1:0**
გოლები: 1:0 კომონსი (78)

**დანდი-სენტ ჯონსტონი 2:0**
გოლები: 1:0 რასელი (45), 2:0 რობერტსონი (85)

**ჰართსი-მოზერუელი 0:0**

**კილმარნოკი-ინვერნესი 1:1**
გოლები: 0:1 ჰეიესი (10), 1:1 კელი (13)

**ჰემილტონი-რეინჯერსი 0:1**
გოლები: 0:1 იელავიჩი (44)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 30 | 23 | 4 | 3 | 65-18 | 73 |
| 2. რეინჯერსი | 30 | 23 | 2 | 5 | 65-27 | 71 |
| 3. ჰართსი | 32 | 18 | 6 | 8 | 46-30 | 60 |
| 4. დანდი | 32 | 14 | 10 | 8 | 44-37 | 52 |
| 5. კილმარნოკი | 32 | 13 | 8 | 11 | 47-37 | 47 |
| 6. მოზერუელი | 33 | 13 | 5 | 15 | 36-43 | 44 |
| 7. ინვერნესი | 31 | 9 | 10 | 12 | 40-39 | 37 |
| 8. ჰიბერნიანი | 32 | 10 | 6 | 16 | 35-50 | 36 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 32 | 8 | 10 | 14 | 18-38 | 34 |
| 10. აბერდინი | 32 | 9 | 4 | 19 | 34-53 | 31 |
| 11. სტ მირენი | 32 | 7 | 7 | 18 | 30-52 | 28 |
| 12. ჰემილტონი | 32 | 2 | 10 | 20 | 18-54 | 16 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - ჰუპერი (სელტიკი), სემონი (კილმარნოკი); 14 - ჰიგდონი (სენტ მირენი), გუდვილი (დანდი) სტოკსი (სელტიკი);
*კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსასფორში“ გადავიდა, ხოლო კონორ სემონი „უიგან ატლეტიკში“.*

#### ვულვერჰემპტონი-ევერტონი 0:3

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ელოკობი, ფოული, ბერა, სტირმენი - გუედიურა (76. მილიაში), ჰენრი, ჯერვისი, ო'ჰარა - ებანკს-ბლეიკი (46. ნაითლი), ფლეტჩერი (82. ჰემილი)

**ევერტონი** (6-2-2): ჰოვარდი - ბეინესი, ჯეგიელკა, ჰიბერტი, ფ. ნევილი, ჰეიტინგა, დისტინი - ბელიალეტდინოვი (82. ფორშოუ), ოსმანი - გუეიე (64. ენიჩიბე), ბეკფორდი (73. ველიოსი)

**გოლები:** 0:1 ბეკფორდი (21), 0:2 ფ. ნევილი (39), 0:3 ბელიალეტდინოვი (45)

**გაფრთხილება:** ბელიალეტდინოვი (ევერტონი)

**კუთხური:** 13-6; **ჯარიმა:** 13-14; **კარში დარტყმა:** 11-9 (7-6); **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 28 352

#### ბლექბერნი-ბირმინგემი 1:1

**ბლექბერნი** (4-5-1): რობინსონი - სალგადო, ნილსენი (35. რობერტსი), სამბა, ოლსონი - ჰოილეტი (69. ემერტონი), დანი, ჯ. ჯონსი, ფ. ჯონსი, პედერსენი - სანტა კრუსი (63. ბენჯანი)

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რიჯუელი, რ. ჯონსონი (69. კ. დევისი), პენარბი - ლარსონი, ფერგიუსონი, გარდნერი, ბოიერი - ჯერომი, ფილიპსი

**გოლები:** 0:1 ბოიერი (32), 1:1 ჰოილეტი (45)

**გაფრთხილება:** ოლსონი, ჯ. ჯონსი - გარდნერი, ლარსონი, კარი

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 10-10; **კარში დარტყმა:** 15-6 (5-5); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 28 426

#### ბოლტონი-ვესტ ჰემი 3:0

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, ალონსო - ელმანდერი, მუამბა, ლი (78. ტეილორი), მ. პეტროვი (79. როდრიგო) - კ. დევისი (82. კლასნიჩი), სტარიჯი

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - ტომკინსი, აპსონი (46. იაკობსენი), და კოსტა, ბრიჯი - ნობლი, პარკერი (76. სპექტორი), ჰიტცლშპერგერი - პიქვიონი (46. კ. კოული), კინი, ბა

**გოლები:** 1:0 სტარიჯი (14), 2:0 ლი (20), 3:0 სტარიჯი (51)

**გაფრთხილება:** გ. კეჰილი (ბოლტონი)

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 6-10; **კარში დარტყმა:** 23-14 (12-8); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 25 874

#### ჩელსი-უიგანი 1:0

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ფერეირა (75. ალექსი), ლუიზი, ივანოვიჩი, ე. კოული - რამირესი, მიკელი (46. ბენაიუნი), ლემპარდი - ანელკა (59. ტორესი), მალუდა, დროგბა

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - მაკარტი, უოტსონი, დიამე (85. მოზესი) - ნ'ზოგბია (62. დი სანტო), კლივერლი, როდალეგა (62. სემონი)

**გოლები:** 1:0 მალუდა (67)

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 11-12; **კარში დარტყმა:** 21-11 (13-7); **თამაშგარე:** 0-3; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 40 734

#### მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი 2:0

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-5-1): კუშჩაკი - ო'ში, ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა - ვალენსია (73. ოუენი), გიბსონი, ანდერსონი (76. ფაბიო), სქოულზი, ნანი (87. ქერიკი) - ბერბატოვი

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო - დემპსი, მერფი (82. გრინინგი), ეტუჰუ (67. გერა), კაკუტა - ზამორა, დემბელე (55. გუდიონსენი)

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (12), 2:0 ვალენსია (32)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 12-8; **კარში დარტყმა:** 16-12 (12-5); **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 75 339

#### სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი 2:3

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე - ონუოჰა, მენსა (12. ა. ფერდინანდი, 78. სესენიონი), ტერნერი, ბერდსლი - ალ მუჰამადი, კეტერმოლი, რიჩარდსონი (46. ზენდენი), მოლბრანკი - უილბეკი, ასამოა

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): კერსონი - რიდი, ოლსონი, მეიტე, შორი - ბრანტი (78. მორისონი), მულუმბუ, შარნერი, ტომასი - კოქსი (85. ფორჩუნი), ოდემვინგე (90. ტამასი)

**გოლები:** 1:0 შორი (10 ს.კ.), 1:1 ოდემვინგე (28), 2:1 ბერდსლი (31), 2:2 მულუმბუ (54), 2:3 შარნერი (72)

**გაფრთხილება:** რიჩარდსონი, კეტერმოლი, ა. ფერდინანდი - ტამასი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 10-11; **კარში დარტყმა:** 7-12 (4-8); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 41 586

#### ტოტენჰემი-სტოკი 3:2

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ჩორლუკა, ქაბული, დოუსონი, ასუ-ეკოტო (89. გალასი) - მოდრიჩი, ჰადლსტოუნი, ვან დერ ვაარტი, ბეილი - კრაუჩი, პავლიუჩენკო

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილენი (76. უაიტჰედი), ჰუთი, შოუკროსი, უილკინსონი - პენანტი (76. ფულერი), დილეპი (76. დიაო), უილსონი, ეზერინგტონი - კ. ჯონსი, უოლტერსი

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (11), 2:0 მოდრიჩი (18), 2:1 ეზერინგტონი (27), 3:1 კრაუჩი (34), 3:2 კ. ჯონსი (47)

**გაფრთხილება:** ჰადლსტოუნი - პენანტი, უილკინსონი, ეზერინგტონი

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 11-16; **კარში დარტყმა:** 9-10 (8-5); **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 32 702

#### ბლექპული-არსენალი 1:3

**ბლექპული** (4-4-2): კინგსონი - ბეპტისტი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი - ვენჩიონი (87. კორნილენკო), ადამი, საუთერნი (82. ფილიპსი), ვერნი (60. რიდი) - ტეილორ-ფლეტჩერი, დი ჯეი კემპბელი

**არსენალი** (4-4-2): ლემანი - ებუე, კოშელნი, სკილაჩი, კლიში - ნასრი (81. გიბსი), დიაბი, უილშირი, არშავინი (61. უოლკოტი) - ფაბრეგასი (88. გიბსი), ვან პერსი

**გოლები:** 0:1 დიაბი (18), 0:2 დიაბი (21), 1:2 ტეილორ-ფლეტჩერი (52), 1:3 ვან პერსი (76)

**გაფრთხილება:** საუთერნი, კრეინი - დიაბი, უილშირი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-9; **კარში დარტყმა:** 12-16 (6-7); **თამაშგარე:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 16Ø30

#### ასტონ ვილა-ნიუკასლი 1:0

**ასტონ ვილა** (4-4-2): ფრიდელი - უოქერი (78. კუელარი), კოლინზი, ლ. იანგი, დანი - ე. იანგი, ს. პეტროვი, დაუნინგი, მაკუნი (67. რიო-კოკერი) - აგბონლაჰორი (86. პირესი), ბენტი

**ნიუკასლი** (5-3-2): ჰარპერი - სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი, ს. ტეილორი (63. რ. ტეილორი), სანჩესი - გათრი, ბარტონი, ხონასი - რეინჯერი (83. კუქი), ლოვენკრანდსი

**გოლები:** 1:0 კოლინზი (24)

**გაფრთხილება:** ს. პეტროვი - უილიამსონი, ბარტონი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 8-10; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-4); **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 37 090

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70-32 | 69 |
| 2. არსენალი | 31 | 18 | 8 | 5 | 62-30 | 62 |
| 3. ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 55-25 | 58 |
| 4. სიტი | 31 | 16 | 8 | 7 | 50-27 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44-36 | 53 |
| 6. ლივერპული | 31 | 13 | 6 | 12 | 42-38 | 45 |
| 7. ევერტონი | 32 | 10 | 14 | 8 | 45-41 | 44 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 10 | 9 | 13 | 48-47 | 39 |
| 10. ვესტ ბრომ. | 32 | 10 | 9 | 13 | 46-59 | 39 |
| 11. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 12. სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 13. სანდერლ. | 32 | 9 | 11 | 12 | 35-45 | 38 |
| 16. ასტონ ვილა | 32 | 9 | 10 | 13 | 40-53 | 37 |
| 14. ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 40-52 | 35 |
| 15. ბირმინგემი | 31 | 7 | 14 | 10 | 31-43 | 35 |
| 17. ბლექპული | 32 | 9 | 6 | 17 | 46-66 | 33 |
| 18. ვესტ ჰემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38-56 | 32 |
| 19. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |
| 20. უიგანი | 32 | 6 | 13 | 13 | 29-52 | 31 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 13 - ბენტი (ასტონ ვილა); 12 - ვან პერსი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 11 - ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ქეროლი (ნიუკასლი).

### ინგლისი. ჩემპიონატი. XXXX ტური

**ბარნსლი-ბრისტოლი 4:2**
გოლები: 0:1 ელიოტი (5), 1:1 გრეი (32), 2:1 ჰეინესი (40), 3:1 ბატერფილდი (45), 4:1 მაკშეინი (56), 4:2 მეინარდი (82)

**დერბი-ქოვენთრი 2:2**
გოლები: 0:1 გუნარსონი (15), 0:2 მ. კინგი (32), 1:2 ს. დევისი (40), 2:2 სევიჯი (44)

**დონკასტერი-კარდიფი 1:3**
გოლები: 0:1 ბარკი (14), 1:1 კოპინგერი (78), 1:2 კუმასი (90), 1:3 კუმასი (90)

**იფსვიჩი-კრისტალ პალასი 2:1**
გოლები: 1:0 კერსონი (37), 2:0 კერსონი (66), 2:1 მაკარტი (73)

**ლესტერი-ბარნლი 4:0**
გოლები: 1:0 კამარა (23), 2:0 გალაგჰერი (52), 3:0 გალაგჰერი (73), 4:0 ვან ანტჰოლტი (80)

**მილუოლი-ლიდსი 3:2**
გოლები: 1:0 ჰენრი (24), 2:0 ტროტერი (29), 2:1 ბეკიო (51), 3:1 მორისონი (61), 3:2 ო'ბრეინი (90)

**ნოტინგემი-რედინგი 3:4**
გოლები: 0:1 ჰერტი (18), 1:1 ბოიდი (38), 2:1 ერნშოუ (50), 2:2 კარაკანი (54), 2:3 კებე (62), 3:3 მაკგუგანი (88), 3:4 ჩემბერსი (90 ს.კ.)
ვერ გაიტანა პენალტი: ლონგი (რედინგი 90)

**პორტსმუთი-პრესტონი 1:1**
გოლები: 0:1 ჰუმი (32), 1:1 ჰელფორდი (62)

**სკანთორპი-ქუინზ პარკი 4:1**
გოლები: 0:1 ჰალსი (6), 1:1 გარნერი (27), 2:1 გარნერი (48), 3:1 ო'კონორი (58), 4:1 მ. დაფი (79)

**შეფილდ იუნაიტედი-მიდლსბრო 1:2**
გოლები: 0:1 ბეიტსი (17), 1:1 ლოუტონი (28), 1:2 იმნისი (89)

**უოტფორდი-ჰალი 1:2**
გოლები: 0:1 ევანსი (3), 0:2 კორენი (90), 1:2 მ. ტეილორი (90)

**სუონსი-ნორვიჩი 3:0**
გოლები: 1:0 ბორინი (4), 2:0 გოუერი (29), 3:0 პრისკინი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 40 | 22 | 13 | 5 | 64-27 | 79 |
| 2. ნორვიჩი | 40 | 19 | 13 | 8 | 68-50 | 70 |
| 3. კარდიფი | 40 | 20 | 9 | 11 | 67-48 | 69 |
| 4. სუონსი | 40 | 21 | 6 | 13 | 57-38 | 69 |
| 5. რედინგი | 40 | 17 | 15 | 8 | 68-46 | 66 |
| 6. ლიდსი | 40 | 17 | 13 | 10 | 75-64 | 64 |
| 7. მილუოლი | 40 | 16 | 12 | 12 | 55-42 | 60 |
| 8. ნოტინგემი | 40 | 15 | 15 | 10 | 52-43 | 6 |
| 9. ლესტერი | 40 | 17 | 8 | 15 | 63-59 | 59 |
| 10. ჰალი | 40 | 15 | 14 | 11 | 44-40 | 59 |
| 11. ბარნლი | 39 | 15 | 12 | 12 | 54-52 | 57 |
| 12. უოტფორდი | 40 | 15 | 11 | 14 | 69-58 | 56 |
| 13. იფსვიჩი | 40 | 16 | 7 | 17 | 52-51 | 55 |
| 14. პორტსმუთი | 40 | 15 | 10 | 15 | 51-51 | 55 |
| 15. ბრისტოლი | 40 | 15 | 8 | 17 | 53-58 | 53 |
| 16. ბარნსლი | 40 | 13 | 11 | 16 | 49-59 | 50 |
| 17. მიდლსბრო | 39 | 13 | 9 | 17 | 51-58 | 4 |
| 18. ქოვენთრი | 40 | 12 | 10 | 18 | 45-52 | 46 |
| 19. დერბი | 40 | 12 | 9 | 19 | 51-59 | 45 |
| 20. დონკასტერი | 40 | 11 | 11 | 18 | 50-71 | 44 |
| 21. კრ. პალასი | 40 | 11 | 9 | 20 | 40-62 | 42 |
| 22. სკანთორპი | 40 | 11 | 4 | 25 | 37-75 | 37 |
| 23. პრესტონი | 40 | 8 | 11 | 21 | 46-69 | 35 |
| 24. შეფილდ იუნ. | 40 | 9 | 8 | 23 | 35-64 | 35 |

**ბომბარდირები:** 23 - გრემი (უოტფორდი); 20 - ლონგი (რედინგი); 19 - ჰოლტი (ნორვიჩი); 18 - ბეკიო (ლიდსი); 17 - სინკლერი (სუონსი); 16 - ბოთროიდი (კარდიფი), გრეიდელი (ლიდსი).

#### პირველი ლიგა. XXXXI ტური

ბორნმუთი-ტრანმერი 1:2, ბრენტფორდი-სუინდონი 0:1, ბრაიტონი-შეფილდ უენსდი 2:0, ბრისტოლი-ექსეტერი 0:2, კოლჩესტერი-როჩდეილი 1:0, დაგენჰემი-ნოთს ქაუნთი 3:1, ჰარტლპული-იეოვილი 3:1, ჰადერსფილდი-პიტერბორო 1:1, ლეიტონი-საუთჰემპტონი 0:2, მილტონი-კერლისლი 3:2, ოლდჰემი-ჩარლტონი 0:0, პლიმუთი-უოლსოლი 2:0.

#### მეორე ლიგა. XXXXI ტური

ოლდერშოტი-შრუსბერი 3:0, ბერნეტი-ქრუ 2:1, ბრედფორდი-თორგუეი 0:3, ჩელტენჰემი-როტერჰემი 1:1, ჰერეფორდი-ჩესტერფილდი 3:0, ლინკოლნი-ჯილინგემი 0:4, მორკეიმბი-ბარტონი 2:1, ნორთემპტონი-ბერი 2:4, ოქსფორდი-უაიკომბი 2:2, პორტ ვეილი-საუთენდი 1:1, სტოკპორტი-სტივენიჯი 2:2.

#### კონფერენცია. XXXXII ტური

ბეროუ-კეტერინგი 5:0, კემბრიჯი-უიმბლდონი 1:2, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# ქართული სუპერგოლები: ხოჯავა, ძალამიძე, თარგამაძე...

**ამ უქმეების** ქართული ლეგიონის მიმოხილვის მთავარი გმირები გოჩა ხოჯავა და ნიკა ძალამიძე არიან. ასე თუ გაგრძელდა, დიდი შანსია, 29 წლის ზურაბ ხიზანიშვილი ისევ პრემიერლიგას დაუბრუნდეს. სხვა საინტერესოც ბევრი მოხდა, რასაც ტექსტში ვერ ნაიკითხავთ, ლეგიონის ცხრილში ნახავთ, რომელიც მკითხველთა თხოვნით ალვადგინეთ.

## დაიმუქრა და შეასრულა: ზურამ ფორესტი გადაწვა

ინგლისურ ჩემპიონშიპში მოყოჩალებული „რედინგი" „ნოტინგემ ფორესტს" სტუმრობდა. ეს იყო უშუალო დაპირისპირება კონკურენტთან, რომელსაც ზურაბ ხიზანიშვილის გუნდი მატჩამდე 3 ქულით უსწრებდა. „რედინგ პოსტში" სტატიაც გამოჩნდა, ზურაბ ხიზანიშვილი „ფორესტის" გადაწვას აპირებსო. ამ წერილიდან ვიგებთ, რომ რედინგელი თანაგუნდელები ჩვენს თანამემამულეს „საქართველოს მეფეს" ეძახიან. *„ჩვენ ტოპ-6-ში ვართ და გვსურს 7 დიდი მატჩის შემდეგაც იქ ვიყოთ. ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ, „ნოტინგემს" კარგი ფორვარდები ჰყავს, კრის ბ...იდი მაგარი ბიჭია, მაგრამ ჩვენ იქ ფრეზე სათამაშოდ არ მივდივართ. თუკი ჩვენ ამ ლიგაში წარმატების მიღწევა გვსურს, ასეთი თამაშები უნდა მოვიგოთ"*, - განუცხადა „რედინგ პოსტს" ქართველმა მცველმა.

თამაში მართლაც ძალიან კარგი გამოდგა, დრამატული და უხვგოლიანი, „რედინგი" აგებდა, მაგრამ საბოლოოდ 4:3 მოიგო და 66 ქულით მე-5 ადგილზეა. ამ ადგილით „როიალსი" საპრემიერლიგო პლეი ოფში ითამაშებს. 62-ე წუთზე, როცა ანგარიში 2:2 იყო, ქართველი მცველის დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა **კებემ** „რედინგი" დააწინაურა.

## იაშვილის საგოლე და სამიანი

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" აგრძელებს II ბუნდესლიგაში დარჩენისთვის პაექრობას. ამ ბრძოლაში ქართველი კაპიტნის გუნდი სტუმრად ბუნდესლიგაში გადასვლის მსურველ „აუეს" 1:1 ეთამაშა. ის კი არა, ქართველის საგოლე პასით და თინეიჯერი **მარკო ტერაზინოს** ზუსტი დარტყმით იგებდა კიდეც. 37-ე წუთზე იაშვილმა ფლანგიდან ჩაუწოდა თანაგუნდელს. კაპიტანმა ყვითელი ბარათი მიიღო, 89-ე წუთზე კი შეცვალეს. იაშვილს „შპორტალმა" 3 ბალი დაუწერა, „კარლსრუე" 29 ქულით მხსნელ მე-15 ადგილზეა. ქართველ ფორვარდს 7 გოლი და ამდენივე საგოლე პასი მიეთვლება. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" დღეს ესტუმრება „ბოხუმს" - ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს.

## ქართველ მესის ვერ აჩერებენ

**კახა კალაძის** „ჯენოა" ტურინში „იუვენტუსს" ესტუმრა, „სტადიო ოლიმპიკოზე" ჩვენი კაპიტნის გუნდი ორჯერ იგებდა, მაგრამ ბოლოს მაინც წააგო ხუთგოლიან თრილერში - 2:3. კალაძემ 90 წუთი ითამაშა და კარგადაც. პირველ ტაიმში ის თანაგუნდელ **დაინელის** შეეჯახა, რის შედეგადაც დაინელი დაზარალდა. „ოჯი სპორტმა" კახას 6-იანი დაუწერა, „ნოტიციე იტალიანემ" - 5,5. „ჯენოა" 39 ქულით მე-12 ადგილზეა. სერია ბ-ში „ემპოლი"-"ნოვარას" მატჩში სერიოზული არეულობა მოხდა ტრიბუნებზე (**ლევან მჭედლიძის** გუნდმა ვერ მოიგო - 0:0), გაგულისებულებმა გულშემატკივრებმა მოედანზე ათასგვარი ნივთი ისროლეს, ერთი მსაჯს მოხვდა, დაამტვრიეს სკამებიც. ჩვენებური მეორე ტაიმში კი გამოვიდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

პოლონურ ექსტრაკლასაში კვლავ გაიბრწყინა 19 წლის ნიკა ძალამიძემ. „შლასკთან" საგარეო მატჩში „ვიძევის" შემტევი ქართველი მეორე ნახევარში გამოჩნდა. 73-ე წუთზე მან ორ მცველს აჯობა და მათ მეკარეც მიაყოლა. ამ მომენტში „ვიძევი" 2:0-ს იგებდა, თუმცა ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო - 2:2. ბოლო წუთზე ქართველი გააფრთხილეს, მასპინძლებმა პენალტი 97-ე (!) წუთზე გაიტანეს. შეგახსენებთ, რომ პოლონური მედია ნიკას „ქართველ მესის" უწოდებს.

## ხოჯავას ალზევება და... გაძევება

რუსულ პრემიერლიგაში ჯერ სულ 4 ტური ჩატარდა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატს 9 ქულით ქართველი მწვრთნელისა და ფეხბურთელების „ვოლგა" ლიდერობს 9 ქულით. **ომარ თეთრაძის** „ვოლგამ" სტუმრად 3:1 მოუგო „როსტოვს" იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივმა ქომაგებმა მათი ფეხბურთელის **ანრი ხაგუშის** გასამხნევებლად და ჩვენების გასალიზიანებლად აფხაზეთის დროშა გადმოფინეს. ამ თამაშის გმირი და კინაღამ ანტიგმირიც **გოჯა ხოჯავა** გახდა. გოჩას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოუვიდა მცირე კონფლიქტი ხაგუშთან და მის თანაგუნდელებთან, მან ბურთი ესროლა მეტოქეს, რისთვისაც პირველი ყვითელი ბარათი მიიღო. 45-ე წუთზე ქართველმა პლეიმეიქერმა მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ოდნავ წინ წაიწია და ძალიან ძლიერად დაარტყა ცაციათი, ბურთი შორეულ „ცხრიანში" ჩაეშვა, მისი აღება შეუძლებელი იყო!

სამწუხაროდ, რამდენადაც ნიჭიერია ხოჯავა, იმდენად უჭირს ნერვების მოთოკვა მოედანზე - 82-ე წუთზე მან უხეშად



ნიკა ძალამიძემ (მარცხნივ) კიდევ გაიტანს




ვოლგელებს ჩხუბიც მოუხდათ და გამარჯვეს კიდეც

მოცელა აფხაზი ხაგუში (რაც სულაც არ იყო სათამაშო აუცილებლობით გამოწვეული) და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. კიდევ კარგი, იმ დროისთვის „ვოლგა" 3:1-ს (მატჩი ასეც მორჩა) უკვე იგებდა.

ამ შეხვედრაში თეთრაძემ სასტარტოში ათამაშა **გია გრიგალავა** (გააფრთხილეს) და **ლაშა სალუქვაძე** (83-ე წუთზე მცირე ტრავმის გამო შეცვალეს, **ოთარ მარცვალაძე** მეორე ტაიმში შემოვიდა და **ხაზოვის** გასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლავური გადაიბარა, მათე ვაწაძე დუბლებში გამოჩნდა, ხოლო **გოგიტა გოგუა** განაცხადში არ ყოფილა. გოგიტას თურმე ვარჯიშზე მიუღია ტრავმა, ის გუნდს როსტოვში საერთოდ არ გაჰყოლია. ოთარსაც მცირე ტრავმა აწუხებდა და ამიტომ არ იყო სასტარტოში. ყველა ქართველმა „ჩემპიონატისგან" 5,5 ბალი მიიღო, ხოჯავას გარდა (6).

ბრწყინვალედ თამაშობს კიდევ ერთი დებიუტანტიც - **ალეკო ამისულაშვილის** „კრასნოდარი". ამ გუნდმა შინ 1:0 დაამარცხა „ამკარი". ქართველი მცველი სტაბილურად კარგად თამაშობს, ის მხოლოდ ერთხელ შეცდა სერიოზულად და მაშინაც „კრასნოდარის" კართან სახიფათო არაფერი მომხდარა. „ჩემპიონატმა" ჩვენებურს 6 ბალი დაუწერა. „კრასნოდარი" მე-2-3 ადგილებს „ზენიტთან" იყოფს.

## ერთი და ისიც ტატანაშვილი, მაგრამ თარგამაძეც ყოჩაღ

უკრაინული ტურიდან თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, **მათე ღვინიანიძეა** - ტრავმამოშუშებულმა ქართველმა 90 წუთი ითამაშა „ვოლინის" წინააღმდეგ, რომელიც მისმა „სევასტოპოლმა" 4:1 გაანადგურა. სხვათა შორის, მასპინძლები აგებდნენ და 41-ე წუთზე ჩვენებურის საგოლე პასის წყალობით გაათანაბრეს, მათე მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა და იქ **ჟაბოკრიცკი** მოძებნა. „სევასტოპოლი" ჯერ მაინც გასავარდნ ზონაშია, 20 ქულით ბოლოსწინაა. აღვნიშნავთ **უჩა ლობჟანიძის** დაბრუნებას „დნიპროში", გამოჯანმრთელებულმა ქართველმა ბოლო 7 წუთი ითამაშა „ვორსკლასთან". უკრაინაში ქართულ ლეგიონს რომ ძალიან უჭირს, ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ამ სეზონში მხოლოდ ერთი ქართული გოლი გავიდა, ისიც **დიმიტრი ტატანაშვილის** ანგარიშზეა, რომელიც უკვე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელია. თავი გამოიჩინა პერშა ლიგის ლიდერ „ოლექსანდრიას" გარემარბმა **დავით თარგამაძემ**. მისი ჩინებული საჯარიმო დარტყმის წყალობით ლიდერმა „ბუკოვინა" დაამარცხა. დიდი შანსია, მომავალი სეზონიდან „ფრაიბურგის" ყოფილი ფეხბურთელი პრემიერლიგაში ვიხილოთ. 21 წლის სწრაფმა ფეხბურთელმა 10 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

სხვა ლიგებიდან აღვნიშნავთ **გიორგი კრასოვსკის** დუბლს სომხეთში, მისი წყალობით „ულისმა" სტუმრად 3:1 დაამარცხა „შირაკი". ესტონეთში „ფლორას" მთავარ გუნდში დააბრუნეს **ზაქარია ბეგლარიშვილი** და მანაც პირველივე თამაშში („აიაქსთან" - 6:0) გოლი გაიტანა. ქართული დუბლი ვიხილეთ ლატვიაშიც, სადაც **თამაზ პერტიას** „დაუგავამ" 2:0 მოუგო „ოლიმპსს", ორივე გოლი **მამუკა ღონღაძემ** შეაგდო. მოლდოვაში გაიტანა „დაჩიას" ლიდერმა **ლევან კორღალიძემ**, კიშინიოვის დერბიში მისმა გუნდმა „ზიმბრუ" სწორედ ამ გოლით დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| ფეხბურთელი | კლუბი | მეტოქე | ანგარიში | შენიშვნა | სეზონი |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია. სერია A | | | | | |
| კახა კალაძე | ჯენოა | იუვენტუსი | 2:3 (გ) | 90 წთ | 20 თ., 1 გ. |
| სერია B | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ნოვარა | 0:0 (შ) | 27 წთ (შეცვლაზე) | 15 თ, 1 გ |
| ინგლისი. ჩემპიონშიპი | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რედინგი | ნოტინგემი | 4:3 (გ) | 90 წთ. | 17 თ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰერტა | ბოხუმი | დღეს | | 26 თ, 2 გ |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | აუე | 1:1 (გ) | 89 წთ. 1 საგოლე პასი | 26 თ, 7 გ |
| საფრანგეთი. ლიგა II | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | ლე მანი | ისტრი | 0:0 (გ) | სათადარიგო | 0 თ |
| ნასიონალი | | | | | |
| ამირან სანაია | ბასტია | პლაბენეკი | 3:0 (გ) | 31 წთ (შეცვლაზე) | 7 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | 83 წთ (შეცვალეს) | 4 თ |
| გოგიტა გოგუა | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | ტრავმა | 3 თ |
| გოჩა ხოჯავა | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | 83 წთ (გააძევეს), 1 გ | 4 თ, 2 გ |
| ოთარ მარცვალაძე | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | 27 წთ (შეცვლაზე) | 4 თ, 1 გ |
| მათე ვაწაძე | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | დუბლები | 1 თ |
| გია გრიგალავა | ვოლგა | როსტოვი | 3:1 (გ) | 90 წთ. გააფრთ. | 4 თ |
| ალ. ამისულაშვილი | კრასნოდარი | ამკარი | 1:0 (შ) | 90 წთ | 4 თ |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | რუბინი | 0:0 (გ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| ნუკრი რევიშვილი | ანჟი | ტომი | დღეს | | 3 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | ანჟი | ტომი | დღეს | | 0 |
| ლევან გვაზავა | ტერეკი | სპარტაკი | 0:0 (გ) | 6 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| ჯანო ანანიძე | სპარტაკი | ტერეკი | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 1 თ |
| უკრაინა. პრემიერლიჰა | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | დნიპრო | ვორსკლა | 2:0 (შ) | 7 წთ (შეცვლაზე) | 15 თ |
| სანდრო კობახიძე | არსენალი | ტავრია | 1:2 (შ) | არ უთამაშია | 1 თ |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | არსენალი | 2:1 (გ) | 22 წთ (შეცვლაზე) | 19 თ |
| ჯაბა ლიპარტია | ზარია | მეტალისტი | 0:2 | 90 წთ. | 5 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | ილიჩივეცი | კარპატი | 1:3 (გ) | არ უთამაშია | 4 თ |
| ჯაბა კანკავა | კრივბასი | მეტალ. დ. | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 4 თ |
| მათე ღვინიანიძე | სევასტოპ. | ვოლინი | 4:1 (შ) | 90 წთ. 1 პასი | 4 თ |
| სანდრო გურული | კარპატი | ილიჩივეცი | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 13 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე | | | | | |
| გურამ კაშია | ვიტესი | დენ ჰააგი | 0:1 (გ) | 90 წთ | 24 თ, 1 გ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | |
| დავით კვირკველია | პანიონიოსი | პანსერ. | 0:0 (შ) | 90 წთ | 6 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | ერგოტელ. | კერკირა | 0:1 (გ) | 73 წთ (შეცვლაზე) | 23 თ, 1 გ |
| დანია. ვიასატდივიზიონი | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ვესტსაელ. | 1:1 (გ) | 76 წთ (შეცვალეს) | 19 თ, 8 გ |
| რუმინეთი. პროლიგა | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | გაზ მეთანი | კლუჟი | 2:2 (გ) | 90 წთ | 23 თ, 1 გ |
| ლადო დვალიშვილი | მაქაბი ჰ. | ჰაპოელი შ. | დღეს | | 24 თ, 11 გ |
| კვიპროსი. I დივიზიონი | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ერმისი | ეთნიკოსი | 1:0 (გ) | 90 წთ | 25 თ, 3 გ |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი | ერმისი | 0:1 (შ) | 86 წთ (შეცვალეს) | 24 თ, 2 გ |
| ბელარუსი. პრემიერლიგა | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | ბრესტი | მინსკი | 2:2 (შ) | 90 წთ | 3 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | ბრესტი | მინსკი | 2:2 (შ) | არ უთამაშია | 0 |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | ვიძევი | შლასკი | 2:2 (გ) | 45 (შეცვლაზე), 1 გოლი | 6 თ, 2 გ |
| სერბეთი. სუპერლიგა | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | ვოივოდინა | სევოინო | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 18 თ, 7 გ |
| ბოსნია. პრემიერლიგა | | | | | |
| ლევან კუტალია | ზრინსკი | ბუდუჩნოსტ | 0:0 (გ) | შეწყდა | 5 თ, 2 გ |
| უნგრეთი. შოპრონილიგა | | | | | |
| რატი ალექსიძე | ეტო | სოლნოკი | 4:2 (შ) | 88 წთ (შეცვალეს) | 18 თ, 5 გ |
| გიორგი განუგრავა | ეტო | სოლნოკი | 4:2 (შ) | 22 წთ (შეცვლაზე) | 10 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | ეტო | სოლნოკი | 4:2 (შ) | დუბლები | 1 თ |
| თემურ შარაშენიძე | ეტო | სოლნოკი | 4:2 (შ) | დუბლები | 6 თ |

*შენიშვნა: ცხრილი დალაგებულია უეფას საკლუბო კოეფიციენტების მიხედვით*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# კორეა უმედლოდ დავიწყეთ

კორეულ ჩანჯოუში ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის გათამაშების ტურნირი შაბათ-კვირას სპორტული პისტოლეტიდან სროლაში შეჯიბრებით დაიწყო. მოგეხსენებათ, იქ ჩვენგან ორი სპორტსმენი გამოდის - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**. ფინალში მხოლოდ სალუქვაძე მოხვდა. მან საბოლოოდ 778.9 ქულა დააგროვა და მერვე ადგილზე დარჩა. რაც შეეხება ქადაგიძეს, ის 534 ქულით 58-ე იყო.

ქალთა შეჯიბრებაში საკმაოდ მაღალი შედეგები აღინიშნა, თუმცა ტურნირი საინტერესო სულ სხვა კუთხით გამოდგა - აქ რამდენიმე ისეთმა ლიდერმა „გამოილვიძა", რომლებიც ბოლო შეჯიბრებებში დიდად ვერ ბრწყინავდნენ. ასეთთა შორის, უპირველესად, ჩინელ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ინგ ჩენს** დავასახელებთ, რომელმაც შესარჩევი ტურნირი 589 ქულით მოიგო (ბოლო სერიაში მან ქულათა მაქსიმუმი - 100 დაიმსახურა). საკვალიფიკაციოში მეორე ბულგარელი **ანტოანეტა ბონევა** იყო 587-ით, რომელსაც წლეულს, პირიქით, მეორე სუნთქვა გაეხსნა და საკმაოდ კარგად ისვრის - წინა, ანალოგიურ შეჯიბრებაზე სიდნეიში მესამეზე გავიდა, საბოლოოდ ახლაც ეს შედეგი გაიმეორა. 586 ქულა დააგროვა უკრაინელმა მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა**, რომელიც წლეულს ასევე ჩინებულად ასპარეზობს - სიდნეიში პნევმატურში მესამე იყო, სპორტულიდან შეჯიბრებაში კი გაიმარჯვა. 585-585 დააგროვეს ჩინელმა **ჯინგ იუანმა** და მონღოლმა მსოფლიოს ბრინჯაოს, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **გუნდეგმაა ოტრიადმა**, რომელიც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ასევე ჩრდილშია მოქცეული. მეექვსე შედეგი აღმოაჩნდა კიდევ ერთ მონღოლს, ოღონდ უკვე გერმანიაში გადაბარგებულ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელ **მუნკბაიარ დორჯსურენს** - 584. 583 ქულა ჰქონდა სალუქვაძეს, რომელმაც პირველი სამი სერია კარგად ჩაატარა - 97, 98 და 99 ქულა. აი, მეორე ნახევარში კი მოუკლო შედეგს, რამაც ჩამოაქვეითა კიდეც. ფინალში ბოლო, მერვე ნომრად სახელოვანი ბულგარელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარია გროზდევა** შევიდა 581-ით. ბოლო ხანებში ვერც გროზდევა ბრწყინავს და ახლაც ფინალის საგზურისთვის დამატებით სროლები დასჭირდა, რადგან ამდენივე ქულა კიდევ ოთხმა მონაწილემ დააგროვა. ფრიად გასაკვირია, რომ იმ კვარტეტში ინდოელი მსროლელიც აღმოჩნდა - **ანისა საიიედი**, რომელიც სულაც მეცხრეზე გავიდა და ცოტა დააკლდა, კინაღამ გროზდევა ჩატოვა საკვალიფიკაციოში. ინდოეთისთვის სროლა ნამდვილად არაა უცხო სპორტი, მაგრამ ტყვიის სროლაში აქამდე წარმატებები არ ჰქონიათ. ეტყობა, იქ სპორტს სათანადო ყურადღება ექცევა და ჭიდაობის გარდა (აქ ქართველი მწვრთნელების დიდი დამსახურებით, უკვე მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ჰყავთ) სხვა სახეობებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ.

ფინალი ჩინელთა დაძაბული პაექრობის ასპარეზად იქცა - ყველაზე უკეთ მათ ისროლეს. ახალგაზრდა იუანმა 206,3 ქულა დააგროვა და ცოტათი აჯობა ტიტულოვან თანაგუნდელს, რომლის მონაგარი 205,6 აღმოჩნდა. თუმცა ჩენი შესარჩევიდანვე საგრძნობლად უსწრებდა და საჩემპიონოდ ეს შედეგიც ეყო - 794.6 დააგროვა. იუანს 791,3 გამოუვიდა და ვერცხლს დასჯერდა, თუმცა, ვფიქრობთ, ამით ძალიან კმაყოფილიც დარჩება, რადგან მინიმალური სხვაობით აჯობა მესამეზე გასულ ბონევას - 791,2. აღსანიშნავია, რომ მათ სიდნეიშიც იმავე ხარისხის მედლები მოიპოვეს ასევე სპორტულში. ასე რომ, მათი პაექრობა ჯერ კიდევ იქიდან დაიწყო.

რაც შეეხება სალუქვაძეს, ფინალში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა - 195,9, რითაც ჯამში 778.9 დაუგროვდა და მერვე ადგილზე დარჩა.

ამ ტურნირის შემდეგ ლონდონის ლიცენზიანტთა სიას ინგ ჩენი, დორჯსურენი და ოტრიადი შეემატნენ.

ვაჟთა შეჯიბრება იტალიელმა ფრანჩესკო ბრუნომ მოიგო 662,2 ქულით. ვერცხლი რუსმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ლეონიდ ეკიმოვმა** მოიპოვა - 660,6, მესამეზე კი კორეელი **დაემიუნგ ლეე** გავიდა 659,1 ქულით. სიდნეიში ორივე დისციპლინაში გამარჯვებული იაპონელი **ტომოუკი მაცუდა** ამჯერად სუსტად გამოვიდა და მხოლოდ მე-17 იყო.

დღეიდან ჩანჯოუში პნევმატური პისტოლეტით სროლაში გაჩაღდება ორთაბრძოლები. დღეს სტარტზე ქადაგიძე დადგება, სალუქვაძე კი ამ დისტანციაზე ხვალ ისვრის.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. კახეთის ზონალური პირველობა

# კახეთმა კვოტები შეავსო



რამდენიმე დღის წინ ახმეტაში, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** სახელობის დარბაზში, დამთავრდა კახეთის რეგიონული პირველობა ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის, რომელსაც ამავე ასაკის საქართველოს ჩემპიონატის მონაწილენი უნდა გამოევლინა. ეს მართლაც ასე მოხდა. მეტიც - ზოგიერთმა საბერძნეთშიც მოასწრო ჭიდაობა და იქაც წარმატება მოიპოვა. მათ შორის იყო ისეთი შემთხვევაც, როცა რეგიონული პირველობის გამარჯვებული საბერძნეთში ჩემპიონი გახდა - ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შეჯიბრება მოზარდებისთვის. კაცმა არ იცის, ვინ სად გამოიჩენს თავს.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** ზაზა როსტომაშვილი, 2. ვეფხვია ბაზაძე (ორივე - საგარეჯო), 3. იმედა არაბული, გიორგი მესაბლიშვილი (ორივე - ახმეტა).

**60 კგ.** 1. ლევან მჭედლური, 2. ლევან კირკიტაშვილი (ორივე - დედოფლისწყარო), 3. გიორგი ტყემალაძე (ლაგოდეხი), გივი ნიჟარაძე (გურჯაანი).

**66 კგ.** გრიგოლ გუმაშვილი, 2. შმაგი ლაგაზაური, 3. იოსებ უძილაური (სამივე - ახმეტა), ბექა ჯოხაძე (ყვარელი).

**73 კგ.** 1. ბაქარ კაპანაძე, 2. ალექსანდრე ნანიევი, ჯაბა ბინაძე (სამივე - ლაგოდეხი), გურამ ხოხობაშვილი (ახმეტა).

**81 კგ.** 1. ზაურ მამარდაშვილი, 2. ვანო როსტიაშვილი (ორივე - საგარეჯო), 3. ლევან რუაძე, შალვა ნინიძე (ორივე - გურჯაანი).

**90 კგ.** 1. ვლადიმერ ბუქური (დედოფლისწყარო), 2. გიორგი შველიძე (ლაგოდეხი), 3. ილია ოტიაშვილი (ახმეტა), გიორგი ქავთარაძე (საგარეჯო).

**100 კგ.** ვახტანგ მაილაშვილი, 2. დავით კარაკლისიდისი (ორივე - ახმეტა), 3. სანდრო ჩივიაშვილი (გურჯაანი), გიორგი კერატიშვილი (საგარეჯო).

**+100 კგ.** მერაბ უთალაშვილი (თელავი, აქ მეტი მონაწილე არ იყო).

**ირაკლი თავაძე**

**დოსიე**

**ალბერტო ტომბა**

**სპორტული მეტსახელი:** "ტომბა ლა ბომბა"

**დაბადების თარიღი:** 1966 წლის 19 დეკემბერი

**დაბადების ადგილი:** ბოლონია, იტალია

**სიმაღლე:** 1.82 სმ.

**სპორტიდან წავიდა:** 1998 წლის მარტში (32 წლის)

არის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი და ორგზის ვერცხლის პრიზიორი; მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი; იტალიის რვაგზის ჩემპიონი და სამგზის პრიზიორი... სულ 13 სეზონში მოიპოვა 50 გამარჯვება.

სტუმარი

# ალბერტო ტომბას ცხოვრების მეორე რაუნდი



თბილისი. ტომბა სასტუმრო „რედისონში"

**„ნარსული – საუკეთესო მოთხილამურე ტოენი, დღევანდელობა: იყო ტომბა - ურთულესია, მომავალი: ვარ თუ არა მზად იტალიის სამთო-სათხილამურო სპორტს ჩემი გამოცდილება გავუზიარო? დიახ, მზად ვარ", – ეს სიტყვები 2006 წელს 40 წლის ალბერტო ტომბამ თავისსავე დაბადების დღეს იტალიური "Gazzetta dello sport"-ის ჟურნალისტს გაანდო.**

**ამ დღეებში საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის ინიციატივით, კომპანია "სილქნეტის", "სილქ როუდ ჯგუფისა" და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით თბილისს ლეგენდარული მოთხილამურე ალბერტო ტომბა, უცხოელი ინვესტორები და სამთო სათხილამურო სპორტისა და ინფრასტრუქტურის ექსპერტები ესტუმრნენ. მათ საქართველოში სათხილამურო ზონები მოინახულეს.**

**განვლილ გზასა და დღევანდელობაზე სასაუბროდ ლეგენდარული იტალიელი მოთხილამურე ალბერტო ტომბა სიამოვნებით დაგვთანხმდა.**

- წლების წინათ, სხვა ბავშვების მსგავსად, მეც დავდიოდი სკოლაში, თუმცა უმეტესი დრო ვარჯიშს და შეჯიბრებისთვის მომზადებას მიჰქონდა. მამა ჩემზე განსაკუთრებით ზრუნავდა, ესწრებოდა ყველა ტურნირს, რომელშიც კი ვმონაწილეობდი. მისი დამსახურებაა, რომ ასეთი ვარ. ვუყვარდი, მაგრამ კრიტიკულიც იყო. მოდუნების საშუალებას არ მაძლევდა. ყოველთვის მეუბნებოდა, შეიძლება, შეჯიბრებაში ალბერტო დამარცხდეს, ტომბა კი არასოდეს მარცხდება. ის ფაქტი, რომ დღეს თბილისში ვარ, სწორედ ჩემი წარმატებების დამსახურებაა.

**- ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი?**

- პირველი მწვრთნელი **რობერტო სურპაიზი** იყო, რომელსაც ჩემი ოჯახი საკმაოდ კარგად იცნობდა. რობერტო, არა მარტო მწვრთნელი, არამედ მეგობარიც იყო.

**- თხილამურები - ეს თქვენი ცხოვრების ნაწილია. სულ ეს არის?**

- ბავშვობაში და დღესაც გატაცებული ვარ რბენით, ყვინთვით, მოტოგადარბენით, სპორტის სხვა სახეობებით.

**- დღეს ლეგენდა ხართ, წლების წინ მისაბაძად რომელი მოთხილამურე მიგაჩნდათ?**

- **ინგემარ სტენმარკი, გუსტავო ტოენი** – ისინი ჩემთვის არა მარტო კერპები, უახლოესი მეგობრები და მრჩევლები იყვნენ. მათ გვერდით ყოფნა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

**- როგორ ჩამოყალიბდა ლეგენდა ალბერტო ტომბა?**

-გამარჯვებისკენ სწრაფვა ჩემი ხასიათიდან მოდის. ურთულესი გზის გავლა ადვილი სულაც არ იყო. წარმატების მოპოვება გაცილებით ადვილია ფეხბურთში, სხვა სათამაშო სახეობებში, რადგან შენს გვერდით თანაგუნდელები არიან. აქ კი, საკუთარი თავის გარდა, ვერავის დაეყრდნობი.

**- ყველაზე მეტად რომელი წარმატება დაგამახსოვრდათ?**

- როდესაც ყოველ ოთხ წელიწადში ოლიმპიადას იგებ და შემდეგ შენი მისამართით ყველა "ტომბა ლა ბომბას" გაიძახის, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. თუმცა შემდეგ დისკომფორტი გექმნება. ქუჩაში თავისუფლად ველარ სეირნობ, მაღაზიებში და ყველგან, სადაც მიდიხარ, გცნობენ. ახალგაზრდა ვიყავი და არ შემეძლო წინ აღვდგომოდი ამ ყველაფერს. ძნელია, როცა ახალგაზრდა ხარ, იგებ ოლიმპიადას, ხდები მსოფლიოს ჩემპიონი, - საკუთარი თავი აკონტროლო. შეცდომებზე ვსწავლობთ.

**- აქტიური სპორტის შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ ვითარდება?**

- 20 წლის აღარ ვარ, შესაბამისად მშვიდი და გაწონასწორებული ცხოვრებით ვცხოვრობ. ახალგაზრდას ბევრი რამ გადამხდა, მათ შორის, ურთიერთობები ქალებთან. სამწუხაროდ, ჩემი ნდობა ბოროტად გამოიყენეს და ქურდობაშიც დამდეს ბრალი. საბედნიეროდ, სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო.

**- რა გაღიზიანებთ?**

- ხალხი, რომელთაც არ ვიცნობ, არ მაქვს მათთან არანაირი ურთიერთობა და ცდილობენ ჩემს ცხოვრებაში უხეშად ჩაერიონ. გამაღიზიანებელია, როდესაც ადამიანს ენდობი და უცებ ამ ნდობას ბოროტად იყენებს.

**- ყოფილი „მის იტალია", მარტინა კოლომბარი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, "ჩემი ცხოვრება", თქვენთან სასიყვარულო ურთიერთობაზეც ჰყვება.**

- ჩვენი ურთიერთობა შესაბამისად ვერ აეწყო. მე ტურნირებს ვიგებდი, ის კი წარმატებას აღწევდა და „მის იტალია" ხდებოდა. ჟურნალისტები, საზოგადოება - ყველა ჩვენით იყო დაინტერესებული. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი მახრჩობდა. ახალგაზრდები ვიყავით და ვერ გავუძელით.

**- არ მოვიდა დრო, რომ დაოჯახდეთ?**

- ადვილი არაა, მოძებნო ქალი, რომელიც გაგიგებს და შენს გვერდით ისურვებს ყოფნას.

**- სპორტიდან წასვლის შემდეგ თქვენი ავტობიოგრაფიული წიგნი "პირველი და მეორე რაუნდი" დაიბეჭდა.**

- ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, წიგნს ეს სახელი მე შევურჩიე. პირველი რაუნდი ესაა წარსული ცხოვრება და წარმატებები, მეორე რაუნდი კი ჩემი დღევანდელობაა - ის, ალბერტო, როგორიც დღეს ვარ.

**- განუხორციელებელი ოცნება თუ დაგრჩათ?**

- ჩემი ცხოვრება და ოცნებები ყოველთვის თხილამურებს უკავშირდებოდა. დიდი შრომის შედეგად კი ყველაფერი მოვიგე.

**- სპორტიდან წასვლა არ გაგიჭირდათ?**

- ბოლოს 1998 წლის მარტში გავიმარჯვე. 2002 წელს შეჯიბრება ვერ მოვიგე და გადავწყვიტე, დრო იყო წავსულიყავი.

**- 2000 წელს კინოეკრანებზე გამოვიდა ფილმი "ალექსი ვერძი", რომელშიც თქვენ პოლიციელ ალექსანდრო კორსოს განასახიერებთ, თუმცა იტალიაში ფილმს უარყოფითად შეხვდნენ.**

- ფილმი ლამაზი და სასიამოვნოდ საყურებელია, მაგრამ ჩემი სამსახიობო ოსტატობა გააკრიტიკეს. მე რობერტ დენირო არ ვარ, კრიტიკოსებს ეს უნდა სცოდნოდათ.

**- სად უფრო რთულია, კინოში თუ სპორტში?**

- რა თქმა უნდა, თხილამურებზე დგომა და სრიალი, რადგან აქ შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. მსახიობი სხვა ადამიანს განასახიერებს. "ალექსი ვერძის" გადაღებისას სამი თვე რომში გავატარე და ყოველ დილით ადრე ვიღვიძებდი.

**- საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივას როგორ შეაფასებთ?**

- საქართველო ლამაზი ქვეყანაა და ქართველებიც ლამაზი ხალხი ხართ, რალაცით იტალიელებსაც კი გამსგავსებთ. მოვინახულე მესტია, გუდაური და სხვა ადგილები. როდესაც მეუბნებოდნენ, საქართველოში საუკეთესო სასრიალო ტრასებიაო, არ მჯეროდა. ვნახე და დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. სპორტის ამ სახეობას დიდი პოტენციალი აქვს. მთავარია, თანხები ჩაიდოს.

**- "ლელოს" მკითხველებს რას უსურვებთ?**

- დიდი სიყვარულით მოვიკითხავ მათ. ჩემთვის საინტერესო იყო აქ ჩამოსვლა და მშვენიერი ადგილების მონახულება. მიხარია, რომ საქართველოში ჩემი სპორტული კარიერის დამფასებელ ბევრ ადამიანს შევხვდი.



საუბარი ლელოს ჟურნალისტთან

**სალომე ხარატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის თასი ახალგაზრდებში

# მუდანიაში კვლავაც წარმატებით

შარშანდელისმსგავსად, ქართველმა ახალგაზრდებმა ამჯერადაც დიდი წარმატებით იჭიდავეს ბერძნულ მუდანიაში ამ უქმეებზე ჩატარებულ ევროპის თასზე - ჩვენებურთა მონაგარი ოქროს 4, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 6 მედალია. ჩემპიონები **გიორგი მესაბლიშვილი** (55), **შალვა ნინიძე** (81), **გიორგი მერმანიშვილი** (90) და **ლევან მატიაშვილი** (+100) გახდნენ, ვერცხლი **ლაშა შავდათუაშვილმა** (66) მოიპოვა, მესამე საპრიზო ადგილზე კი **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ოთარ არჩუაძე** (66), **გიორგი ცნობილაძე**, **ელგუჯა ბიბილაშვილი** (ორივე - 100) და **უშანგი კოკაური** (+100) გავიდნენ. **გიორგი გუგავას** შეგირდები უმედლოდ მხოლოდ 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში დარჩნენ, თუმცა იქ ერთი მეხუთეზე, ორი კი მეშვიდეზე გავიდა.

ეს ნაკრებიც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება, მწვრთნელები საამისოდ არჩევენ კადრებს. კონკურენციის თვალსაზრისით გუგავასთვის ფრიად საინტერესო ამბები მოხდა 55 და მძიმე წონებში, სადაც ჩვენებურთა ნახევარფინალები გაიმართა - 55-ში მესაბლიშვილმა ჭელიძე დაამარცხა, მძიმეში კი ოტიაშვილმა კოკაური დაჯაბნა. პირველი წონისგან განსხვავებით, მეორეში ესენი შარშანდელი ლიდერები არიან. მწვრთნელები ამ წონაში შარშან დიდად კმაყოფილები არავის გამოსვლით არ იყვნენ. ვნახოთ, იქნებ წლეულს რომელიმემ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები.

მისასალმებელია, რომ შარშანდელ კარგ სეზონს წლეულსაც აგრძელებს შავდათუაშვილი. შარშან მან საქართველოს პირველობა წააგო, მაგრამ მერე საერთაშორისო ტურნირებში მშვენივრად იასპარეზა. ამჯერად საბერძნეთში 4 შეხვედრა მოიგო და ფინალში წააგო ბერძენ **გეორგიოს აზოიდისთან**. ვერ გეტყვით, რამდენად სამართლიან ბრძოლაში, ამ აზოიდისმა კი ნახევარფინალში არჩუაძეც დაგვიმარცხა. 73-ში **ლევან ოშაყმაშვილმა** თავიდან სამი ბრძოლა მოიგო (ერთი - თანაგუნდელ **თორნიკე ჯულელთან**) და ნახევარფინალში გავიდა, ამის შემდეგ კი ორჯერ დამარცხდა - ჯერ მომავალ ვერცხლის მედალოსანთან, პოლონელ **პიოტრ პლონსკისთან**, მერე კი მასპინძელ **ომიროს ლატირისთან** და მეხუთეზე დარჩა. ამ ლატირისმა დამამშვიდებელში **ლაშა ვეშაგურსაც** აჯობა, ჯულელმა კი სანუგეშოში ერთი ბრძოლა მოიგო და მერე ასევე მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, გერმანელ **რობინ გუხესთან** წააგო. ორივე ჩვენებური მეშვიდეზე გავიდა. ნინიძე სხვათა მსგავსად გამოკვეთილ ლიდერად არც შარშან ჩანდა, ამჯერად კი დასახულ ამოცანას თავი მშვენივრად გაართვა. მან ფინალში გერმანელი **რობინ რაიბედანცი** დაჯაბნა, ვინაც ნახევარფინალში **გიორგი ეპიტაშვილს** მოუგო. ეპიტაშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაც წააგო - მასპინძელ **პავლო გარაქლოვთან**, რომელიც მესამე წრეში ნინიძესთან დამარცხდა. შესაძლოა, ეს გარაქლოვი საბერძნეთის ნაკრების თავკაც **ილიას ილიადისის** ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავიცაა - საქართველოში ილიადისი გარაქლოვის გვარს ატარებდა.


გიორგი მესაბლიშვილი

ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი მერმანიშვილმა შარშანაც დაგვამახსოვრა თავი კარგი ჭიდაობით და ამჯერად მისი ჩემპიონობა არც გაგვკვირვებია. 100 კილოში **დავით მერაბიშვილი** და ბიბილაშვილი ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ იქ წააგეს და სანუგეშოს ფინალში გადავიდნენ. ბიბილაშვილმა იქაც იმარჯვა და პრიზიორი გახდა, მერაბიშვილი კი ცნობილაძესთან დამარცხდა, ვინც ძირითად ბადეში მომავალ ჩემპიონთან, გერმანელ **კრისტიან დავიდთან** წააგო.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

# ჭაბუკების დილემა

გუშინ ქუთაისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. ტურნირი ფრიად წარმომადგენლობითი გამოდგა - მონაწილეობდა უკლებლივ ყველა რაიონი, სადაც კი ჭიდაობის ეს სტილია განვითარებული, ფალავანთა რაოდენობა კი 290-ს აღწევდა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ წლეულს ჭაბუკებს მნიშვნელოვანი სეზონი ელოდებათ - ამჯერად ევროპის პირველობას მსოფლიოს ჩემპიონატიც დაემატება. აქამდე ეს ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ამიერიდან კი ყოველწლიურად ჩატარდება. სამწუხაროდ, საჭიდაო ოჯახის უთავბოლო მმართველებმა კალენდრის შედგენის უკულმართულ წესს არც ამჯერად უღალატეს და ამ ორ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას შორის შუალედი... სულ რალაც 8 დღეა! ევროპის პირველობა 9-14 აგვისტოს ვარშავაში ტარდება, მსოფლიო - 23-28 აგვისტოს უნგრულ სომბათჰეიში.

ჩვენი ჭაბუკ „თავისუფალთა“ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თამაზ ბენდიანიშვილი** რთული დილემის წინაშე დგას - სულ მთლად ახალი ნაკრების შექმნა უნევს, რადგან შარშანდელი ლიდერებიდან თითქმის ყველამ დაამთავრა გამოსვლა ამ ასაკში და ახალგაზრდებში გადავიდა. იმ ლიდერებიდან ჭაბუკებში მხოლოდ **გენო პეტრიაშვილი** (100) დარჩა. რაკილა ამ ბიჭს შევეხეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ წლეულს მან ახალგაზრდებშიც მოსინჯა ძალა საქართველოს ჩემპიონატზე და მესამეზეც გავიდა. ძველი სახელებიდან კიდევ ორს გამოვარჩევთ - ქარელელ **რაუფ შაკულოღლის** (58), რომელიც ასევე ჩემპიონი გახდა (თუმცა ის შარშან პირველი ნომერი არ იყო, რადგან ასაკითაც პატარაა) და **ბექა როჭიკაშვილს** (85). ჩემპიონატში **ლუკა კურტანიძის** ვაჟი **ნოდარ კურტანიძეც** (85) გამოვიდა და ბრინჯაოც მოიპოვა.

პრაქტიკულად, ბენდიანიშვილმა ორ-ორი შემადგენლობა უნდა მოამზადოს, რადგან ევროპა-მსოფლიოზე ერთი და იმავე ხალხის წაყვანა დროის ასე მცირე სხვაობის გამო ლამის გამორიცხულია. არადა, ასეთ ექსტრემალურ პირობებში, როცა თაობათა ცვლის პროცესი მიდის, ერთი სრულფასოვანი გუნდის შეკრებაც კი დიდი პრობლემაა, არათუ ორის! მწვრთნელი ამ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად სრულ შესარჩევ ციკლს გაივლის - 20 აპრილს ისინი, როგორც ამავე ასაკის ბერძენ-რომაელები და ორივე სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდები ბაქოში გაემგზავრებიან, სადაც აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე იასპარეზებენ, მერე ერთ შეკრებას ჯერ ბაკურიანში გაივლიან, მერე - ბათუმში, იქიდან კი თურქეთში გადავლენ საერთაშორისო ტურნირზე. ამას ირანული შეჯიბრება და შეკრება საქართველოში მოჰყვება, ამასობაში კი ევროპის ჩემპიონატის დროც დადგება. ბენდიანიშვილი იმედოვნებს, რომ ახალი შეგირდების რეალური ძალა ბაქოშივე გამოჩნდება, პირველსავე უცხოურ შეჯიბრებაზე, თუმცა შიდა ტურნირმა რა სურათიც დაანახვა, მეტ-ნაკლებად დამაიმედებელია.

ირაკლი თავაძე

**კვარცხლბეკი. ბიჭები**

**42 კგ.** 1. გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო), 2. გიორგი გელაშვილი, 3. ომარ მულაძე (ორივე - ხაშური) რამაზ ზოიძე (აჭარა).

**46 კგ.** 1. რამაზ დარჩიძე (აჭარა), 2. გიგა კაპანაძე (თბილისი), 3. გიორგი ლეჟავა, იმედა ფანცულაია (ორივე - სამტრედია).

**50 კგ.** 1. შოთა ფანცულაია (სამტრედია), 2. შალვა ხუციშვილი, 3. გოჩა საათაშვილი (ორივე - გორი), გიორგი ელიზბარაშვილი (თბილისი).

**54 კგ.** შოთა ფარტენაძე (აჭარა), 2. გიორგი რევაზიშვილი (თბილისი), 3. ლევან სიბაშვილი (გურჯაანი), ზურაბ ყაფლანიშვილი (ბოლნისი).

**58 კგ.** 1. რაუფ შაკულ-ოღლი (ქარელი), 2. ვახტანგ მთიულიშვილი (ხაშური), 3. ავთანდილ კობახიძე (აფხაზეთი), ნიკა წოწოლაშვილი (რუსთავი).

**63 კგ.** 1. ომარ გურჯიძე (ქუთაისი), 2. რობიზონ ხუროშვილი (კასპი), 3. რევაზ კვირტიძე (აჭარა), ლევან მასხარაშვილი (ბოლნისი).

**69 კგ.** 1. შალვა ჭადაშვილი (თბილისი), 2. ირაკლი გოგობერაშვილი (ამბროლაური), 3. ასლან მეკეიძე (აჭარა), გიორგი ჟორჟოლიანი (ქუთაისი).

**76 კგ.** 1. გიორგი ჩხარტიშვილი, 2. ირაკლი მნითური, 3. ამირან ლომაძე (სამივე - თბილისი), გიგა ბუხრიკაშვილი (ხარაგაული).

**85 კგ.** 1. ბექა როჭიკაშვილი (საგარეჯო), 2. ბექა დეკანოიძე (საჩხერე), 3. ნოდარ კურტანიძე (აფხაზეთი), დავით ლაბაძე (ქუთაისი).

**100 კგ.** 1. გენო პეტრიაშვილი (გორი), 2. ბექა კახეთელიძე (ონი), 3. როლანდ ანდრიაძე (ხონი), გლახო ზედელაშვილი (თბილისი).



ჭადრაკი

# თითო მოგებაც და წაგებაც

გასულ უქმეებზე ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებმა ორი ტურის პარტია გაითამაშეს. მეოთხე ტურში განსაკუთრებით **ნონა გაფრინდაშვილის** (2362) წარმატება გვინდა გამოვყოთ - ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტს, სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე დიდოსტატ **გენადი ტიმოშჩენკოს** (2502) სძლია. გაიმარჯვა **თამარ ხმიადაშვილმაც** - მან მასპინძელი **ფაბრიციო ანტონელი** დაამარცხა.

დანინაურებულთაგან ლიტველმა **ალგიმატას ბუტნორიუსმა** იყოჩალა - რუს **ალექსანდრ ვიკულოვს** მოუგო და ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან **ვლადიმირ ოროტნიკი** (რუსეთი) და **იან პლახეტკა** (სლოვაკეთი) დაზავდნენ, **იან რიოზე** (ბელგია) კი **ვიქტორ კუპრეიჩიკს** (ბელარუსი) დანებდა.

გუშინ მე-5 ტურში გაფრინდაშვილმა ხორვატ დიდოსტატ **მიშო ცებალოს** (2486) სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხდა. წააგო ხმიადაშვილმაც. ჩვენებურს რუმინელმა **მიჰაი შუბამ** აჯობა. ლიდერთა ჯგუფში დაზავდნენ ბუტნარიუსი-ოხოტნიკი, პლახეტკა-კუპრეიჩიკი, რუსები: **გალინა სტრუტინსკაია-ნიკოლაი მიშუჩკოვი.**

5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ცებალო და ბუტნორიუსი დაწინაურდნენ. 11 მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს. დღეს გაფრინდაშვილი (3,5 ქულა) შავი ფიგურებით **ჯოვანი იუდიკელოს** (იტალია) შეხვდება, ხმიადაშვილი **ჯუზეპე ლაკოს** (იტალია) დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

# პრიზად 45 ათასი

დუბაიში გუშინ დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი 45 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. გამარჯვებული 8 ათას დოლარს მიიღებს, მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 4000 და 3500 დოლარით დაჯილდოვდებიან.

შეჯიბრებაში საქართველოს 6 წარმომადგენელი მონაწილეობს. გაუწყებთ მათს პირველი ტურის შედეგებს: **მიხეილ მჭედლიშვილი-ჰამიდ ელ ეროზი** 1:0, **მერაბ გაგუნაშვილი-ნაჯიბ სალეხი** 1:0, **იქსომ ილჰომზოდა-ლევან ფანცულაია** 0:1, **დავით არუთინიანი-ერვინ დიმარუქეთი** 1:0, **ანდრის ალბერსი-სოფიკო ხუხაშვილი** 0:1, **დავით ზარქუავიგრამი** 1:0.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა ტიტული გაიხსენა

28 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (234) კარიერის მორიგი ტიტული მოიგო - ის იტალიურ პომეციაში, მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველ ნომრად იყო განთესილი და ეს პირველობა კორტზეც დაამტკიცა. მაკას თბილისის საერთაშორისო ტურნირის მერე, როცა სექტემბერში ფინალში თანამემამულე **თათია მიქაძე** დაამარცხა, არსად უმარჯვია. პომეციაში გამარჯვება ბევრს ვერ შემატებს ჩვენებურის მონაგარს (12 ქულა), მაგრამ მაკა წინ მაინც წაიწევს რეიტინგში.

ნახევარფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა იტალიელი **ანასტასია გრიმალსკა** დაჯაბნა - 6:2, 6:3, ფინალში კი ასევე მასპინძელს, მე-7 ნომრად განთესილ **ანალიზა ბონას** 357) მოუგო - 1:6, 6:2, 6:2.

თურქულ ანთალიაში (10 ათასი დოლარი) **ეკა გორგოძემ** (554) მეოთხედფინალში უნგრელ **ვასილისა ბულგაკოვას** მოუგო - 6:3, 6:3, მაგრამ ნახევარფინალში ჰოლანდიელ **კვირინ ლემოინთან** დამარცხდა - 6:1, 2:6, 4:6.

საქართველოს მე-2 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (188) სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგშია, სადაც 100-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. ჩვენებურის პირველი მეტოქე ადგილობრივი ჩოგბურთელი **მადრი ლერუა** იქნება - 15 წლის ლერუა ურეიტინგოა და ასეთ პრესტიჟულ ტურნირში „უაილდ ქარდის“ წყალობით მოხვდა. ამერიკულ ოსპრეიში 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ვიხილავთ 25 წლის **სალომე დევიძეს**. ერთ დროს ქვეყნის პირველ ჩოგანს, ოქტომბრის მერე არსად უთამაშია. მაკა ჩახნაშვილი ისევ პომეციაში რჩება, სადაც მიჯრით მეორე ტურნირი იმართება და ჩვენებური იქაც პირველ ჩოგნად იქნება განთესილი და ზედიზედ მეორე ტურნირის მოგებას შეეცდება. ამავე ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს **სოფიო ქვაცაბაიაც** (409). ანთალიაში რჩება ეკა გორგოძე, რომელსაც 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდი“ მიანიჭეს, მაგრამ ამავდროულად პირველ ნომრად არის განთესილი. **ანა ტატიშვილი** (115), **სოფიო შაფათავა** (284) და სხვები მომავალ კვირაში ისვენებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე


მაკა ჩახნაშვილი

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარზულად:** 1. ესპანდერი; 7. შევა; 8. კომპოზიტორი; 9. რურუა; 10. ლოლობერიძე; 11. ბაგრატიონი; 14. ანძა; 15. უჩა; 16. გატუზო; 18. გარბენი; 20. აიალა; 21. აეკი; 23. სალასი; 24. ტულალანი; 26. მიტელშპილი; 27. ზრო.

**შვეულად:** 1. ენკე; 2. პიმპონგი; 3. ნკონო; 4. ეკიდენი; 5. ინოკი; 6. სალუქვაძე; 7. შირეა; 11. ბინგო; 12. ტობოგანი; 13. ნიჩაბი; 14. არმია; 17. ტრიპლეტი; 19. "სკონტო"; 22. კლეი; 23. სუმო; 24. ტაიმ; 25. ლუზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# 11 200 წუთი...

## ზაზას მეოთხე დუბლი

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 4 მატჩით ადრე მეხუთე ადგილი გავინაღდეთ. ამიტომ, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში პლეი ოფისთვის ვემზადებით, - ეს „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელის **ლარი დრიუს** სიტყვებია.

მწვრთნელი ცდილობს, ყველა კალათბურთელი ათამაშოს, რათა პლეი ოფს მეტნაკლებად მომზადებულები შეხვდნენ. ამას დაემატა **ჯოშ სმიტისა** და **ჯეისონ კოლინზის** ტრავმები და „ატლანტამ" ორი გასვლითი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო. თუმცა, როგორც გითხარით, გუნდს მეხუთე ადგილი განაღდებული აქვს და შედეგმა მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ასეა თუ ისე, ერთი ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს: რეგულარული ეტაპის ბოლოს საქართველოს ნაკრების ცენტრი **ზაზა ფაჩულია** სასტარტო ხუთეულის კალათბურთელად იქცა. მან ინდიანაში ორმაგი დუბლი შეასრულა, ხოლო ვაშინგტონში - 14 წუთში 5 ფოლი მიიღო...

■ ■ ■

„ინდიანა პეისერსთან" შეხვედრაში ზაზამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო: 28 წუთში 10 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, რაც მისთვის ამ სეზონში მეოთხე ორმაგი დუბლი გახლდათ.

თუმცა, ვერც მან და ვერც **ჯო ჯონსონის** 17-მა ქულამ „ატლანტას" „ინდიანა" ვერ დაამარცხებინა: „პეისერსის" კალათბურთელებმა მესამე პერიოდში 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და ატლანტელების მცდელობის მიუხედავად უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს - 114:102.

■ ■ ■

ზაზას კარიერის რეკორდი 27 ქულა, „ვაშინგტონის" კალათში აქვს ჩაგდებული, თუმცა კვირას გამთენიისას (თბილისის დროით) ვაშინგტონელებთან ეფექტურად ველარ გაისარჯა - მისმა ორმა ორქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია, ხოლო ფოლების სიუხვის გამო სათამაშო დროც შეუმცირდა.

„ვაშინგტონთან" თამაში ქართველისთვის მაინც ისტორიული იყო - მან NBA-ში 11 200-წუთიანი ზღვარი სწორედ დედაქალაქში გადალახა.

მასპინძლებმა თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვეს და მეორე ტაიმიც იმდენად დამაჯერებლად ჩაატარეს, რომ „ატლანტას" თამაშის შემოტრიალების მცირე შანსიც არ გასჩენია. საინტერესოა, რომ „ვაშინგტონის" სასტარტო ხუთეულში ითამაშეს **მორის ევანსმა** (10 ქულა) და **ჯორდან კროუფორდმა** (8 პასი). ეს კალათბურთელები თებერვლამდე „ჰოქსში" თამაშობდნენ (სათადარიგოები იყვნენ), თუმცა „ტრეიდის" შემდეგ „ვაშინგტონში" აღმოჩნდნენ და გუნდის ლიდერებადაც იქცნენ.

11 აპრილს „ატლანტა" „მაიამის" უმასპინძლებს, ხოლო 13-ში „შარლოტთან" სტუმრად ითამაშებს. შემდეგ ჯორჯიელები პლეი ოფებისთვის მოემზადებიან.



### ინდიანა-ატლანტა 114:102

**ზაზა ფაჩულია:** 28:20 წუთი, 10 ქულა (6-დან 3 ორქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო), 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 ფოლი

#### ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:16 | ფოლი: 1 |
| 06:37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 06:37 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 14:15) |
| 03:58 | პაუელმა ზაზა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:20 | ზაზამ კროუფორდი შეცვალა |
| 03:19 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 02:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:30 | ორქულიანი: 4ქ (46:56) |
| 00:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 00:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:02 | ფოლი: 2 |
| 10:54 | ფოლი: 3 |
| 08:26 | ჩაჭრა: 1 (ჰიბერტს ჩაუჭრა) |
| 07:31 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 07:30 | ორქულიანი: 6ქ (60:66) |
| 07:20 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 06:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:27 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 04:03 | საჯარიმოები: 2/1 (7ქ, 63:74) |
| 03:15 | ფოლი: 4 |
| 03:15 | არმსტრონგმა ზაზა შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:52 | ფოლი: ტექნიკური |
| 09:09 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |
| 08:30 | ორქულიანი: 9ქ (83:92) |
| 08:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 |
| 08:01 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 |
| 08:01 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:00 | მოხსნა: შეტ-4, დაც-7 |
| 08:00 | საჯარიმოები: 2/1 (10ქ, 84:92) |
| 05:47 | პაუელმა ზაზა შეცვალა |

### ვაშინგტონი-ატლანტა 115:83

**ზაზა ფაჩულია:** 14:05 წუთი, 0 ქულა (2-დან 0 ორქულიანი), 2 მოხსნა, 1 პასი, 5 ფოლი, 3 შეცდომა

#### ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:27 | პასი: უილიამსი 2ქ (2:0) |
| 11:06 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:20 | შეცდომა: 1 |
| 09:48 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:52 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:03 | ფოლი: 1 |
| 05:56 | ფოლი: 2 |
| 05:56 | შეცდომა: 1 |
| 05:56 | არმსტრონგმა ზაზა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:04 | ზაზამ ტომასი შეცვალა |
| 08:07 | ფოლი: 3 |
| 06:30 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:19 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 09:34 | შეცდომა: 3 |
| 09:31 | ფოლი: 4 |
| 06:25 | ფოლი: 5 |
| 06:25 | პაუელმა ზაზა შეცვალა |

# მანუს ზედიზედ მეხუთე

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ლოგიკამ თავის სიტყვა თქვა: რვიდან ექვსი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს. ის ორი გუნდი, რომელმაც სტუმრად გაიმარჯვა, ჩემპიონატის ლიდერია - „მონტეპასკი" და **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ". სიენელებმა პესაროში „სკავოლინის" სძლიეს (72:66), ხოლო კანტუელებმა „ბრინდისი" 73:71 დაამარცხეს. იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის სათავეში სწორედ „მონტეპასკი" და „კანტუ" დგანან. პირველს 21 მოგება აქვს (23 მატჩიდან), მეორეს - 19 (24-დან).

ასევე ლოგიკურად დასრულდა მილანში ადგილობრივი „არმანისა" და „ვირტუსის" დაპირისპირება: ძალიან გვინდოდა, **ვიქტორ სანიკიძის** გუნდს მილანელები სტუმრად დაემარცხებინა, მაგრამ ბოლონიელების მონდომება ამაო გამოდგა - 71:64 „არმანის" სასარგებლოდ. ბოლო ტურებში წარუმატებელი თამაშის შედეგად „ვირტუსი" მეოთხე ადგილიდან საპლეიოფო ზონის კიდემდე ჩამოვიდა.

■ ■ ■

„ბრინდისი"-"კანტუს" მატჩის პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა (35:35). მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლები 44:39 დაწინაურდნენ, რაც მარკოიშვილისთვის მიუღებელი იყო, ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ორი ორქულიანი და „ბრინდისის" დაწინაურების უფლება არ მისცა. მესამე პერიოდის შემდეგ ტაბლოზე 51:51 ეწერა.

მეოთხე ათწუთეულში, როგორც სჩვევია, „კანტუმ" გუნდური თამაშის წყალობით ნელ-ნელა მოიპოვა უპირატესობა და სირენამდე 5 წუთით ადრე 8 ქულით დაწინაურდა (66:58). „ბრინდისიმ" მხოლოდ 2 ქულით მიახლოება მოახერხა: 73:71 „კანტუს" სასარგებლოდ. ეს ამ გუნდის ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა.

მანუჩარმა 23 წუთში 12 ქულა მიითვალა. აქედან 10 ქულა მეორე ტაიმში ჩააგდო.

■ ■ ■

უჩვეულო სტატისტიკა დაფიქსირდა „არმანი"-"ვირტუსის" მატჩის ოქმში ვიქტორ სანიკიძის გასწვრივ: 29 წუთი, 6 მოხსნა 1 დაფარება. ვიქტორმა მხოლოდ სამჯერ შეუტია მილანელთა კალათს - 1 სამქულიანი და 2 ორქულიანი ააცილა.

პირველმა ტაიმმა ამ მატჩშიც თანაბრად ჩაიარა, მესამე პერიოდში კი „არმანიმ" იძალა და საბოლოოდ სერია A-ში მე-18 შეხვედრა მოიგო.

მომდევნო ტურში, 17 აპრილს, „ვირტუსი" კრემონაში ითამაშებს, ხოლო „კანტუ" „ბიელას" მიიღებს.

■ ■ ■

იტალიის მეორე ლიგაში **ნიკა მეტრეველის** „რიმინიმ" შინ „ასიგეკოსთან" 72:74 წააგო.

ნიკამ 7 წუთი ითამაშა.



# ლეუვენთან შენგელიათი



**თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერმა" „ლეუვენთან" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში 85:88 დათმო. მართალია, მასპინძლები საწყის სამ პერიოდში 75:59 დაწინაურდნენ, მაგრამ „პეპინსტერის" კალათბურთელებმა ბოლო პერიოდში მდგომარეობა გამოასწორეს, მეტოქეს მიუახლოვდნენ კიდეც, მაგრამ გადასასწრებად დრო არ ეყოთ.

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ 24 წუთში ნაყოფიერად იმუშავა. მის ანგარიშზე 10 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა დაფიქსირდა. თორნიკეს არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა - 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო (2 სამქულიანი ააცილა).

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „პეპინსტერის" ბომბარდირი **სტეფონ ჯექსონი** გახდა - 22 ქულა ჩააგდო.

„ლეუვენი" შენგელიას გუნდის უშუალო კონკურენტია. ამიტომაც ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთშეხვედრის შედეგს. ჩვენდა სამწუხაროდ, წარმატება „ლეუვენს" დარჩა და სატურნირო ცხრილშიც მეექვსე ადგილიდან „პეპინსტერი" ჩამოაგდო. თორნიკეს თანაგუნდელებს 8 მოგების წილ 16 წაგება აქვთ და მე-7 ადგილზე არიან. „ლეუვენს" კი 9 გამარჯვება მოუგროვდა.

13 აპრილს „პეპინსტერს" უფრო რთული ბრძოლა ელის - ბელგიური კალათბურთის ფლაგმან „შარლერუას" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ შენგელია კონტრაქტით სწორედ „შარლერუას" ეკუთვნის, „პეპინსტერში" განათხოვრების წესით თამაშობს.

# აბა, ალბასთან რა გამოვიდოდა?!

გერმანულ ბუნდესლიგაში 23-ე მატჩი წააგო „გისენმა". მისი მეტოქე ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ალბა" იყო, შედეგიც ლოგიკური გამოდგა - 85:64.

„გისენის" ქართველი გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 14 წუთი ითამაშა. მისი მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი), 3 მოხსნა.

31 ტურის შემდეგ „გისენს" 8 მოგება აქვს და ბუნდესლიგაში მე-15 ადგილზეა. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე გამყრელიძის თანაგუნდელებს 3 მატჩილა დარჩათ. უახლოესი შეხვედრა 15 აპრილს „ტრირთან" ელით.



# გიორგი შერმადინი: ჩვენ კი ვიბრძოლეთ, მაგრამ...



**გიორგი შერმადინმა** და **ვლადიმერ ბოისამ** მიმდინარე სეზონში საუკეთესოდ ითამაშეს. გიორგიმ 23 წუთში 17 ქულა, 6 მოხსნა, 3 დაფარება და 2 ჩაჭრა მიითვალა. იგი საჯარიმოს ხაზიდან უშეცდომო იყო (5-დან 5 რეალიზებული ტყორცნა), ხოლო 9-დან 6 ორქულიანი გამოიყენა. ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 27-ს უწია. სხვათა შორის, ასეთი მაღალი რეიტინგი მას ამ სეზონში ჯერ არ ჰქონია. 17 ქულა კი საამსეზონო რეკორდის გამეორებაა - სლოვენიის თასის ნახევარფინალშიც 17 ჩააგდო.

ტრავმის მოშუშების შემდეგ ვლადიმერ ბოისამ ყველაზე მეტი ქულა სწორედ შაბათს, „ზლატოროგთან" ჩააგდო - 14. მან 23 წუთში 8-დან 6 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 14 ქულას 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიამატა.

„ოლიმპიას" კალათბურთელთა შორის 10-ქულიან ზღვარს მაკედონიელი **ვლადო ილიევსკი** ასცდა - 15. თუმცა, ამ სამი კალათბურთელის გარჯა „ოლიმპიას" გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ყველასთვის მოულოდნელად „ზლატოროგმა" ბოლო წამებზე იყოჩაღა და შინ ორი ქულით გაბრუნდა - 77:75.

სხვათა შორის, ეს „ოლიმპიას" ზედიზედ მეორე მარცხი იყო - წინა ტურში „სლოვანთან" სტუმრად დათმო. წაგების მიზეზი ქართველ ცენტრ გიორგი შერმადინს ვკითხეთ...

*- ბევრი ვიბრძოლეთ, ბოისამაც კარგად ითამაშა, მაგრამ სამწუხაროდ შედეგი ვერ მივიღეთ. ზედიზედ მეორე მატჩში დავმარცხდით მოულოდნელად. წაგების კონკრეტული მიზეზების დასახელება ძნელია, თუმცა ვფიქრობ, ერთგვარი ჩავარდნა გვაქვს. თუმცა, ვიმედოვნებ, ყველაფერი მალე მოწესრიგდება და სატურნირო მდგომარეობასაც გამოვასწორებთ,* - იმედიანადაა გიორგი.

ხუთი ტურის შემდეგ „ოლიმპიას" 2 წაგება მოუგროვდა და მესამე ადგილამდე დაქვეითდა. მესამედან მეორე პოზიციამდე ალზევდა ოლიმპიელთა მძლეველი „ზლატოროგი".

ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 8 მატჩია დარჩენილი. უახლოესი შეხვედრა „ოლიმპიას" სტუმრად „პოლზელასთან" 13 აპრილს ელის.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# დასაწყისის ლოგიკური დასასრული

| | |
|---|---|
| ლელო | 36 |
| არმაზი | 12 |

**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე (გოდერძი ჭინჭარაული 44), ანდღულაძე (ლომინაძე 41), კორკელია, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა (გიორგი ჭინჭარაული 70), (1-8) სანიკიძე (კვერნაძე 65), გაბელია, სუჯაშვილი (პატარაია 63), აზალაძე, ქოიავა (სურგულაძე 48), მძინარიშვილი, დ.დაუშვილი, სარდანაშვილი.

**5ლ:** გუგავა (2), კორკელია, კაჭარავა, მძინარიშვილი, გიორგი ჭინჭარაული. 3გ: ყიასაშვილი

**არმაზი:** კოტორაშვილი, გაბროშვილი, კაიფაჯიანი, მჟავანაძე, ხუციშვილი, კიკნაძე, მისრიაშვილი. (1-8) ბუკია, სოსელია, ესართია, ჭელიძე (თაგაური 60), ბაბალაშვილი (ჯიშკარიანი 41), კანდელაკი, მინაშვილი, რობაქიძე (ჩომახაშვილი 41)

**2ლ:** სოსელია, თაგაური. გ: კიკნაძე

**მსაჯი:** თ. ჩორგოლეიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი ფავორიტმა თბილისის „ლელომ" გამარჯვებით დაიწყო. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნებმა „ავჭალის" სარაგბო სტადიონის სათადარიგო მოედანზე „არმაზი" 36:12 დაამარცხა.

ახალ ჩემპიონატს ლელოელები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდნენ. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა მგეზავი **ლაშა ხმალაძე**. ერთადერთი, ვისაც „ლელოს" შემადგენლობაში არ უთამაშია, გარემარბი **ალექსანდრე თოდუაა**, რომელმაც ვარჯიში ახლახან დაიწყო და ჯერ სათანადო ფორმაში არ არის.

„არმაზის" რიგებში შარშანდელს აქეთ არაფერი შეცვლილა, გუნდმა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება შეძლო, თუმცა, როგორც „ლელოსთან" თამაშმა გვიჩვენა, არმაზელებს წლეულს ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

„ლელოს" თამაშში ბევრი არაფერი შეცვლილა, მორაგბეები ისევ ძველებურად ცდილობენ შერკინებასა და უკანა ხაზის თამაშში ბალანსის დაცვას. მორკინალების დარტყმებს ფეხმარდი უკანახაზელების გარღვევები ცვლიდა. ამიტომაც ექვსი ლელოდან ხუთი სწორედ მათ ანგარიშზეა.

ლელოელებმა პირველი ლელო მატჩის მე-6 წუთზე გაიტანეს. შუამარბმა **ნონო ანდღულაძემ** მეტოქის დაცვის ხაზი ათმეტრიან ხაზთან გაჭრა, ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია და ბურთი ფეხით ჩათვლის მოედნისკენ გადაკიდა. იქ კი ყველას გარემარბმა **ლექსო გუგავამ** დაასწრო. ირაკლი ყიასაშვილმა ვერ გარდასახა - 5:0.

ლელოელთა სათამაშო უპირატესობა ნელ-ნელა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ხუთ წუთში მათ მეორე, პირველზე ეფექტური ლელო გაიტანეს. „ლელომ" მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში დერეფანი მოიგო, მოლი შეკრა, მიაწვა, მერე მორკინალებმა ორი მოკლე დარტყმა განახორციელეს და მარცხნივ ბურთი ხაზზე ჩაათამაშეს, ხმალაძემ შეტევაში ანდღულაძე ჩართო, ამან ბურთი შუამარბ **გიგა კორკელიას** გაატანა, რომელმაც საკმაოდ გრძელი რეიდი განახორციელა, თითქმის ლელომდე მისულმა მარჯვნივ, იქვე მიმყოლ ცხრა ნომერ **გიორგი კაჭარავას** გადააწოდა. ყიასაშვილმა გარდასახვა ამჯერად ზუსტად დაარტყა - 12:0.

27-ე წუთზე ისევ კაჭარავამ იყოჩაღა, მოედნის ცენტრში მან მეტოქეს რაკში ბურთი სუფთად აართვა და კონტრშეტევა წამოიწყო. მორკინალებმა რამდენიმე დარტყმა განახორციელეს, რაკში მეტოქე ბლომად ჩაითრიეს და ბურთი მარცხენა გრძელ ფრთაზე გაიტანეს, სადაც რიცხობრივ უმრავლესობაში იყვნენ. ფრთაზე მესამეხაზელმა **ბექა სარდანაშვილმა** გაინავარდა, რომელმაც სალელოვე გადაცემა გიგა კორკელიას გაუკეთა. ყიასაშვილმა ამჯერადაც გარდასახა - 19:0.

ძნელი წარმოსადგენია, რომ „ლელომ" ამოდენა უპირატესობა ნებისმიერ მეტოქესთან თამაშში ქარს გაატანოს. მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ლელოელებს მეტოქეზე ზეწოლა ოდნავაც არ შეუსუსტებიათ. მეტიც, ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით კიდევ ერთი ლელო მიითვალეს.

ვიცე-ჩემპიონებმა შერკინება მოედნის საკუთარ ნახევარზე მოიგეს, ცხრა ნომერმა კაჭარავამ ბურთი მარცხნივ, მოკლე ფრთაზე ყიასაშვილს გადააწოდა, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა, რამდენიმე მეტოქეს გვერდი აუარა, ოცდაათიოდე მეტრი გაირბინა და გარემარბ ლექსო გუგავას გადააწოდა, რომელმაც თავისი მეორე ლელო მიითვალა. ყიასაშვილმა ვერ გარდასახა - 24:0, ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ, საწყისი ოცი წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ანგარიში უცვლელი იყო. 61-ე წუთზე „არმაზმა" საკუთარი ლელოდან 15 მეტრში აუტი უხეიროდ მოაწოდა. ბურთი ლელოელთა ნადავლი გახდა, მოლი შეკრეს და ჩათვლის მოედნამდე იარეს. ბოლოს ბურთით ხელში მესამეხაზელი **ვახტანგ მძინარიშვილი** იყო. ყიასაშვილმა გარდასახა - 31:0.

„ლელოს" ბოლო - მეექვსე ლელოც საკმაოდ ეფექტური გამოდგა. 71-ე წუთზე შერკინება „არმაზის" ოცდაორმეტრიან ხაზთან დაინიშნა. შერკინებიდან ბურთი რვა ნომერმა ბექა სარდანაშვილმა გამოიტანა, ოდნავ წინ წაიწია და მარცხნივ მოკლე ფრთაზე, შეცვლაზე შესულ ცხრა ნომერს **გიორგი ჭინჭარაულს** გადააწოდა, რომელმაც ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. ყიასაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახვის გატანა ვერ შეძლო - 36:0.

ძნელი სათქმელია, „ლელომ" მატჩი დასრულებულად ჩათვალა, თუ რამე სხვა მიზეზია, მაგრამ ფაქტია, „არმაზი" ბოლო რვა წუთში საგრძნობლად გააქტიურდა და ორი ლელოს გატანა შეძლო. 73-ე წუთზე არმაზელებმა ხუთმეტრიანი შერკინებიდან მოლი ააგორეს და გუნდის ლიდერმა, შერკინების კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** ჩათვლის მოედანში შეაღწია. მგეზავმა დავით კიკნაძემ გარდასახა - 7:36.

მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე კი თავი შეცვლაზე შესულმა მესამეხაზელმა **ვაჟა თაგაურმა** გამოიჩინა, მის მიერ გატანილი ლელო კიკნაძემ ვერ გარდასახა და მატჩი ლოგიკურად - „ლელოს" გამარჯვებით დასრულდა.


ბურთით ირაკლი ყიასაშვილი

# რევანში აღებულია

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 26 |
| არმია | 16 |

**ლოკომოტივი** (15-9) კობერიძე, კავთიძე, ბერძენიშვილი, ხაჩირაშვილი (გუნიავა 75), ჭამუტაშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) ელოშვილი, ზარიძე, ვეფხვაძე, ოზგებაშვილი, გუჯარაიძე, ნიშნიანიძე, ჩიტიძე, ბერიშვილი.

**4ლ:** ჩიტიძე (3), ვეფხვაძე. 3გ: კვინიხიძე

**სინბინი:** გუნიავა

**არმია** (15-9) ბაირამაშვილი, ხარაზიშვილი, ნუცუბიძე (ზაბახიძე 70), ნადარეიშვილი, კალმახელიძე, ელიზბარაშვილი, სამხარაძე. (1-8) ნატრიაშვილი, ბრეგვაძე, შენგელია (ქორიძე 41), ჟღენტი, ცხადაძე (კიკვიძე 70), მორჩაძე (კაკოვინი 70), ბინაძე, დარასელია (კობახიძე 70)

**ლ:** ცხადაძე. 3ს, გ: ნუცუბიძე.

**სინბინი:** დარასელია, სამხარაძე

**მაჯი:** გ.ამირხანაშვილი


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

საქართველოს ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" სეზონი წარუმატებლად დაიწყო. თასის გათამაშების მეოთხედფინალში რკინიგზელები უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „არმიასთან" დამარცხდნენ. ეს ერთი კვირის წინ მოხდა. ამჯერად ლოკომოტიველები „არმიას" ჩემპიონატის პირველ ტურში დაუპირისპირდნენ და რევანში აიღეს - 26:16.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ჩემპიონს, რომლის შერკინებაც საქართველოში ყველაზე მძლავრი და დინამიკურია, ტრავმების გამო სამი წამყვანი მორკინალი - **ზვიად მაისურაძე, დავით გასვიანი** და **ლევან გენებაშვილი** აკლდა. მიუხედავად ამისა, თითოეულმა ლოკომოტიველმა იმდენად მონდომებით და, რაც მთავარია, სწორად ითამაშა, რომ მათი არყოფნა გუნდს არ დასტყობია.

უკვე აღვნიშნეთ, რომ გამარჯვებაში თითოეულმა მოთამაშემ შეიტანა წვლილი, თუმცა განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „ლოკომოტივის" მესამეხაზელი **დავით ჩიტიძე**, რომელმაც მეტოქეს სამი ლელო გაუტანა და მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და „ლოკომოტივმა" ის მინიმალური სხვაობით 12:13 წააგო. ვერ ვიტყვით „არმია", რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების სამი მორაგბე - **ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი** და **ჯაბა ბრეგვაძე** თამაშობდა, მეტოქეს რამით ჯობდა. პირიქით, „ლოკომოტივის" შერკინებამ არმიელებს როგორც სტატიკურ მდგომარეობაში, ისე დინამიკაშიც აშკარად აჯობა. ამ უპირატესობამ ნაყოფი მატჩის დასასრულისკენ გამოიღო.

თუმცა ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: „არმია" მატჩის პირველ ნახევარში რკინიგზელთა ოცდაორმეტრიან ზონაში სამჯერ შევიდა და სამივეჯერ შედეგიანად. მათ ორი საჯარიმო და ერთი ლელო მოინაგრეს (13 ქულა). მაშინ, როცა „ლოკომოტივს" 12 ქულის მოსაპოვებლად მეტი გარჯა დასჭირდა (ორი ლელო).

ანგარიში „არმიას" შუამარბმა **რატი ნუცუბიძემ** მე-5 წუთზე საჯარიმოთი გახსნა. შვიდი წუთის შემდეგ კი „ლოკომოტივმა" მეტოქის ლელოდან 15 მეტრში დერეფანი მოიგო, მოლის დაყენება სცადა, მაგრამ თამაში რაკში გადავიდა. რკინიგზელებმა რამდენიმეფაზიანი შეტევა განახორციელეს, მორკინალები მოკლე დარტყმებით ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდნენ, შეტევის მიმართულებასაც ხშირად ცვლიდნენ, ბოლოს რაკიდან ბურთი დავით ჩიტიძემ აიტაცა და „არმიას" ლელოში გადადო. მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** ვერ გარდასახა - 5:3.

არმიელებმა ამაზე ოთხ წუთში ლელოთივე გასცეს პასუხი. მათ დერეფანი მარჯვენა ფრთაზე ლელოდან ხუთ მეტრში მოიგეს, პირველხაზელთა ორი მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე გაათამაშეს, სადაც რიცხობრივ უმრავლესობაში იმყოფებოდნენ. ლელო მეორეხაზელმა მამუკა ცხადაძემ გაიტანა. ნუცუბიძემ გარდასახა - 10:5.

ეს ანგარიში ტაიმის 38-ე წუთამდე არ შეცვლილა. რკინიგზელებმა კარგად გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, რომელიც არმიელთა მესამეხაზელის **ლევან დარასელიას** გასინბინებით იყო გამოწვეული. „ლოკომოტივმა" საკმაოდ ხანგრძლივი შეტევა განახორციელა. ამჯერად მორკინალებთან ერთად უკანახაზელებმაც იაქტიურეს. ჯერ მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ, მერე მარცხნივ გრძელ ფრთაზე უკანა ხაზმა შეუტია, „არმიამ" მათი მიძალებაც შეაჩერა, მაგრამ, როცა შეტევა მარჯვნივ გაგრძელდა, პირველხაზელი ლევან ვეფხვაძის წინააღმდეგ ვერას გახდნენ, კვინიხიძემ გარდასახა - 12:10.

პირველი ნახევრის დასასრულს არაფერი აკლდა, როცა „ლოკომოტივის" მორიგი შეცდომა რატი ნუცუბიძემ სამ ქულად აქცია - 13:12, „არმიას" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის საწყისი 15 წუთი „არმიას" უპირატესობით წარიმართა, თუმცა მაქსიმუმი, რაც არმიელებმა შეძლეს, 55-ე წუთზე გატანილი საჯარიმოა - 16:12. მათ ამის შემდეგ მონაგარს ველარაფერი შესძინეს.

რკინიგზელთა შერკინების უპირატესობა იზრდებოდა და თამაშის სადავეებიც მთლიანად მათ ხელში გადავიდა. ძლიერი ქარის გამო კვინიხიძე კარში დარტყმას ერიდებოდა და ამიტომ საჯარიმოებს ან ათამაშებდა, ანდა ბურთი აუტში გადაჰქონდა. მატჩის ბედი ბოლო ათ წუთში გადაწყდა.

„ლოკომოტივმა" 70-ე წუთზე მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში საჯარიმოს ნაცვლად შერკინება მოითხოვა. იქიდან გამოტანილი ბურთი რვა ნომერმა **გივი ბერიშვილმა** აიტაცა, შებოჭეს, რაკიდან ბურთი სწრაფად გამოვიდა, მორკინალების რამდენიმე მიძალება და კარის ძელთან ახლოს ჩიტიძემ მეორე ლელო მიითვალა, კვინიხიძემ გარდასახა - 19:16.

„არმია" მდგომარეობის გამოსწორებას ეცადა. მაგრამ 77-ე წუთზე „ლოკომოტივის" მორიგი იერიშისას ჩიტიძის მანევრი გამოეპარა. მან რაკიდან ბურთი ისე აილო, ვერავინ შენიშნა და ლელომდე 25 მეტრი ირბინა. კვინიხიძემ ესეც გარდასახა - 26:16.

**I ტური**

ყოჩები-აკადემია 14:19

აია-ხარები 35:0

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 1 | 1 | 0 | 0 | +35 | 2 |
| 2.ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | +24 | 2 |
| 3.ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | +10 | 2 |
| 4.აკადემია | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 2 |
| 5.ყოჩები | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 |
| 6.არმია | 1 | 0 | 0 | 1 | -10 | 0 |
| 7.არმაზი | 1 | 0 | 0 | 1 | -24 | 0 |
| 8.ხარები | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

## საიდან მოვდივართ...

ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები საქართველოს ოლიმპიური მოძრაობისთვის საიუბილეოა. პირველად 1952 წელს ჰელსინკში გამართულ თამაშებში გავიდნენ ჩვენი ათლეტები ოლიმპიურ სარბიელზე. 60 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. საქართველომ ამ ხნის განმავლობაში თანამედროვეობის ყველაზე გრანდიოზული და ავტორიტეტული კომპლექსური ასპარეზობის სარბიელზე მსოფლიოს მძლავრი ქვეყნების ტოლსწორად დაიმკვიდრა ადგილი.



ბრინჯაოს სარტყელი მშვილდოსანთაგამოსახულებით
თრიალეთი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები

ჩვენი სამშობლო მსოფლიო ცივილიზაციის უძველესი ქვეყანაა. საუკუნეებმა გამოატარა ხალხის გენში მებრძოლი სული. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ცხენოსნური თამაშები შექმნა. თაობათა ფიზიკური აღზრდის ხალხურმა სისტემამ და სპორტის ეროვნულმა სახეობებმა ნოყიერი ნიადაგი დაახვედრა სპორტის საერთაშორისო სახეობებს. აი, რა განაპირობებს ოლიმპიურ სარბიელზე ქართული სპორტის წარმატებებს.

გონების თვალი გადავავლეთ შორეულ წარსულს. მაშინაც კი, როცა ჩვენთვის არცთუ შორეულ ქვეყანაში, ძველ ელადაში საფუძველი ეყრებოდა ოლიმპიურ თამაშებს, როგორც ადამიანთა ერთ-ერთი უპირველესი ოცნების, მშვიდობის სიმბოლოს, საქართველო გარკვეულწილად მსოფლიოს ცივილიზაციის ამ ცენტრის ტოლსწორი ქვეყანა იყო. სხვაგვარად ვერ შემორჩებოდა თვით ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა, მწერალთა თუ უბრალოდ მოგზაურთა, რომაელ და ბიზანტიელ მოღვაწეთა ჩანაწერებში ისეთი ამაღლებული ეპითეტები ქართველთა შორეულ წინაპრებზე, როგორც ეს მატიანემ შემოგვინახა. დღეს თუ არა, ოდესღაც შეიძლება უტყუარად დამტკიცდეს და დადასტურდეს ძველი ქართველური ტომების წარმომადგენლების მონაწილეობა ელადის ანტიკურ ოლიმპიადებში. განა დამაფიქრებელი არ არის ეთნოგრაფ **ივანე გვარამაძის** მოსაზრება, რომელიც გვამცნობს, რომ ძველ მესხეთში ტარდებოდა ანტიკური ოლიმპიადების მსგავსი ასპარეზობები - „მესხური თამაშები“. 1882 წელს გაზეთ დროებაში (№127) იგი წერს: „თამაშების პროგრამა „არგოს“ გმირი კაპიტნის, იაზონის მიერ იქნა დატოვებული საქართველოში“. „ქართული ოლიმპიური თამაშების“ პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, კრივი, წრე-ლახტი, რბენა (მათ შორის „ქალთა გაქცევანი“), ბურთაობა, დოღი, ეტლების რბოლა, ბადროს ტყორცნა („ქვის სროლა ფიქალისა“), ლოდების აწევდაწევა, ჯირითი, მშვილდოსნობა“.

აი, საიდან მოვდივართ. სულ სხვაა 1896 წლის შემდგომი ეპოქა. სწორედ იმ წელს გაიმართა აღორძინებული ოლიმპიური თამაშები იმავე მიწა-წყალზე, სადაც ის იშვა - საბერძნეთში,.ათენში. მაშინ ჩვენ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოვადგენდით და კოლონიის ხვედრი სპორტშიც ვიწვნიეთ. თუმცა თვით რუსეთსაც არ მიუღია მონაწილეობა 1896 წლის თამაშებში, არც შემდეგ. ვიდრე 1912 წლამდე, როცა რუსეთის ოლიმპიურ დელეგაციაში ქართველიც გვხვდება - **სპირიდონ ჭავჭავაძე,** უებრო ცხენოსანი.

შემდეგ იყო 1918-1921 წლები (25 თებერვლამდე) დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყანას მოსაგვარებელი უამრავი პირველადი პრობლემა ჰქონდა და სპორტისთვის თუ ჯერ იმდენს ვერ მოიცლიდა, გასაგებია. სპორტი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ყოფისგან განცალკევებული არ არსებობს. თუმცა, მაშინაც ყოფილა მცდელობა, თბილისში აეგოთ სტადიონი 100 ათას მაყურებელზე, რაც, შესაძლებელია, სწორედ პირველი ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩასართველად გადადგმული.

რუსეთს და მის წიაღში აღმოცენებულ საბჭოთა კავშირს დამპყრობელ ქვეყნად სცნობდა მსოფლიო და არ აღიარებდა ოლიმპიურ თამაშებში მისი მონაწილეობის უფლებამოსილებას. ბედის უკუღმართობით ჩვენც ასე იძულებით მოვწყდით ოლიმპიზმს. მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგმა მსოფლიო პოლიტიკა გადააფასა და საბჭოთა კავშირს არაღიარების ვეტო მოეხსნა. შედეგი კი იყო ისიც, რომ სსრ კავშირი უკვე 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიიწვიეს. ასე გაეხსნა გზა საქართველოსაც. უნდა ითქვას, რომ საქართველო 1952 წლამდე პერიოდში ერთ-ერთ მოწინავე სპორტულ ქვეყნად ითვლებოდა მთელ საბჭოთა კავშირში, რამაც განაპირობა კიდევ საოლიმპიადოდ რჩეულთა შორის რჩეულებს დაემკვიდრებინათ ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში.

აქ დავამთავროთ. ოლიმპიური პროექტის „ლელოს“ შემდგომ პუბლიკაციებში მკითხველი დაწვრილებით გაეცნობა ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მოყოლებული საქართველოს წარმომადგენელთა მიღწევებს.

### თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ექლვნება XVI ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდა ჰელსინკის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1956 წელს?**

ა — ტოკიოში
ბ — რომში
გ — მელბურნში

**2. დაასახელეთ 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში**

ა — ვახტანგ ბალავაძე
ბ — მირიან ცალქალამანიძე
გ — გიორგი სხირტლაძე

**3. XVI ოლიმპიურ თამაშებში რომელი ქართველი წყალბურთელი გახდა ოლიმპიადის მესამე პრიზიორი?**

ა — ნოდარ გვახარია
ბ — ლერი გოგოლაძე
გ — ირაკლი ჩხიკვაძე

**4. შედიოდა თუ არ მელბურნის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში წყალქვეშ ყვინთვა?**

ა — შედიოდა
ბ — არ შედიოდა
გ — შედიოდა როგორც საჩვენებელი პროგრამა

**5. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოდან?**

ა — 10
ბ — 12
გ — 16

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ა

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



მზია ჯუღელი





რაფაელ ჩიმიშკიანი

## წლები და შედეგები

### ოლიმპიადა: XV, 1952 წ. ჰელსინკი

***I ადგილი:*** **დავით ციმაკურიძე** - თავისუფალი ჭიდაობა; **მზია ჯუღელ** - სპორტული ტანვარჯიში; **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ძალოსნობა

***II ადგილი:*** **ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია** (ორივე-კალათბურთი); **ლევან სანაძე**-მძლეოსნობა

***III ადგილი:*** **ნადეჟდა ხანიკინა-დვალიშვილი; ნინო დუმბაძე** (ორივე-მძლეოსნობა),

***IV ადგილი:*** **მზია ჯუღელი**

***ექვსეულის მიღმა დარჩნენ:*** ელენე გოკიელი (მძლეოსნობა); ოთარ დადუნაშვილი (ველოსპორტი); ავთანდილ ღოღობერიძე; ავთანდილ ჭკუასელი (ორივე-ფეხბურთი); აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა), ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა).

**სულ 14 მონაწილე. ოქრო-3, ვერცხლი-3, ბრინჯაო-2; სულ მედალი-8.**

### გაზეთი მემატიანე

## ლელო და ლელოელები

ქართული სპორტი და, რაღა თქმა უნდა, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის, ქართველ ოლიმპიელთა მონაგრის აღმნუსხველი და პოპულარიზატორი ათეული წლების განმავლობაში ერთადერთი სპორტული გამოცემა, გაზეთი „ლელო“ იყო გასული საუკუნის ბოლო ათწლეულამდე. ტრადიცია გრძელდება. 1989 წელს, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ხანაში სწორედ „ლელომ“, როგორც ორგანიზატორმა, საფუძველი ჩაუყარა და უხელმძღვანელა საქართველოში დამოუკიდებელი ოლიმპიური მოძრაობის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას.

„ლელოს“ ისტორია განუყოფელია საერთოდ ქართული სპორტის ისტორიისგან. ამიტომ უმადურობა იქნებოდა იმათი ღვაწლის დავიწყება, ვინც ამ ისტორიას ქმნიდა, - „ლელოს“ როგორც შემოქმედებითი მუშაკები, ისე მისი უჩინარი მსახურნი.

დღეიდან ჩვენი გაზეთის ახალ პროექტში დროდადრო „ლელოს“ წარსულსა და ამ გაზეთის ღვაწლმოსილ ადამიანებზეც მოგითხრობთ. მიზნის განხორციელებაში დაგვეხმარება „ლელოს“ ვეტერანი მუშაკის თენგიზ გიორგაძის მოგონებები „ლელოსა“ და ლელოელებზე.

**თენგიზ გიორგაძე:** თითქმის 40 (1950-1987) წელი ვიმუშავე გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში, ყველა მის რედაქტორთან, ბოლო სამი წელიწადი „ლელოს“ დამატებას - პირველ ქართულ საჭადრაკო გაზეთ „მერანს“ ვრედაქტორობდი. ასე რომ, დიდი ხნის განმავლობაში „ლელოს“ სიცოცხლით სავსე ცხოვრების თვითმხილველი და მონაწილე ვარ. იმხანად „ლელო“ საქართველოში ერთადერთი სპორტული გაზეთი იყო. დიდად პოპულარული. მისი ტირაჟი თითქმის 300 ათას ეგზემპლარს აღემატებოდა. მას ნიჭიერი ჟურნალისტები ჰქმნიდნენ, სპორტს რომ პროფესიულად იცნობდნენ. მაშინ „ლელო“ ქართული სპორტის განვითარება-წინსვლის ღირსეული წინამძღოლი იყო. ახალგაზრდობასაც ძალიან უყვარდა იგი.

გთავაზობთ „ლელოში“ ჩემი მუშაობის დროის მცირე მოგონებებს. ჩემი კოლეგები უპრეტენზიოდ, ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ სპორტს. ბევრი მათგანი, ასაკით დამძიმებული, დღესაც გულითადად განაგრძობს საყვარელ საქმეს, ბევრი აღარ არის.

შესაძლოა, ზოგჯერ სუბიექტური ვიყო შეფასებებში, ანდა, რაიმე გამომრჩა მათი მოღვაწეობიდან. დაე, იყოს ასე, როგორც ასეთ შემთხვევაში XVIII საუკუნის დიდი ქართველი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა: „ვინც დამიჯერებს, ეს ჩემი თვალით მინახავს, ვინც არადა, თქვენ იცით“.

„ლელოს“ პირველი ნომერი 1949 წლის 10 ივლისს გამოვიდა მიხეილ კაკაბაძის ხელმოწერით. გაზეთმა გაახარა ქართული სპორტის გულშემატკივრები.

ახალ გაზეთს ჰყავდა წინამორბედი - პირველი ქართული სპორტული გაზეთი




„საქართველოს ფიზკულტურელი“. იგი 1934 წლის 13 აპრილიდან 1939 წლის 28 თებერვლამდე გამოდიოდა. 1936 წელს მას სახელი შეუცვალეს - „ფიზკულტურელი“ დაერქვა. გაზეთში წერილები ქართულ და რუსულ ენაზე იბეჭდებოდა. თავიდან მისი ტირაჟი სამი ათასი ეგზემპლარი იყო, შემდეგ 103 ათასამდე გაიზარდა.

„ფიზკულტურელმა“ დიდად შეუწყო ხელი ქართული სპორტის აღორძინებასა და განვითარებას, საერთოდ, ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესებას.

XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს სპორტული გაზეთის აღდგენისა და მისი სახელის საკითხი დაისვა. მიხეილ კაკაბაძეს უამბია ჩემთვის, რომ გაზეთის სახელი „ლელო“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს შემოუთავაზებია. თავის ავტობიოგრაფიაში მიშა წერს: „ჩემი ინიციატივით შეიცვალა გაზეთის სახელწოდება და „ფიზკულტურელის“ ნაცვლად გაზეთს უძველესი, ვაჟკაცური, ჭეშმარიტად ხალხური ასპარეზობის სახელი „ლელო“ ეწოდა.

თავიდან „ლელოს“ რედაქციას დროებით დაეთმო თბილისის ს. კიროვის სახელობის (ამჟამად ვერის) პარკში მდებარე ალპინისტების კლუბის საექსპოზიციო დარბაზი; მე რომ პირველად მივედი რედაქციაში, 1950 წლის დამდეგს, იგი უკვე ახალ ბინაში, ელბაქიძის (ამჟამად მ. ჯავახიშვილის) დაღმართის №13 სახლის მეორე სართულზე იყო განთავსებული.

მაშინ გავიცანი „ლელოს“ რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე და რამდენიმე ლელოელი - ლეო ასტვაცატუროვი (პასუხისმგებელი მდივანი), დავით მელუხა, ეთერ უზნაძე, ბიჭიკო ქორქია, ნოდარ გუგუშვილი, თინა შატბერაშვილი, დიმიტრი გულისაშვილი, ოთარ იოსელიანი, ილია ხოშტარია და სხვები. შემდეგ, 1952 წელს მოვიდა მიხეილ ზარგარიანი, მერე ოთარ გელაშვილი, მხატვარი გოგი იაშვილი...

ყველა ისე დავმეგობრდით, რომ სხვებისთვის სამაგალითო და სალაპარაკო გავხდით. ასე გაგვაერთიანა მიშა კაკაბაძემ.

აქვე ვიტყვი - 1963 წელს „ლელო“ ახალ ბინაში გადავიდა - საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის (ლენინის, ამჟამად მ. კოსტავას, ქუჩის №14) მეხუთე სართულზე. მაგრამ რედაქცია აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1968 წლის გაზაფხულზე ახალ კორპუსში (თ. ჭოველიძის №2) რამდენიმე ოთახი მისცეს, სადაც 2007 წლის აგვისტომდე ბინადრობდა.

**თენგიზ გიორგაძე**

### ჩვენზე წერდნენ...

ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში გავრცელებულ სპორტის სახეობებზე. ამ ძირძველ წყაროებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ ჩვენს მიწა-წყალზე მუდამ პოპულარული იყო ჭიდაობა და ფარიკაობა, ლელობურთი და დოღი, ჩოგბურთი, ისინდი, ყაბახი, თარჩია, მოქნევა, ჩეხვა, მკერდაობა, მშვილდოსნობა, აგრეთვე მუშაითობა (იგივე თოკზე სიარული, ანუ აკრობატიკა), ნადირობა, მთამსვლელობა, ნიჩბოსნობა, სხვადასხვა მოძრავი თამაშობანი (მათ შორის, წმინდა ქართული ლახტაობა), ჭადრაკი, განჯაფა, ნარდი...

**„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/**

გაგრძელება ორშაბათობით

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მალაიზიის გრან-პრი

# ფეტელის ჩემპიონატი?



ფეტელი სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა

მალაიზიის გრანპრის კვალიფიკაციამ თითქმის ისეთი შედეგი დააფიქსირა, როგორიც ავსტრალიის ეტაპზე იყო. მაგალითად, პირველი ხუთეული უცვლელი დარჩა, ისევ ვერ შეძლო მესამე სეგმენტში გადასვლა **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი")... მაგრამ რბოლის სცენარი და ხასიათი განსხვავებული აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი რამ იყო უცვლელი - რბოლის გამარჯვებული ისევ **სებასტიან ფეტელი** („რედ ბული") გახდა.

## სტარტი

ამინდის პროგნოზმა არ გაამართლა: ადგილობრივი დროით ოთხ საათზე წვიმა არ წამოვიდა და შესაბამისად, გუნდებს ტაქტიკის შეცვლა არ დასჭირვებიათ.

პირველი წრის გმირები „ლოტუს-რენოს" პილოტები გახდნენ: **ნიკ ჰაიდფელდმა** და **ვიტალი პეტროვმა** ზედიზედ მოიგეს რამდენიმე პოზიცია, როცა პირველ მოსახვევში გარე რადიუსი აირჩიეს. ნიკმა თვით **ლუის ჰემილტონის** („მაკლარენი") გასწრება შეძლო და მეორე ადგილზე გადავიდა, რუსი პილოტი კი მეხუთეზე აღმოჩნდა. შეიძლებოდა მეოთხე ადგილიც მოეპოვებინა, მაგრამ პეტროვის შეჩერება **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი") შეძლო. ფეტელმა ლიდერობა მოიპოვა, ხოლო ჰემილტონი ჰაიდფელდის უკან მოექცა.

„ფერარის" პილოტები მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე აღმოჩნდნენ, თანაც **ფელიპე მასა ფერნანდო ალონსოზე** წინ აღმოჩნდა, **მარკ უებერმა** („რედ ბული") კი ზედიზედ მეორე რბოლაში ჩააგდო სტარტი და პირველი ათეულის ბოლოში მოექცა. იგივე დაემართა **ნიკო როსბერგს** („მერსედესი"), რომელმაც თანაგუნდელი **მიხაელ შუმახერი** გაუშვა წინ.

## პირველი პიტსტოპი

როგორც მოსალოდნელი იყო, ფეტელმა მაშინვე კომფორტული ჰანდიკაპის შექმნა დაიწყო და სოლიდური მანძილით დასცილდა ჰაიდფელდისა და ჰემილტონის დუეტს. აღსანიშნავია, რომ ნიკი საკმაოდ სწრაფი იყო, რადგან მას მოშორებით ბატონი მისდევდა, პეტროვი კი უფრო იმას ცდილობდა, წინ არ გაეშვა „ფერარის" პილოტები. ეს არ გამოუვიდა - ფელიპემ რუსი სწორედ მონაკვეთზე ჩამოიტოვა უკან, შემდეგ კი პეტროვი შეცდა და ალონსო უბრძოლველად გავიდა წინ. ცოტა ხანში „ლოტუს-რენოს" პილოტის გასწრება მიხაელ შუმახერმაც სცადა, მაგრამ ამჯერად პეტროვმა პოზიცია შეინარჩუნა.

პიტსტოპების პირველი სერია მე-13 წრეზე დაიწყო, რითაც მართლდებოდა სამპიტსტოპიანი ტაქტიკის შესახებ ვარაუდი. და სწორედ საბურავების შეცვლისას დაკარგა ჰაიდფელდმა ყველაფერი, რაც სტარტზე მოიპოვა: გერმანელის ნაადრევმა პიტსტოპმა წინ გასვლის საშუალება მისცა არა მარტო ჰემილტონს, არამედ ბატონსა და ალონსოს.

მარკ უებერის პრობლემები გრძელდებოდა: ავსტრალიელის ბოლიდზე ისევ საბურავები გამოვიდა მწყობრიდან, თანაც მარკს უხერხული მეტოქე შეხვდა **კამუი კობაიაშის** („ზაუბერი") სახით. ამ პილოტებმა რამდენჯერმე გაცვალეს პოზიცია და ეს ბრძოლა სულაც არ მატებდა უებერს სისწრაფეს. ავსტრალიელის პრობლემების ნათელი დადასტურება იყო სიტუაცია, როცა მარკი მასას წინ აღმოჩნდა და შემდეგ აბსოლუტურად უბრძოლველად გაუშვა წინ „ფერარი".

რაც შეეხება ლიდერების ბრძოლას, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფეტელი ბოლომდე კომფორტულად გრძნობდა თავს: ჰაიდფელდის გზიდან ჩამოცილების შემდეგ ჰემილტონმა მოსვენება არ მისცა ჩემპიონს და დაახლოებით ოთხი წამის სხვაობით აგებდა ლიდერთან. საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ რბოლაში გუნდებს შორის სხვაობა იმაზე დაბალი იყო, ვიდრე კვალიფიკაციაში.

## მეორე პიტსტოპი

პიტსტოპების მეორე სერიას საერთო სურათი არ შეუცვლია. ფეტელი ისევ მცირედს უგებდა ჰემილტონს, ლუისს კი, თავის მხრივ, თანაგუნდელი ბატონი მიუახლოვდა, შემდეგ იყო ალონსო. ჰაიდფელდი კი მეექვსემდე ჩამოქვეითდა: უებერი ნაადრევი პიტსტოპის წყალობით მეხუთეზე გადავიდა. ამასთან, მარკმა, რომელმაც აშკარად ჩააგდო რბოლის პირველი ნაწილი, ამჯერად ფეტელთან სულ რაღაც 13-წამიანი ჩამორჩენა დააფიქსირა, ალონსო კი მხოლოდ და მხოლოდ 2 წამით იყო წინ. თუმცა 33-ე წრეზე მარკი მესამედ გაემართა ბოქსებში - იმედი ჰქონდა, რომ მისი საბურავები 23 წრეს გაძლებდა.

სანამ „რედ ბულის" ერთი პილოტი ტაქტიკის მხრივ რისკზე მიდიოდა, მეორემ რადიოთი არც ისე სასიამოვნო ამბავი შეიტყო: სებასტიანს აუკრძალეს KERS-ის სისტემის გამოყენება. თუმცა მის გარეშეც გერმანელი ახლოს არ უშვებდა „მაკლარენებს".

## მესამე პიტსტოპი

პიტსტოპების მესამე სერია „მაკლარენის" მექანიკოსების შეცდომით დაიწყო: ჰემილტონმა ძვირფასი წამები დაკარგა და ტრასაზე ბატონის უკან აღმოჩნდა. ამასთან, ლუისი უებერის ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა. თავის მხრივ, მარკი ალონსოს უსწრებდა. საკითხავი ის იყო, გაუძლებდა თუ არა ავსტრალიელის საბურავები ბოლომდე. ვერ გაუძლო და ფინიშამდე 13 წრით ადრე მეოთხედ შევიდა ბოქსებში, რითაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მარტო დატოვა ჰემილტონი და ალონსო.

ფერნანდომ მაშინვე მიიტანა პირველი იერიში ბრიტანელზე, მაგრამ ლუისი ზუსტად ირჩევდა ოპტიმალურ ტრაექტორიას და ბლოკავდა „ფერარის" პილოტის შეტევებს. თანაც ფერნანდოს შეატყობინეს, რომ მის ბოლიდზე არ მუშაობდა უკანა მოძრავი ანტიფრთა.

ალონსო არ დანებდა და უკვე შემდეგ წრეზე შიდა ტრაექტორიით მოძრაობისას „მაკლარენის" ბოლიდთან კონტაქტის გამო წინა ანტიფრთა დაიზიანა. შესაბამისად, ესპანელის ბრძოლა პოდიუმისთვის დასრულებული იყო - „ფერარის" ბოქსებში დაუგეგმავად შესვლა მოუწია. ტრასაზე ალონსო მეექვსე პოზიციაზე დაბრუნდა. ჰემილტონის პრობლემების შესახებ ჰაიდფელდმა შეიტყო და ყოველ წრეზე წამნახევარს უგებდა „მაკლარენს".

ნიკის უკან უებერი ახალი საბურავებით სწრაფად დაეწია მასას და ბრწყინვალე მანევრით სასტარტო სწორ მონაკვეთზე გაასწრო ბრაზილიელს. თეორიულად უებერს ჰქონდა ჰემილტონისა და ჰაიდფელდის წყვილის დაწევის შანსი. თუმცა ამ დუეტმა დიდხანს ვერ გაძლო: გერმანელმა გამოიყენა უკანა ანტიფრთის უპირატესობა და გაასწრო „მაკლარენის" პილოტს.

## ფინიში

ჰემილტონის პრობლემები კი ამით არ ამოწურულა: მალე ლუისი ტრასიდან გადავარდა, რის შემდეგაც „მაკლარენის" პილოტი ბოქსებში გაეშურა ახალი საბურავებისთვის. ტრასაზე მერვე დაბრუნდა, ზუსტად პეტროვის უკან. აქ ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა: რუსმა ბრიტანელის ზეწოლას ვერ გაუძლო, მანქანა დააზიანა და მალე მისი ბოლიდი ჩაქრა.

ჰაიდფელდმა შეინარჩუნა მესამე პოზიცია: უებერი მალე დააწია გერმანელს, მაგრამ შეტევაზე წასვლა არ გარისკა - შესაძლოა, საბურავები ისევ მალე დაზიანდა ან უბრალოდ ავსტრალიელმა მეოთხე ადგილი ამჯობინა სიტუაციის გართულებას. წინ კი ყველაფერი მშვიდად იყო - ფეტელი და ბატონი იოლად მივიდნენ ფინიშთან.

მასა მეხუთე ადგილზე გავიდა და წინ არ გაუშვა ალონსო, ჰემილტონმა ოთხი პიტსტოპით მეშვიდე პოზიცია მიიღო, ქულათა ზონა კი კობაიაშიმ, შუმახერმა და **პოლ დი რესტამ** („ფორს ინდია") შეავსეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### მალაიზიის გრან-პრი. II ეტაპი

**სეპანგი (56 წრე, 310.408 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:37.39,832 |
| 2(4). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +3,261 |
| 3(6). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) | +25,075 |
| 4(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +26,384 |
| 5(7). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +36,958 |
| 6(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +57,248 |
| 7(10). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +1.06,439 |
| 8(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.19,957 |
| 9(11). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.24,896 |
| 10(14). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.31,563 |
| 11(17). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.41,379 |
| 12(9). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 13(12). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 14(13). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 15(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე |
| 16(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 17(8). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 4 წრე |
| 18(23). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 10 წრე |
| 19(22). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 12 წრე |
| 20(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 24 წრე |
| 21(16). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 31 წრე |
| 22(15). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 31 წრე |
| 23(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT F1, ინდოეთი) | 42 წრე |
| 24(18). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 47 წრე |

### კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 72 ქულა; 2. მაკლარენი - 50; 3. ფერარი - 36; 4. ლოტუს-რენო - 30; 5. ტორო როსო - 4; 6. ფორს ინდია - 4; 7. ზაუბერი - 4; 8. მერსედესი - 2.

| | ავს | მალ | ჩინ 17.04 | თურ 08.05 | ესპ 22.05 | მონ 29.05 | კან 12.06 | ევრ 26.06 | ბრიტ 10.07 | გერ 24.07 | უნგ 31.07 | ბელ 28.08 | იტა 11.09 | სინ 25.09 | იაპ 09.19 | ს. კორ 16.10 | ინდ 30.10 | აბუ-დაბი 13.11 | ბრა 27.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 25 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 50 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 8 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 26 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 18 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 22 |
| **უებერი** (რედ ბული) | 10 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 22 |
| **ალონსო** (ფერარი) | 12 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 20 |
| **მასა** (ფერარი) | 6 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 16 |
| **ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო) | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 15 |
| **პეტროვი** (რენო) | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 15 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

პროფესიული კრივი. უქმეების მიმოხილვა



მორალესი ცალი თვალით დარჩა

# მამაცი მექსიკელი

გასული უქმეების მთავარი ბრძოლა, რა თქმა უნდა, არგენტინელი **მარკოს მაიდანასა** (30-2, 27KO) და ლეგენდარული მექსიკელი **ერიკ მორალესის** (51-7, 35KO) დაპირისპირება იყო. ლას ვეგასის „MGM-გრანდის" რინგზე თამაშდებოდა სუპერმჩატე წონაში WBA-ის დროებითი ტიტული.

პრაქტიკულად ყველა სპეციალისტის პროგნოზით ამ ბრძოლის შედეგი თავიდანვე ცნობილი იყო. არგენტინელი კარიერის ზენიტში იმყოფება, 34 წლის მორალესის საუკეთესო წლები კი დიდი ხანია უკან დარჩა. ვეტერანმა 2005-07 წლებში ოთხი მტკივნეული მარცხი განიცადა და კრივიდან თითქოს სამუდამოდ წავიდა. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ყოფილმა ჩემპიონმა დაბრუნება გადაწყვიტა და ეს ნაბიჯი ბევრმა არ მოუწონა, თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც მორალესი სიმამაცის გამო შეაქეს. მექსიკელმა დაბრუნების შემდეგ სამი მეტოქე დაამარცხა (**ხოსე ალფარო, უილი ლიმონი** და **ფრანსისკო ლორენცო**), მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მაიდანასთან ის თითქმის უშანსოდ იყო.

ბრძოლის წინ არგენტინელმა განაცხადა, რომ არ აპირებდა რინგზე 12 რაუნდის ჩატარებას და ნოკაუტი ჰქონდა დაგეგმილი. მაგრამ ნოკაუტი კი არა, მორალესმა კინალამ დიდი სენსაცია შესთავაზა კრივის მოყვარულებს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მაიდანამ პირველივე რაუნდში წარბი გაუხეთქა მორალესს. მიუხედავად ამისა, მექსიკელმა უკვე მეორე რაუნდში უპასუხა ფავორიტს, რის შემდეგაც თანდათან აღადგინა თანაფარდობა და მეხუთე რაუნდი საერთოდ თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მერვე რაუნდში მორალესმა ისევ განახორციელა რამდენიმე მტკივნეული დარტყმა, მაგრამ მაიდანამ მე-11 და მე-12 რაუნდებში უპირატესობა დაიბრუნა და გაჭირვებით მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. სამი მსაჯიდან ერთმა ფრე დააფიქსირა, ორმა კი მცირე უპირატესობა არგენტინელს მიანიჭა- 114:114, 116:112, 116:112.

■ ■ ■

ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა სუპერმძიმე წონაში. ამერიკის ქალაქ ნიუარკის რინგზე სარეიტინგო შეხვედრაში ურთიერთობა გაარკვიეს პოლონელმა **ტომაშ ადამეკმა** (44-1, 28KO) და ამერიკელმა **კევინ მაკბრაიდმა** (35-9-1, 29KO).

ბევრისთვის უცნაური იყო პოლონელის მხრიდან არაფრით გამორჩეულ ბრძოლაზე დათანხმება. ადამეკს სექტემბერში **ვიტალი კლიჩკოსთან** უნევს შეხვედრა და წესით, მთელი ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრისკენ უნდა გადაეტანა, მაგრამ ადამეკმა ხანგრძლივი პაუზა ვერ აიტანა და რინგზე გასვლა გადაწყვიტა.

ისევე როგორც მაიდანასა და მორალესის შეხვედრაში, აქაც ბრძოლას გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა - ტომაშ ადამეკი. მაკბრაიდმა კრივის სამყაროში სახელი 2005 წელს გაითქვა, როცა **მაიკ ტაისონი** დაამარცხა, თუმცა მაშინ „რკინის მაიკი" სულაც აღარ იყო რკინის. ამით ამოიწურება კევინის დამსახურებები პროფესიულ კრივში. ბოლო ხუთ ბრძოლაში მაკბრაიდს მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული, ისიც სრულიად უცნობი მოკრივის წინააღმდეგ.

მაყურებელმა აქაც ვერ იხილა ნოკაუტი, თუმცა მსაჯების შეფასებით ადამეკს უდიდესი უპირატესობა მიანიჭეს. წარმოშობით ირლანდიელმა მაკბრაიდმა ვერაფერი დაუპირისპირა ადამეკის სისწრაფესა და ძლიერ დარტყმებს. მასპინძელმა 12 რაუნდი გაძლო, თუმცა მსაჯებმა მას შანსი არ დაუტოვეს: 120:107, 119:108, 119:108.

■ ■ ■

შაბათს კიდევ ორი საჩემპიონო ბრძოლა გაიმართა. მაიდანასა და მორალესის შეხვედრის ანდერკარდზე შედგა ამერიკელი **რობერტო გეგეროსა** (29-1-1, 18KO) და ავსტრალიელი **მაიკლ კატსიდისის** (27-4, 22) ბრძოლა, რომელშიც WBA-სა და WBO-ის დროებითი ტიტულები თამაშდებოდა.

აქაც ყველაფერი 12 რაუნდის შემდეგ გადაწყდა. ორივე მოკრივე აქტიურობდა, მაგრამ გეგეროს დარტყმები უფრო ზუსტი იყო, რაც მსაჯებმა ასე შეაფასეს: 117:108, 118:106, 118:107.

დაბოლოს, სუპერსაშუალო წონაში გერმანელმა **რობერტ შტიგლიცმა** (40-2, 23KO) WBO-ის ტიტული შეინარჩუნა სომეხ **ჰორენ გევორთან** (31-6, 16KO) ბრძოლაში.

მაგდებურგის რინგზე ბრძოლა შტიგლიცის უპირატესობით დაიწყო, რომელიც ზედიზედ ურტყამდა მოწინააღმდეგეს. გევორი მყარად იდგა ფეხზე და მართალია, მესამე რაუნდში წარბი გაუსკდა, მაგრამ მაინც ცდილობდა პასუხის გაცემას.

ყველაფერი მეცხრე რაუნდში გადაწყდა, როცა გევორმა წესები დაარღვია და შტიგლიცი რინგზე მოჭიდავის ილეთით დასცა. მსაჯმა სომეხს დისკვალიფიკაცია მისცა და გამარჯვება მასპინძელ მოკრივეს მიანიჭა. გევორი ვერ დაწყნარდა და ახლა მსაჯს ეცა, რის შემდეგაც პოლიციას მოუწია მისი რინგიდან გაყვანა.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანის ეპოქა დაბრუნდა

დასავლეთის შემდეგ გაირკვა პირველი გუნდი აღმოსავლეთში. „ჩიკაგომ" სტუმრად დაამარცხა „კლივლენდი" და გაინაღდა თავის კონფერენციაში განთესვის პირველი ნომერი. „ხარებმა" არ შეიმჩნიეს „კავალერების" წინააღმდეგობა და მეტოქეს მხოლოდ ერთხელ - მესამე მეოთხედში მისცეს სამი ქულით მიახლოების საშუალება. სტუმრების დომინირება უდიდესი იყო, რამაც **ტომ ტიბოდოს** განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის გამოყენების საშუალება მისცა. ამ მწვრთნელის დამსახურება ცალკე უნდა გამოვყოთ: მან პირველი სეზონი ჩაატარა NBA-ის მთავარი მწვრთნელის რანგში და მაშინვე ასეთ მაღალ შედეგს მიაღწია. შემთხვევითი არ არის, რომ მატჩის შემდეგ მისი მისამართით უამრავი ქება და მადლობა გაისმა. *„ტიბსი - ნამდვილი მამაკაცია! ის ჩემთვის ერთმნიშვნელოვნად წლის საუკეთესო მწვრთნელია!"* - განაცხადა **დერიკ როუზმა**, რომელსაც ამ სეზონში MVP-ის ტიტულს უწინასწარმეტყველებენ.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ჩიკაგო" ბოლოს აღმოსავლეთის ჩემპიონი 1997-98 წლების სეზონში გახდა - ის იყო ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანის** ბოლო სეზონი კარიერაში.

### დეტროიტის ახალი მფლობელი

როგორც ჩანს, „დეტროიტ პისტონზის" ყოფილი მფლობელის ქვრივმა საბოლოოდ მოაგვარა კლუბის გაყიდვის საკითხი. სახელოვანი გუნდის ახალი მეპატრონე გახდება მილიარდერი **ტომ გოურსი**, რომელსაც 153-ე ადგილი უჭირავს ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში (2010 წელს „ფორბსმა" მისი ქონება 2.4 მილიარდ დოლარად შეაფასა). გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ ცნობილია, რომ საკუთარი საკალათბურთო გუნდის გარდა, გოურსის მფლობელობაში გადავა არენა Palace of Auburn Hills და საკონცერტო დარბაზი - DTE Energy.

ცნობისთვის, 46 წლის გოურსი საკმაოდ კოლორიტული ფიგურაა. დედით ლიბანელი და მამით ბერძენი ისრაელშია დაბადებული. დაამთავრა „მიჩიგან სტეიტის" უნივერსიტეტი, სადაც ფეხბურთსა და ბეისბოლს თამაშობდა. როგორც ჩანს, „დეტროიტ პისტონზი" მისთვის უბრალოდ მორიგი ინვესტიციაა. ამ გარიგებას ლიგა უახლოეს ხანში დაამტკიცებს.

### კობიმ ფილის შემცვლელი დაასახელა

რა თქმა უნდა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ახალი მწვრთნელის დანიშვნა გუნდის ლიდერის **კობი ბრაიანტის** პრეროგატივა არ არის, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა აუცილებლად მოუსმენს NBA-ის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავის აზრს, მით უმეტეს, კობის რთული ხასიათიდან გამომდინარე. გუშინ „შავმა მამბამ" თავისი მოსაზრება ყველას გასაგონად გაახმოვანა. **ფილ ჯექსონის** წასვლის შემდეგ (დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს 2010-11 წლების სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება) კობის სურს „ლეიკერსი" მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა და ჯექსონის ამჟამინდელმა ასისტენტმა **ბრაიან შუმ** ჩაიბაროს. ვნახოთ რას იტყვის ამასთან დაკავშირებით გუნდის მფლობელი **ჯერი ბასი**. ჯერჯერობით მას კომენტარი არ გაუკეთებია.

ასე რომ, ფილ ჯექსონის წასვლის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მხოლოდ სამი ვეტერანი მწვრთნელი დარჩება: **ჯორჯ კარლი** („დენვერი"), **გრეგ პოპოვიჩი** („სან ანტონიო") და **დაგ კოლინზი** („ფილადელფია). *„არ მიყვარს, როცა ეს ბიჭები ლიგიდან მიდიან. ამ დროს ვხვდები, რომ პატარა აღარ ვარ"*, - განაცხადა პოპოვიჩმა.

„სპურსის" დამრიგებელმა „ამ ბიჭებში" იგულისხმა NBA-ის ლეგენდარული მწვრთნელები, რომლებმაც წელს ნაადრევად დაასრულეს სეზონი: **დონ ნელსონი, ლარი ბრაუნი** და **ჯერი სლოუნი**.

კიდევ ერთი ვეტერანის - **რიკ ადელმანის** ბედი ზაფხულში გადაწყდება, თუმცა მას არაერთხელ უთქვამს, რომ პენსიაში გასვლა უნდა.

### ტრავმები

2010-11 წლების რეგულარული ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ლიგის რამდენიმე ვარსკვლავმა უკვე დაამთავრა სეზონი და ძველი ტრავმების მკურნალობა დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს ამბავი იმ კალათბურთელებს ეხება, რომელთა გუნდებმა დაკარგეს პლეი ოფში გასვლის შანსი. მაგალითად, შაბათ საღამოს გამოცხადდა, რომ „მილუოკისა" და „ნიუ ჯერსის" გულშემატკივრები მოედანზე ველარ იხილავენ თავიანთ საყვარელ მოთამაშეებს - **ენდრიუ ბოგუტსა** და **დერონ უილიამსს**. „ბაქსის" ცენტრმა იდაყვზე ართროსკოპიული ოპერაცია უნდა გაიკეთოს, „ნეტსის" პლეიმეიკერი კი ქირურგებს მაჯის ტრავმის სამკურნალოდ მიაკითხავს. ასე რომ, ენდრიუსა და დერონს შემოდგომამდე ვემშვიდობებით.



ტიბოდომ საჩემპიონო გუნდი დააყენა

#### 8 აპრილი

**ინდიანა-ატლანტა 114:102**

33:26, 23:24, 26:21, 32:31

ი: გრეინჯერი (28+7 მოხსნა), კოლისონი (16+10 პასი), ჰიბერტი (14+11 მოხსნა), ჰენსბრო (13).

ა: ტიგი (21), ჯონსონი (17), კროუფორდი (13), ფაჩულია (10+11 მოხსნა), ჰორფორდი (10).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 93:116**

31:36, 20:32, 21:28, 21:20

ნ-ჯ: ლოპესი (27), აუთლო (16), ვუიაჩიჩი (13), გრემი (12), ფარმარი (6+9 პასი+8 მოხსნა).

ნ-ი: ენტონი (25+14 მოხსნა), ბილაპსი (22+4 პასი), უილიამსი (10), დუგლასი (10+9 პასი), უოკერი (10).

**ფილადელფია-ტორონტო 98:93**

28:18, 26:24, 19:30, 25:21

ფ: ბრენდი (22+8 მოხსნა), იანგი (20), ჰოლიდეი (13+11 პასი), იგუოდალა (16+3 პასი).

ტ: დეროზანი (27), ბეილესი (24+8 პასი), დევისი (14+10 მოხსნა), ევანსი (8+15 მოხსნა).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 104:88**

28:23, 31:33, 24:19, 21:13

ბ: პირსი (22+12 მოხსნა), რონდო (20+14 პასი), კრსტიჩი (17), გარნეტი (15+11 მოხსნა), ალენი (13).

ვ: ბლეტჩი (20+10 მოხსნა), უოლი (20+7 პასი+5 ჩაჭრა), კროუფორდი (19), მაკგი (15+10 მოხსნა).

**კლივლენდი-ჩიკაგო 82:93**

26:29, 20:25, 17:24, 19:15

კ: ჰიქსონი (22+15 მოხსნა), გიბსონი (14), სეშენსი (13), გი (11), დევისი (10+6 პასი).

ჩ: ბუზერი (24+11 მოხსნა), ბრიუერი (12), ნოა (11+8 მოხსნა), როუზი (11+8 პასი).

**დეტროიტი-მილუოკი 110:100**

26:21, 29:30, 29:23, 26:26

დ: უილკოქსი (27+13 მოხსნა), სტაკი (22), პრინსი (16+7 მოხსნა), მონრო (11+8 მოხსნა).

მ: ჯენინგსი (31), ილიასოვა (18), გუდენი (12), სელმონსი (10).

**მაიამი-შარლოტი 112:103**

31:25, 24:19, 28:25, 29:34

მ: ბოში (27+10 მოხსნა), უეიდი (27), ჯეიმსი (23+9 პასი+7 მოხსნა), ილგაუსკასი (10).

შ: ბრაუნი (23+13 მოხსნა), ტემპლი (17), უაიტი (13+8 მოხსნა), მაკგუაიერი (10), ოგუსტინი (11), დიაო (11).

**ნიუ ორლეანი-ფინიქსი 109:97**

31:30, 28:23, 26:26, 24:18

ნ-ო: გრინი (31), არიზა (21+8 მოხსნა), ლენდრი (17), ოკაფორი (10), პოლი (7+12 პასი).

ფ: დადლი (18+7 მოხსნა), გორტატი (17), ჰილი (15), კარტერი (14), ფრაი (9+7 მოხსნა), ბრუქსი (9+9 პასი).

**ოკლაჰომა-დენვერი 104:89**

17:17, 31:25, 27:22, 29:25

ო: დურანტი (28+7 მოხსნა), უესტბრუკი (17+8 პასი+6 ჩაჭრა), მოჰამედი (15), ჰარდენი (14), სეფოლოშა (11).

დ: ნენე (18+9 მოხსნა), მარტინი (14+13 მოხსნა), გალინარი (17+9 მოხსნა), ფელტონი (17), ლოუსონი (5+6 პასი).

**მემფისი-საკრამენტო 101:96**

28:21, 18:22, 31:24, 24:29

მ: რენდოლფი (27+15 მოხსნა), გასოლი (18), ალენი (13), კონლი (12+8 პასი).

ს: ტორნტონი (18 ), ევანსი (16+9 მოხსნა+6 პასი), დალემბერი (17+16 მოხსნა), ტომპსონი (15+12 მოხსნა).

**დალასი-კლიპერსი 107:96**

19:35, 28:19, 30:21, 30:21

დ: ნოვიცკი (20+8 მოხსნა+7 პასი), ბრიუერი (20), ჩენდლერი (15+7 მოხსნა), მერიონი (13+10 მოხსნა), ბარეა (15+5 პასი).

კ: უილიამსი (29+6 პასი), გრიფინი (23+9 მოხსნა+6 პასი), გორდონი (11+6 პასი), ჯორდანი (9+10 მოხსნა).

**პორტლენდი-ლეიკერსი 93:86**

21:21, 32:26, 21:15, 19:24

პ: ოლდრიჯი (24+11 მოხსნა), უოლასი (19+13 მოხსნა+7 პასი), მეტიუზი (18), ბატუმი (13), მილერი (12+13 პასი ).

ლ: ბრაიანტი (24), არტესტი (14+8 მოხსნა), ოდომი (13+14 მოხსნა), გასოლი (8+13 მოხსნა).

#### 9 აპრილი

**ვაშინგტონი-ატლანტა 115:83**

29:18, 32:28, 27:26, 27:11

ვ: ბლეტჩი (23+7 მოხსნა), უოლი (19+7 პასი), იანლიანი (15+9 მოხსნა), ჯეფერსი (13+11 მოხსნა), მაკგი (12+7 მოხსნა), ევანსი (10), ოუენსი (10).

ა: ჰორფორდი (21+10 მოხსნა), ჯონსონი (16+7 მოხსნა), კროუფორდი (13).

**ჰიუსტონი-კლიპერსი 99:78**

25:18, 28:19, 21:18, 25:23

ჰ: ბადინგერი (16+9 მოხსნა), მილერი (16+5 პასი), მარტინი (16+5 პასი), დრაგიჩი (14+10 მოხსნა+7 პასი), ჰეიესი (12+13 მოხსნა+5 პასი), ლი (10).

კ: გორდონი (19+6 პასი), გრიფინი (13+10 მოხსნა), ჯორდანი (8+11 მოხსნა).

**მილუოკი-კლივლენდი 108:101**

30:18, 30:26, 25:34, 23:23

მ: სელმონსი (32), გუდენი (15+13 მოხსნა+13 პასი), ჯენინგსი (14+9 პასი), მბა ა მუტე (12), ილიასოვა (11), რედი (10).

კ: დევისი (19+6 პასი), სეშენსი (15+5 პასი), გი (14), ჰიქსონი (11+12 მოხსნა), ჰოლინზი (10), გიბსონი (10).

**სან ანტონიო-იუტა 111:102**

25:22, 32:24, 32:30, 22:26

ს-ა: ჯეფერსონი (20), სპლიტერი (13+8 მოხსნა), პაკერი (13+7 პასი), ბლეირი (12+7 მოხსნა), ჯინობილი (12+6 პასი), ნილი (12), დანკანი (10).

ი: ჯეფერსონი (23+8 მოხსნა), ფეივორსი (17), მილსეპი (16), ჰარისი (13+9 პასი).

**დენვერი-მინესოტა 130:106**

25:23, 40:28, 36:18, 29:37

დ: ლოუსონი (37+7 მოხსნა+6 პასი), სმიტი (18+8 მოხსნა), მარტინი (12+8 მოხსნა), ჰარინგტონი (12), ფელტონი (11+14 პასი), კუფოსი (11), ნენე (10), ფორბსი (10).

მ: უებსტერი (15), ჰეივორდი (15), ბიზლი (14), რენდოლფი (13), ჯონსონი (13), ფლინი (10+9 პასი), ელინგტონი (10).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ერთი დღე დარჩა

თითქმის დასრულა რეგულარული სეზონი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი დღე დარჩა, თუმცა აღმოსავლეთ კონფერენციაში გუნდები უკვე დაწყვილდნენ მეოთხედფინალში:

**ვაშინგტონი (1)-რეინჯერსი (8)**
**ფილადელფია (2)-ბაფალო (7)**
**ბოსტონი (3)-მონრეალი (6)**
**პიტსბურგი (4)-ტამპა ბეი (5)**

კრახით დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი „კაროლინასთვის". ამ გუნდს ერთი მოგება სჭირდებოდა პლეი ოფამდე, მაგრამ „ჰარიკეინზმა" ვერ შეძლო სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის მოგება. არადა, „კაროლინას" მეტოქეს - „ტამპა ბეის" ბოლო მატჩში არაფერი სჭირდებოდა და თან აღნიშნულ შეხვედრაში სათადარიგო მეკარე **მაიკ სმიტი** დააყენა. თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი „კაროლინას" ნაგებაში, რადგან სმიტმა ალმავლობით ითამაშა და ღირსეულად შეცვალა **დუეინ როლოსონი**.

„ჰარიკეინზის" ნაფორხილებით კარგად ისარგებლა „რეინჯერსმა", რომელმაც მოიგო თავისი შეხვედრა „ნიუ ჯერსისთან" და მერვე ადგილიდან გავიდა პლეი ოფში.

აღმოსავლეთში ასევე გასარკვევი იყო პირველი ადგილის ბედი ატლანტიკის დივიზიონში. „ფილადელფიას" მოგება სჭირდებოდა „აილენდერსთან" მატჩში. უხვგოლიან შეხვედრაში „მფრინავებმა" 3:4-ის შემდეგ ზედიზედ ოთხი შაიბა გაიტანეს და 2003-04 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოიპოვეს დივიზიონის ტიტული. ამით „ფილადელფია" აღმოსავლეთის პირველ სამეულში მოხვდა და მინიმუმ ორი ეტაპი საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

დასავლეთ კონფერენციაში გაცილებით რთული და არეული სიტუაცია იყო. გუნდებს შორის ქულათა სხვაობა იმდენად მჭიდრო გახლდათ, რომ გუშინდელი მატჩების შემდეგ ერთი უცნაურობა მოხდა - „ანაჰაიმმა", რომელსაც ბოლო მომენტამდე არ ჰქონდა გარანტირებული პლეი ოფში მოხვედრა, რეგულარული ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა! „იხვებმა" რიცხობრივი უპირატესობის კარგად გამოყენების ხარჯზე მოუგეს უშუალო კონკურენტ „ლოს ანჯელესს", თანაც წააგეს თავიანთი მატჩები „ნეშვილმა" და ფინიქსმა", რითაც „ანაჰაიმმა" სტენლის თასის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

თუმცა რეგულარულის დასრულებამდე ერთი დღე რჩება და ჯერ გაურკვეველია წყვილების შემადგენლობა დასავლეთში. სტენლის თასის მფლობელ „ჩიკაგოს" შეუძლია 99 ქულის დაგროვება და მეშვიდე ადგილზე მყოფი „ლოს ანჯელესის" გადასწრება. ასე რომ, ყველაფერი გუშინ ღამით უნდა გადაწყვეტილიყო.

**8 აპრილი**

**დეტროიტი-ჩიკაგო 2:4**

0:3, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სიბრუკი-8 (შარპი-36, მარიან ჰოსა-31), 0:2 ბ. სმიტი-1 (პ. კეინი-45), 0:3 ბ. კემპბელი-5 (ფროლიკი-27, პ. კეინი-46), 0:4 მარიან ჰოსა-25 (სიბრუკი-39, კროუფორდი-1), 1:4 დ. მილერი-9 (ფრანცენი-27, აბდელკადერი-12), 2:4 ჰოლმსტრიომი-17 (ჯ. ერიქსონი-12, ბ. სტიუარტი-17).

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 რუპი-8 (გოდარდი-2, კ. ადამსი-11), 0:2 ზ. მიხალეკი-5 (ლეტანგი-42, ტაილერ კენედი-24), 1:2 კომო-23 (მოულსონი-21, იოენსუუ-3), 2:2 კომო-24 (გრაბნერი-18, ჰამონიკი-21), 2:3 ლეტესტუ-13 (რუპი-8, ემემი-6), 3:3 ჰამონიკი- 4 (ოკსოპო-14).
**ბულიტები გაიტანეს:** კუნიტცი (პიტსბურგი).

**ატლანტა-კაროლინა 1:6**

0:2, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 სკინერი-31 (ტ. რუუტუ-37), 0:2 კოული-26 (სტილმანი-27), 0:3 პიტკანენი-5 (მაკბეინი-22), 0:4 სუტერი-14 (ლაროუზი-15), 0:5 ი. იოკინენი-19 (რუუტუ-38, სკინერი-30), 0:6 რუუტუ- 19 (ი. იოკინენი-33, სკინერი-31), 1:6 ლიტლი-18 (ლედი-30, ველერი-26).

**ბაფალო-ფილადელფია 4:3 (ო)**

0:1, 2:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰარტნელი-22 (ბრიერი-32, ო'დონელი17), 1:1 გერბე-15 (გოსტადი-18, მანკარი-6), 2:1 პომინვილი-21 (ვანეკი-40, კონოლი-29), 2:2 ვერსტიგი-21 (ჟირუ-51), 2:3 ბრიერი-33 (ჰარტნელი-25, კარლი-38), 3:3 გერბე-16 (ვანეკი-41, მონტადორი-20), 4:3 ვანეკი-32.

**ტამპა ბეი-ფლორიდა 4:2**

2:1, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-23 (სენტ ლუისი-66, სტემკოსი-46), 1:1 გარისონი-5 (სანტორელი-21, დადონოვი-8), 2:1 მელოუნი-14, 3:1 ლეკავალიე-24 (ბულიტი), 4:1 კუბინა-4 (მელოუნი-24, დაუნი-21), 4:2 სანტორელი-20 (კელეჰანი-1, დადონოვი-9).

**ნეშვილი-კოლამბუსი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰორნკვისტი-20 (ფიშერი-17, უებერი-32), 2:0 ჰალიშჩუკი-4 (სმიტსონი-8, ტუტუ-10), 3:0 ჰორნკვისტი-21, 3:1 ბრასარი-17 (უმბერგერი-32), 4:1 ს. კოსტიცინი- 23 (ჰორნკვისტი-27, კლეინი-16).

**კოლორადო-დალასი 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 რიბეირო-19 (სკრასტინსი-5), 0:2 ლ. ერიქსონი-27 (ბ. რიჩარდსი-48, ბენი-33), 1:2 იიპი-11 (დუპუი-11, ჰოლოში-5), 1:3 მოროუ-32 (ოტი-20, რიბეირო-52), 2:3 იიპი-12 (მაკლემანი-12, ჰოლოში-6).

**ედმონტონი-მინესოტა 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ბერნსი-17 (მ. კოივუ-41, ბუშარი-24), 0:2 სპარჯონი-3 (ბუშარი-25, მ. კოივუ-42), 1:2 ჰარტიკაინენი-2 (ებერლე-25, ვანდეველდე-2), 1:3 ბრუნეტი-18 (ბუშარი-25, მ. კოივუ-43).

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-22 (დ. ბრაუნი-29, სტოლი-23), 1:1 სელიანე-30 (სბისა-9, ჯ. ბლეიკი-15), 2:1 სელიანე-31 (ს. კოივუ-29, ჯ. ბლეიკი-16).

**ფინიქსი-სან ხოსე 4:3**

1:0, 2:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ებეტი-2 (ტარისი-14), 1:1 ი. უაიტი-3 (ვალინი-5, ტ. მიტჩელი-13), 2:1 რეი უიტნი-17 (დოუნი-40, ბელანჟე-26), 3:1 ვრბატა-19 (ბელანჟე-27), 4:1 დოუნი-20 (ვრბატა-29, კორპიკოსკი-21), 4:2 ჯ. ტორნტონი-21 (კუტური-24, მიურეი-13), 4:3 ჰიტლი-26 (მარლო-35, დემერსი-22).

**9 აპრილი**

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 5:2**

1:2, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პალმიერი-9 (კოვალჩუკი-29, ზაიაცი-31), 1:1 დრური-1 (კრისტენსენი-16, ცუკარელო-17), 1:2 კოვალჩუკი-31 (ე. გრინი-19, სალმელა-5), 2:2 ვოლსკი-12 (ფედოტენკო-15, ზაუერი-12), 3:2 მაკდონაჰი-1 (პროსპალი-14, გაბორიკი-26), 4:2 პრუსტი-13 (დუბინსკი-30, სტეპანი-24), 5:2 პროსპალი-9 (ანისიმოვი-26, ჟირარდი-27).

**ბოსტონი-ოტავა 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პეი-6 (გ. კემპბელი-16, შ. ტორნტონი-10), 1:1 ბ. ბატლერი-10 (მ. მიხალეკი-15, სპეცა-36), 2:1 ჰორტონი-26 (ხარა-30, ლუჩიჩი-32), 3:1 პეველი-17.

**კაროლინა-ტამპა ბეი 2:6**

0:3, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 მური-18 (დაუნი-22, მ-ა. ბერჟერონი-6), 0:2 ლეკავალიე-25 (სენტ ლუისი-67), 0:3 სტემკოსი-45 (პურსელი-33, საიმონ განიე-23), 0:4 კლარკი-9 (ლეკავალიე-28, სენტ ლუისი-68), 1:4 სტილმანი-12 (ე. სტაალი-43, სკინერი-32), 2:4 ლაროუზი-16 (ბ. სუტერი-15, მაკბეინი-23), 2:5 საიმონ განიე-17 (ტომპსონი-15), 2:6 სენტ ლუისი- 31 (პურსელი-34, მ. სმიტი-1).

**კოლამბუსი-ბაფალო 4:5**

0:0, 2:3, 2:2

**გოლები:** 1:0 დორსეტი-4 (პალსონი-13, კ. კლარკი-10), 1:1 პომინვილი-22 (მონტადორი-21, ბოიესი-36), 1:2 კ. ბატლერი-2 (გოსტადი-19, მანკარი-7), 1:3 ენისი-20 (ბოიესი-37), 2:3 ბოლი-7 (კალვერტი-9, მაკენზი-14), 3:3 ჰუსელიუსი- 13 (ვერმეტი-28, ლეპისტო-12), 3:4 სტეფორდი-31 (პომინვილი-30, გრანიანი-2), 3:5 გოსტადი-12 (ბოიესი-38, მიერსი-27), 4:5 ჰუსელიუსი-14 (კლიტსომი-15, ბრასარი-30).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ტომასი-4 (რისმილერი-1, ტიმ კენედი-1).

**ფილადელფია-აილენდერსი 7:4**

3:3, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ტიმონენი-6 (მ. რიჩარდსი-43, ვერსტიგი-24), 2:0 ჰარტნელი- 23 (ლეინო-34, მეზაროში-23), 2:1 გრაბნერი-34, 2:2 ჰამონიკი- 5 (ტავარესი-37, ოკსოპო-15), 3:2 ბრიერი-34, 3:3 ტავარესი-29 (რიისი-6, პარენტო-33), 3:4 პარენტო-20 (ტავარესი-38, მოულსონი-22), 4:4 მეზაროში-7 (მ. კარლი-39, ვან რიმსდიკი-19), 5:4 ჰარტნელი-24 (ბრიერი-33, მეზაროში-24), 6:4 მეზაროში-8 (ბრიერი-3, ჯ. კარტერი-30), 7:4 პოუ-7 (ვერსტიგი-25).

**ტორონტო-მონრეალი 1:4**

1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 რ. უაიტი-2 (ელერი-10, პიატი-4), 0:2 ჯონტა-28 (გომესი-31, დარში-14), 1:2 კესელი-32 (კოლბორნი-1), 1:3 ჯონტა-29 (ი. უებერი-10, ჰამრლიკი-29), 1:4 პლეკანეცი-22 (პიატი-5).

**სტ. ლუისი-ნეშვილი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ოში-12 (ბეკსი-31, შატენკირკი-34), 2:0 სტინი-20.

**კალგარი-ვანკუვერი 2:3 (ო)**

0:0, 2:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 იგინლა-43 (ტანგეი-47, ჯორდანო-34), 2:0 ბეკლუნდი-10 (ჯორდანო-35), 2:1 ბაროუზი-26 (დ. სედინი-62), 2:2 კესლერი-41 (ჰ. სედინი-75, დ. სედინი063), 2:3 ერჰოფი-14 (ედლერი-25, ჰანსენი-20).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 1:3**

0:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მაკმილანი-11, 0:2 ს. კოივუ-15 (პერი-48, გეტცლაფი-57), 0:3 ბოშემენი-5 (ს. კოივუ-30, ვიშნოვსკი-50), 1:3 რ. სმიტი-23 (დაუტი-29, ჯ. ჯონსონი-37).

**სან ხოსე-ფინიქსი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ი. უაიტი-4 (ტ. მიტჩელი-14, უელვუდი-7), 2:0 პაველსკი-20 (ჯ. ტორნტონი-49, მარლო-36), 2:1 კორპიკოსკი-19, 3:1 კუტური-32 (ჰიტლი-38, უელვუდი-8).



ფილადელფიამ დივიზიონი მოიგო

# რეკორდების უქმეები

გასული უქმეები სხვადასხვა სტატისტიკური მიღწევით იყო გამორჩეული. დამყარდა NHL-ის რეკორდი მეკარეებს შორის. „ბოსტონის" გოლკიპერმა **ტიმ ტომასმა** სეზონი მეტოქეთა ტყორცნების მოგერიების 93.8 პროცენტით დაასრულა. ამით ამერიკელმა გაასწრო ლეგენდარულ ჩეხს **დომინიკ ჰაშეკს**, რომელმაც 1998-99 წლების სეზონში დარტყმების 93.7 პროცენტი მოიგერია.

ტომასმა ამ რეგულარულში საშუალოდ 2 გოლი გაუშვა და ამ მაჩვენებლითაც ლიგის ლიდერი გახდა. ასე რომ, 36 წლის ბოსტონელი წელს „სეზონის მეკარის" პრიზის უმთავრესი კანდიდატია.

საჯარიმო წუთების მიხედვით რეკორდი დამყარდა „მინესოტასა" და „ედმონტონის" შეხვედრაში. ჯამში ორივე გუნდის ჰოკეისტებმა 122 საჯარიმო წუთი დაიმსახურეს.

ჯარიმების ძირითადი ნაწილი გუნდებმა პირველ პერიოდში მიიღეს: „ოილერსის" მოთამაშეებმა - 53 წუთი, „უაილდმა" - 47. პირველი ჩხუბი უკვე მეშვიდე წამზე მოხდა, ამასთან, „მინესოტას" წევრი **კლეიტონ სტოუნერი** თამაშის ბოლომდე გააგდეს მოედნიდან.

დაბოლოს, „სან ხოსეს" ფორვარდ **ჯო ტორნტონისთვის** გამორჩეული იყო შეხვედრა „ფინიქსთან" - 31 წლის ჰოკეისტმა კარიერაში 1000-ქულიან ზღვარს მიაღწია.

■ ■ ■

უმუშევრები დარჩნენ „ოტავა სენატორზის" მთავარი მწვრთნელი **კორი კლოუსტონი** და მისი თანაშემწეები - **გრეგ კარველი** და **ბრედ ლოიერი**. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მიურეიმ** ეს სამეული „ბოსტონთან" 1:3 მარცხის შემდეგ დაითხოვა.

კლოუსტონი „სენატორების" რიგით მეცხრე მწვრთნელი იყო. შარშან მისი ხელმძღვანელობით „ოტავა" პლეი ოფში გავიდა, მაგრამ იქ პირველ რაუნდში დამარცხდა „პიტსბურგთან" (2:4).

წლევანდელი რეგულარული კანადურმა კლუბმა აღმოსავლეთში მე-13 ადგილზე დაასრულა. მის ანგარიშზე 82 მატჩში მხოლოდ 32 მოგება იყო, თანაც, შაიბების შეფარდება (მინუს 58) ყველაზე უარესი ჰქონდა კონფერენციაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| კოლუმბია | |
|---|---|
| მილიონარიოსი-დეპ. კინდიო | 5:0 |
| რეალ კარტახენა-დეპ. ტოლიმა | 2:1 |
| ჩიკო-ატ. ნასიონალი | 2:1 |
| დეპ. კალი-დეპ. პერეირა | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-ენვიგადო | 1:2 |
| ატ. უილა-სანტა ფე | 2:0 |
| იტაგუი-ატ. ხუნიორი | 3:0 |
| ონსე კალდასი-ლა ეკვიდადი | 0:1 |
| **პარაგვაი** | |
| ნასიონალი-გუარანი | 2:1 |
| ლიბერტადი-სოლ დე ამერიკა | 1:2 |
| ოლიმპია-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| 3 დე ფებრერო-ხენერალი | 1:0 |
| რუბიო ნუ-ლუკენო | 2:1 |
| ტაკუარი-სერო პორტენიო | გვ.დასრ. |
| **ვენესუელა** | |
| დეპ. ლარა-დეპ. ტაჩირა | 2:2 |
| მინეროსი-ესტუდიანტესი | 1:1 |
| ელ ვიხია-ტრუხილანოსი | 0:2 |
| არაგუა-კარაკასი | 0:1 |
| დეპ. პეტარე-მონაგასი | 1:1 |
| რეალ ესპორი-ატლეტიკო | 1:0 |
| სულია-კარაბობო | 1:3 |
| ანსოატეგი-კარონი | გვ. დასრ. |
| სამორა-იარაკუიანოსი | გვ. დასრ. |

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ორლანდო-ჩიკაგო | 99:102 |
| მაიამი-ბოსტონი | 100:77 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-ბარსელონა | 77:72 (ო) |
| ვალიადოლიდი-გრანადა | 62:67 |
| მენორკა-კახასოლი | 85:84 (ო) |
| ხირონა-უნიკახა | 90:67 |
| ესტუდიანტესი-ფუენლაბრადა | 87:73 |
| ბილბაო-სარაგოსა | 79:56 |
| ხუვენტუდი-გრან კანარია | 69:93 |
| ვალენსია-ალიკანტე | 86:79 |
| მანრესა-კახა ლაბორალი | 83:89 |
| **გერმანია** | |
| ალბა-გისენი | 85:64 |
| მიტელდოიჩე-არტლანდი | 83:76 |
| ტრირი-სკაილაინერსი | 61:69 |
| ტელეკომ ბონი-ბამბერგი | 81:94 |
| ლუდვიგსბურგი-ჯაიანტსი | 103:93 |
| ტიუბინგენი-გოტინგენი | 52:56 |
| ბრაუნშვაიგი-ჰაგენი | 92:101 |
| ოლდენბურგი-ბრემერჰავენი | 71:83 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (აშ)-მაკაბი (თ-ა) | 78:107 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ი) | 79:58 |
| ნეთანია-ელდანი | 87:56 |
| ჰალილი-ბნეი ჰაშარონი | 86:78 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-სასარი | 90:78 |
| ვანოლი-აველინო | 89:78 |
| მილანი-ბოლონია | 71:64 |
| ტერამო-ვარეზე | 81:76 |
| ბრინდიზი-კანტუ | 71:73 |
| რომა-ბიელა | 85:78 |
| კაზერტა-მონტეგრანარო | 77:70 |
| სკავოლინი-მონტეპასკი | 66:72 |
| **თურქეთი** | |
| ალიაგა-ეფესი | 76:88 |
| ფენერბაჰჩე-პინარი | 82:66 |
| ოლინი-ანტალია | 71:62 |
| ტ. ტელეკომი-ტრაბზონი | 84:75 |
| ბანვითი-მერსინი | 84:74 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-ვიში | 63:87 |
| სტრასბური-შოლე | 70:78 |
| ტულონი-ლიმოჟი | 82:56 |
| შალონი-ორლეანი | 76:59 |
| როანი-გრაველენი | 71:60 |
| ჰავრი-პუატიე | 74:59 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| ჩიკაგო-დეტროიტი | 3:4 |
| ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 3:2 |
| კოლორადო-ედმონტონი | 4:3 (ო) |
| ატლანტი-პიტსბურგი | 2:5 |
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-ატლანტი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 3:2 (ო) |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 4:3 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-სტავანგერი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 4:4 |
| სლოვანი-ბოლესლავი | 4:5 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-კლოტენი | 3:4 (ო) |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-შელეფტეო | 5:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| სტარაჩე-ანდუხარი | 1:6, 2:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| ნიშიკორი-სვიტინგი | 4:6, 6:7 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ვოზნიაცკი-ვესნინა | 6:2, 6:3 |
| **WTA. მარბელია** | |
| აზარენკა-ბეგუ | 6:3, 6:2 |

## TV პროგრამა

**11 აპრილი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-სან ლორენცო.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-რენი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**22:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**00:50** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის უიქ ენდი 2011. ჩატენვების კონკურსი.
**10:40** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ჩიკაგო.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-იუტა.
**22:15** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ვალენსია. მეხუთე მატჩი.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ჩიკაგო.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ხეტაფე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**16:50** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 56 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**14:40** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ანჟი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**03:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-მაიამი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. კანადა (LIVE).
**17:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 56 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-კიოლნი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-სტ.პაული (LIVE).
**22:30** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. დანია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა





კაროლინ ვოზნიაცკი

# ისევ აზარენკა და ვოზნიაცკი

ჩარლსტონში მთავარი მოვლენა პირველი და მესამე განთესვის ნომრების - **კაროლინ ვოზნიაცკისა** და **ელენა იანკოვიჩის** დაპირისპირება იყო. პირველ სეტში დანიელმა სამჯერ წააგო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, თუმცა თავად უფრო წარმატებულად ითამაშა მიღებაზე და ოთხი ბრეიკი გააკეთა, თანაც ერთი - პარტიის ბოლოს, რამაც 6:4 გამარჯვება მოუტანა. სამაგიეროდ, მეორე სეტში მეტოქეები დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ გეიმებს. სერბს მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ორივე დაკარგა, დანიელმა კი ბრეიკის გაკეთების ერთადერთი შანსი 5:4-ზე მიიღო, ის ხელიდან არ გაუშვა და მოიგო გათამაშება, სეტი და მატჩი, რომელიც საათსა და 48 წუთს გრძელდებოდა. ასე რომ, ვოზნიაცკი მეორედ გავიდა ამ ტურნირის ფინალში - შარშანწინ მან აქ გერმანელ **საბინ ლისიცკისთან** წააგო.

მეორე ფინალისტი გახდა რუსი **ელენა ვესნინა**, რომელიც ჩინელ **შუაი პენგს** ეთამაშებოდა. სხვათა შორის, ამ სეზონში მოგებული მატჩების რაოდენობით ეს აზიელი ჩოგბურთელი მხოლოდ ვოზნიაცკის ჩამორჩება. პირველ პარტიაში 5:4-ზე პენგმა ვესნინას მოწოდებაზე ორი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მაინც მოუწია დანებებამ, მეორე სეტი კი ვესნინამ უფრო დამაჯერებლად აიღო - 6:3.

რუსისთვის ეს იქნება მეხუთე ფინალი კარიერაში. წინა ოთხ შემთხვევაში ის წაგებული რჩებოდა, ასე რომ, ვოზნიაცკისთან მატჩი ვესნინასთვის ნამდვილი გამოწვევა უნდა გახდეს. სხვათა შორის, წინა ოთხი ფინალიდან ერთ-ერთი ელენამ სწორედ დანიელ ვარსკვლავთან წააგო - 2009 წელს ნიუ ჰეივენში.

■ ■ ■

მარბელიაშიც ერთი ფინალისტის პროგნოზირება იოლი იყო და ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამაც** გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. წინა კვირას მაიამის სუპერტურნირის შემდეგ ბელარუსი ზედიზედ მეორე ტიტულის აღებას შეეცდება. ნახევარფინალში ვიქტორიამ ზედმეტი გართულების გარეშე მოუგო **სარა ერანის**.

74 წუთის განმავლობაში განთესვის ლიდერმა 12 ბრეიკ-პოინტი მიიღო და აქედან ხუთი გამოიყენა. სხვათა შორის, აზარენკამ ამ მოგებით ათამდე აიყვანა თავისი გამარჯვებათა სერია.

მეორე ნახევარფინალის შედეგი კი ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ტურნირის მეორე ჩოგანმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** ბევრისთვის უცნობ რუმინელთან **ირინა-კამელია ბეგუსთან** წააგო, რომელიც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა.

რუსი ჩოგბურთელის მიერ მოგებული პირველი სეტის შემდეგ, რუმინელმა ორი ბრეიკი გააკეთა და მეორე პარტიაში 4:0 დაწინაურდა. ბეგუს გეიმბოლი ჰქონდა და თითქოს ანგარიში 5:0 უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამის ნაცვლად კუზნეცოვამ ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და ბრეიკების გაცვლის შემდეგ ანგარიში 5:5 გახდა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო ძლიერი რუმინელი ჩოგბურთელი აღმოჩნდა. მანვე მესამე პარტია მეორის მსგავსად დაიწყო - ზედიზედ სამი გეიმის აღებით სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - 3:0, მაგრამ რუსმა ისევ მოახვია თავს ბრძოლა მეტოქეს და კინაღამ ანგარიში გაათანაბრა. 5:3-ზე ბეგუმ მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო, სამაგიეროდ, მეცხრე გეიმში ბრეიკი გააკეთა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

20 წლის რუმინელისთვის ეს WTA-ის პირველი ფინალია კარიერაში.

**WTA**

**Andalucia Tennis Experience**

მარბელია (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ირინა-კამელია ბეგუ (რუმ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 3:6, 7:6, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-სარა ერანი (იტა, 8) 6:2, 6:1.

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ელენა ვესნინა (რუს)**-შუაი პენგი (ჩინ, 11) 7:6, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 3) 6:4, 6:4.

**ATP**

**US Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 442 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

**რაიან სვიტინგი (აშშ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:6, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:3, 7:5.

**Grand Prix Hassan II**

კასაბლანკა (მაროკო). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**1/2 ფინალი**

**პოტიტო სტარაჩე (იტა, 5)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 8) 6:1, 6:7, 7:6; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 4:6, 4:6.

# უიმბლდონი დელ პოტროს პრიორიტეტია

მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ამ სეზონის მთავარი მიზანი გაუმხილა ჟურნალისტებს. როგორც არგენტინელი ჩოგბურთელი ამბობს, წელს განსაკუთრებულ ყურადღებას ბალახის კორტებზე წარმატებით გამოსვლას დაუთმობს, კერძოდ, უიმბლდონზე მაქსიმალურად შორს გასვლას ეცდება. დღეისთვის დელ პოტროს ბალახზე მხოლოდ 15 შეხვედრა აქვს ჩატარებული და აქედან ათი მოიგო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხუან მარტინი უიმბლდონზე მეორე წრეზე შორს არასოდეს გასულა.

*„ბალახის კორტებზე სერიოზული წარმატებისთვის არასოდეს მიმიღწევია, მაგრამ წელს შემიძლია გამოვასწორო მდგომარეობა Queen's Club-ის ტურნირსა და უიმბლდონზე. ჯერ ბევრი რამ უნდა ვისწავლო იმისთვის, რომ დამაჯერებლად ვიგრძნო თავი ამ საფარზე, თუმცა მზად ვარ ამ გამოწვევისთვის.*

*ნებისმიერ ტურნირზე მხოლოდ გამარჯვებისთვის ვთამაშობ და ვფიქრობ, კარგი ჩოგბურთის ჩვენების შემთხვევაში შემიძლია მოგება. წელს ჩემი პრიორიტეტი უიმბლდონი უნდა გახდეს"*, - განაცხადა დელ პოტრომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# მონაკო ჯოკოვიჩის გარეშე

ამ კვირას გრუნტის სეზონის პირველი მასტერსი გაიმართება - საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელები მონტე კარლოში შეიკრიბებიან, თუმცა ამ ტურნირს ერთი სერიოზული დანაკლისი მაინც აქვს. ბოლო მომენტში მონაკოში გამოსვლაზე უარი თქვა სეზონის ლიდერმა და 2011 წელს დაუმარცხებელმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. სერბის უარის მიზეზი მუხლის ტრავმა გახდა. შეგახსენებთ, რომ „ჯოკერის" წაუგებელი სერია 26 მატჩამდეა ასული და ამის ხარჯზე მან წელს ავსტრალიის ღია პირველობა, დუბაი, მაიამი და ინდიან უელსი მოიგო.

მონაკოზე უარის გამო ჯოკოვიჩი 360 სარეიტინგო ქულას დაკარგავს, რომელიც შარშანდელი ნახევარფინალის სანაცვლოდ მოიპოვა, თუმცა მის მეორე პოზიციას რეიტინგში არაფერი ემუქრება. როგორც სპორტსმენის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ჯოკოვიჩის მომდევნო ტურნირი ბელგრადის ღია პირველობა იქნება.

*„ეს ძალიან ნაღვლიანი მომენტია არა მარტო გულშემატკივრებისთვის, არამედ ჩემთვისაც. მონაკოს მასტერსი ერთ-ერთი უსაყვარლესია ჩემთვის, რადგან მას საშინაო ტურნირად მივიჩნევ. მონტე-კარლო არის ქალაქი, სადაც ტურნირებს შორის შესვენებისას ვცხოვრობ. აქვეა ჩემი კლუბი, სადაც რეგულარულად ვვარჯიშობ უკვე დიდი ხანია. სამწუხაროდ, იძულებული გავხდი ასეთი გადაწყვეტილება მიმეღო და ამის გამო ბოდიშს ვუხდი ტურნირის დირექტორს ჟელკო ფრანულოვიჩს, რომელიც გაგებით შეხვდა ამ ნაბიჯს"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

მონტე კარლოში (საპრიზო ფონდი - 2 750 00 ევრო) კი უკვე გაიმართა წილისყრა. აქ პირველ ნომრად ესპანელი **რაფაელ ნადალია** განთესილი, რომელიც პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი ან ფინელ **იარკო ნიემინენს**, ან კვალიფიკაციიდან გასულ რომელიმე ჩოგბურთელს შეხვდება.

ნადალის გარდა, პირველი წრისგან თავისუფალი არიან რვა საუკეთესოს შორის შესული ჩოგბურთელები. მათი პირველი მეტოქეები შემდეგ მატჩებში გაირკვევა:

რაფაელ ნადალი (ესპ, 1) - იარკო ნიემინენი (ფინ)/კვალიფიკაცია

როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) - ანდრეი გოლუბევი (ყაზ)/ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)

ენდი მიურეი (ბრიტ, 3) - მარკოს ბაღდატისი (კვიპ)/რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)

დავიდ ფერერი (ესპ, 4) - იანკო ტიპსარევიჩი (სერ)/ფელისიანო ლოპესი (ესპ)

ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) - ხუან იგნასიო ჩელა (არგ)/კვალიფიკაცია

ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6) - ტომი რობრედო (ესპ)/ივან დოდიგი (ხორ)

იურგენ მელცერი (ავსტრია, 7) - ნიკოლაი დავიდენკო (რუს)/რობინ ჰაასი (ჰოლ)

გაელ მონფილსი (საფ, 8) - სანტიაგო ხირალდო (კოლ)/დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ)


ნოვაკ ჯოკოვიჩი


